პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 12—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 22 აგვისტო 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 193 (2236)

დღიური

- შუა გერმანიის წითელ ფრონტელთა კავშირის შეკრება ლეიპციგში.
- ომის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტის დაარსება ინდოეთში.
- საბჭოთა ჟურნალისტები ოსლოში.
- პარლამენტის არჩევნები საბერძნეთში დამთავრდა ლიბერალების გამარჯვებით.
- ციხიდან გაანთავისუფლეს პოლონეთის სეიმის ყოფ. დეპუტატი ლანცუცკი.
- დამთავრდა ალბანეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები.
- 19 აგვისტოს პილსუდსკი გაემგზავრა რუმინეთში.

„ჯავშნიანი" სოციალისტების ტაქტიკა

„გერმანელი მილიტარისტები, რომლებიც დამარცხდნენ რეიხსტაგის არჩევნებში 20 მაისს, დღეს აღტაცებით ზეიმობენ თავის უდიდეს გამარჯვებას. ვერც ერთი ნაციონალისტი-რეიხსკანცლერი ვერ წაიყვანდა თავის საქმეს უკეთესად, ვინემ ეს მოახერხა სოციალ-დემოკრატმა —რეიხსკანცლერმა, გერმან მიულერმა".

ეს სიტყვები ეკუთვნის ევროპაში კარგად ცნობილ გერმანელ ბურჟუაზიულ პუბლიცისტს ფონ-გერლახს. და ყოველივე ეს დასწერა მან იმის გამო, რომ კოალიციური მთავრობის ყველა მონაწილე სოციალისტ-მინისტრებმა ხმა მისცეს, კაბინეტის დანარჩენ ბურჟუაზიულ წევრებთან ერთად, ჯავშნოსანის აგების წინადადებას, ე. ი. ხმა მისცეს გერმანიის იმპერიალიზმის შეიარაღებას, ომისთვის მზადებას, სამხედრო ხარჯების გადიდებას, ამნაირად გადასახადების მომატებას, ხმა მისცეს იმას, რის წინააღმდეგ ასე დემაგოგიურად გამოდიოდნენ საარჩევნო კამპანიის დროს, რომ ამ გზით მოენადირებიათ ამრჩეველთა გული და... ხმა სამინისტრო პორტფელების მისაღებად. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის აპარატი, ეგრედწოდებული „ფუნქციონერები", ე. ი. პარტიული ბიუროკრატია ისევე, როგორც ბიუროკრატია პროფესიონალური, ამაგრებენ და აძლიერებენ კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რომელთა არსებობასთან დაკავშირებულია მათი ბედ-იღბალი. ამ ბიუროკრატიაში ჰპოულობს თავის დასაყრდენს ომის შემდგომი ხანის იმპერიალიზმი, ფეხზე წამომდგარი „ნორჩი" იმპერიალიზმი გერმანიის.

იმისთვის, ვინც თვალყურს ადევნებს სოციალ-დემოკრატიული პარტიების ტაქტიკურ განვითარებას, განსაკუთრებით ომის შემდგომ ხანებში, სპეციალურად კი უკანასკნელ წლებში, გასაკვირი არაფერი არ არის იმ ფაქტშიც, რომელმაც ასე აალელვა თვით სოციალ-დემოკრატიის მიმდევრები მუშებიც და დარაზმა ისინი ამ პარტიის ცენტრალურ დაწესებულებების წინააღმდეგ. ცნობილია მართლაც, რომ მის შემდეგ, რაც ამავე სოციალ-დემოკრატებმა ხმა მისცეს ჰოჰენცოლლერნთა გვარეულობის სასარგებლოდ მათი ქონების ანაზღაურებას და ამით გამოიწვიეს ძლიერი საპროტესტო მოძრაობა გერმანიის პროლეტარიატში, —ადგილი არ ჰქონია ისეთ ერთსულოვან დემონსტრაციას ამ პროლეტარიატისას (და რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოციალ-დემოკრატიის მიმდევარ მის ნაწილს), როგორსაც ჩვენ ვხედავთ ამჟამად.

ეჭვს გარეშეა სოციალ-დემოკრატიულ მასების ამოძრავებაში, სოციალ-დემოკრატიის ეგრედწოდებული ოპოზიციური პრესის საკმაოდ ერთსულოვან გამოსვლაში დიდ როლს თამაშობს კომუნისტური პარტიის ნათლად გამოკვეთილი ანტიმილიტარისტული და ანტიიმპერიალისტური პოზიცია და, როგორც ამის შედეგი, მედგარი რევოლიუციონური კამპანია. ამნაირად, სოციალისტ-მინისტრების (და არა მარტო მათი, არამედ ყველა სოციალისტური ბელადების) სოციალ-იმპერიალიზმი შეეფეთა საკმაო მრისხანე წინააღმდეგობას, როგორც პროლეტარიატის, ისე თვით წვრილი ბურჟუაზიის მხრივ. ამ გარემოებამ ჩააფიქრა ბელადები, ამ გარემოებამ აიძულა პარტიის ხელმძღვანელი სფეროები მიემართათ ტყუილისა და თვალთმაქცობისათვის. მათ დაინახეს, რომ გავლენა შეერყათ იმ მასებში, რომელთა მიმდევრობა სწორედ აძლევს სოციალ-დემოკრატებს რაიმე ღირებულებას ბურჟუაზიისათვის. ამ მასების გარეშე, ე. ი. იმის გარეშე, რომ მათ ეს მასები დაუმორჩილონ გაბატონებულ კლასებს და მათ სახელმწიფოს, ვის რა ოხრად ესაჭიროება სოციალ-დემოკრატია, რათ უნდა ბურჟუაზიას ასეთი სოციალ-დემოკრატია? და ამ გავლენის შენარჩუნებისათვის იწყება, როგორც ვსთქვით, ტყუილი და თვალთმაქცობა. ჯერ ერთი ალაპარაკდა მთელი „ოპოზიციური" ჭაობი. მეორე —და ეს უმთავრესია—თვით ოფიციალური მეთაურები პარტიისა ვითომ გამოვიდნენ სოციალისტ-მინისტრების წინააღმდეგ.

როგორც დღევანდელი ტელეგრამები გვატყობინებენ, ბერლინში შემდგარა სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პლენუმი, რომელსაც მწუხარება გამოუთქვამს იმის გამო, რომ სოციალისტ მინისტრებს, სანამ ისინი ხმას მისცემდნენ ჯავშნოსანის აგების წინადადებას, არაფერი ვითომ არ გაუმხელიათ პარტიის ცეკასა და ფრაქციისათვის თავიანთი განზრახვის შესახებ. ამ დიპლომატიურ „ხლართში" იმალება უდიდესი თვალთმაქცობა და მასების კვლავ უტიფარი მოტყუების სურვილი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიას სურს **მხოლოდ** მინისტრები გამოიყვანოს პასუხისმგებელად იმ პოლიტიკისათვის, რომელმაც ასეთი მახინჯი სახე მიიღო ჯავშნოსანის საკითხში, ალაშფოთა მასები, ხოლო ამან კი თავის მხრივ დააფეთა სოციალ-დემოკრატიული ოპოზიცია და გამოიყვანა ის არა მარტო ჯავშნოსანის აგების მოწინააღმდეგედ, არამედ მომხრედაც სოციალ-დემოკრატების გამოსვლისა კოალიციური მთავრობიდან.

პოლიტიკურ წრეების აზრით—ვკითხულობთ ტელეგრამაში—გაერთიანებული პლენუმების ასეთი რეზოლიუციის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ დააწყნარონ საპროტესტოთ ამოძრავებული სოციალ-დემოკრატიული მუშები.

ბურჟუაზიული გაზეთების თქმით ჯავშნოსნის ირგვლივ დატრიალებულ ამბებს შეუძლია სოციალ-დემოკრატიას ჩამოაშოროს ნახევრამდი მისი მიმდევრები. იგივე ზემოხსენებული ფონ-გერლახი ფიქრობს ასე: ამჟამად რომ რეიხსტაგის არჩევნები მოხდეს, სოციალ-დემოკრატები რამოდენიმე ათეულ ადგილს დაჰკარგავენ რეიხსტაგში კომუნისტების სასარგებლოდ. და ამასთანავე ის გამოსთქვამს ისეთ აზრს, რომელიც ნათელს ჰფენს როგორც სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის, ისე პარტიის ცეკასა და რეიხსტაგის ფრაქციის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებას. ჭკუიანი ბურჟუაზიული პუბლიცისტი ასე სწერს: „არის მხოლოდ ერთად ერთი საშუალება, რომ სოციალ-დემოკრატიამ თავიდან აიცდინოს მისი რიგებიდან მასიური გაქცევა: **სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ყველგან სასტიკი პროტესტი უნდა განაცხადონ ჯავშნოსნის აგების წინააღმდეგ**"-ო. ამ სიტყვებში მთლიანად მოცემულია ფილოსოფია სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციონერობის, ნათლად არის ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კლასიური ხასიათი ამ ოპოზიციონერობისა—საზოგადოდ და გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებისა—კერძოდ.

ის ამბები, რომლებსაც ადგილი აქვთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ჯავშნოსნის აგების ირგვლივ, ჭკუის მასწავლებელია პროლეტარიატისათვის საერთოდ და სპეციალურად ამ პარტიის მიმდევარ მუშებისათვის. კომუნისტები შეეცდებიან, რომ გერმანიის მუშათა კლასმა საჭირო დასკვნა გამოიყვანოს ამ ამბებიდან.

პროვოკაცია ბარგაში

ის ხმაურობა, რომელიც ბარგის ამბების გამო ასტეხეს იაპონია-ინგლისის რეაქციონურმა პრესამ და მისმა მაჩანჩალა სოციალ-დემოკრატებმა, ის სიცრუისა და ცილისწამების კამპანია, რომელსაც ისინი აწარმოებენ საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ართულებს ამ საქმის ისედაც უაღრესად საეჭვო ხასიათს. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ მანჯურიის იაპონური და თეთრი პრესა უხვად ავრცელებს უცნაურსა, მაგრამ დეტალურ ცნობებს. იგი უკვე ორი თვის წინათ ბარგის ამბების დაწყებამდე დაჟინებით წინასწარმეტყველებდა მათ წარმოშობას.

ბარგის ამბები შეუძლებელია არ დაუკავშიროთ აგრეთვე მანჯურიაში თეთრგვარდიელთა აქტივობის გაძლიერებას, რომლებსაც ჯერ კიდევ ინტერვენციის დროიდან მჭიდრო კონტაქტი აქვთ იაპონიის სამხედრო წრეებთან. აქ საკმაოა აღვნიშნოთ ცნობილი ატამან სემენოვისა და მისი მუდმივი იაპონელი მდივნის საეჭვო გამოჩენა მანჯურიაში, აგრეთვე რუსი თეთრგვარდიელების ხელმძღვანელი მონაწილეობა ხუნხუზების თავდასხმაში, რასაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხაზზე. საჭიროა იმის გახსენებაც, რომ ბარგის ამბებს უშუალოდ წინ უძღოდა ჩინეთის საბაჟოს მიერ ხარბინში დიდძალი საკონტრაბანდო იარაღის აღმოჩენა, რომელიც გადაჭქნილიათ როგორც ძველი იაპონური გაზეთების ტვირთი. გამორკვეულია, რომ ამ საინტერესო საქონლის გამგზავნიცა და მიმღებნიც იაპონური ფირმები იყვნენ. ბოლოს, სურათის სისრულისათვის საჭიროა აღვნიშნოთ ინგლისელი ჟურნალისტის ლენოკს სიმპსონის მხილება იაპონელების იმ ფარულ საზოგადოებათა მუშაობის შესახებ, რომლებსაც ხელს უწყობენ იაპონიის სამხედრო წრეები მანჯურიაში, და აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ამ საკითხის გამო ატეხილ პოლემიკაში იაპონიის საელჩო პეკინში არ უარჰყოფდა ამ ფარულ საზოგადოებათა არსებობას მანჯურიის ტერიტორიაზე.

თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ აღმოსავლეთის სამ პროვინციაში შექმნილ მდგომარეობას, რომელიც ნაყოფია უკანასკნელი თვეებისა და კვირეების ამბებისა, და იაპონია-ჩინეთის უფრო და უფრო გამწვავებულ ურთიერთობას, მაშინ გასაგები იქნება, თუ რამდენად სერიოზულია ის შიში, რომ ბარგის ამბებს საფუძვლად უდევს აშკარა პროვოკაცია: ეს პროვოკაცია კი ნავარაუდევია, ერთის მხრით, ჩრდილოეთ მანჯურიაში შემდგომი ინტერვენციისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად, მეორეს მხრით, ჩინეთის საზოგადოებრიობის ყურადღების ჩამოსაშორებლად ყველაზე უფრო მწვავე და აქტუალური პოლიტიკური საკითხებისაგან და მისი მიქცევა არ არსებულ „საბჭოთა" ან „მონღოლეთის" საფრთხისაკენ.

დეპეშებიდან სჩანს, რომ იაპონიის სამხედრო სარდლობა უკვე ახლავე ცდილობს გამოიყენოს ბარგის ამბები იმ მიზნისათვის, რომ მოამზადოს სამხედრო ხასიათის სერიოზული ოპერაციები ჩრდილოეთ მანჯურიაში. უცხოეთის ცნობებით, იაპონიის სარდლობას განზრახული აქვს გაგზავნოს თავისი ჯარები ჩინეთის ტერიტორიის ტაონან—ციციკარის გზაზე (მის სამხედრო რუკას იაპონელები უკვე ამუშავებენ) და აღმოსავლეთ ჩინეთის ხინგანის გვირაბისაკენაც კი. როგორც ყველამ იცის, მანჯურიის ჩრდილოეთ—დასავლეთი ოლქი უკვე დიდი ხანია იაპონიის სამხედრო წრეებისა და იაპონიის კაპიტალის დიდ ყურადღებას იქცევს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ საითკენ უბერავს ქარი და ვისთვის და რისთვის იყო საჭირო ბარგის მეამბოხეთა გამოსვლის პროვოკაცია.

„პრავდა", 21 აგვისტო.

იაპონიის პროვოკაცია ჩრდილოეთ მანჯურიაში

ხუბეის პროვინციაში განახლდა გლეხთა რაზმების მოქმედება

გაიხსნა იმპერიალიზმთან ბრძოლის ლიგის აღმასკომის სესია

იაპონიის პროვოკაცია მანჯურიაში

ვისთვის არის საჭირო ბარგის ინციდენტი

ხარბინი, 20 აგვ. ჩინეთის ოფიციოზის „გუანბაო"-ს რუსულ გამოცემაში შემდეგია ნათქვამი ბარგის ინციდენტზე.

„ბარგის მოსახლეობას ერთსულოვნად სურს დარჩეს ჩინეთის პროტექტორატის ქვეშ. როგორც ეტყობა ეს ინციდენტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე სჭირდება რომელიმე მესამე მხარეს". გაზეთის ჩინურ გამოცემაში სწერია: "12 აგვისტოს ხეილასის რაიონში ჩამოვიდნენ მონღოლეთის ბანდიტები, რომელთა შორის ბევრი უცხოელია". (ადს).

ინგლის-იაპონიის პრესის ცილისწამება

ულან-ბატორი, 20 აგვისტო. მონღოლეთის აღმოსავლეთ არიონის სანაპირო ზოლში ავრცელებენ სხვადასხვა ხმებს აჯანყების შესახებ ბარგში. მაგრამ ეს ხმები, არავითარ აღშფოთებას არ იწვევენ მოსახლეობაში და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის.

ულან-ბატორში საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეები საშინლად აღშფოთებულნი არიან იაპონიის და ინგლისის პრესის ცილისწამებით იმის შესახებ, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მონაწილეობას იღებდა ბარგის ამბებში (ადს).

იაპონიის საიდუმლო საზოგადოების მოქმედება

პეკინი, 20 აგვისტო. „სინ-ვენ-ბაო"-ს აზრით, აჯანყება ხულუნბუირის ოლქში მოამზადა იაპონიის საიდუმლო საზოგადოებამ. ვლადივოსტოკიდან მოსულ საბარგო მატარებელში ბევრი იარაღი და სასროლი მასალა აღმოაჩინეს. ტვირთი გახვეული იყო იაპონურ ძველ გაზეთებში. (ადს).

სარკინიგზო კავშირი აღდგენილია

ხარბინი, 20 აგვისტო. 18 აგვისტოს აღდგენილია ტელეგრაფისა და რკინის გზის კავშირი მთელ დასავლეთ ხაზზე. გზაში შეჩერებული მატარებლები ხარბინში ჩამოვიდნენ (ადს).

იაპონური გაზეთის „წინასწარმეტყველება"

ხარბინი, 20 აგვისტო. ბარგში მომხდარ ამბების გამო (აჯანყება) გაზეთი „ნოვოსტი ჟიზნი" სწერს მოწინავეში:

„პირველი ცნობები ბარგში მომხდარ ამბების შესახებ წინასწარმეტყველური აღმოჩნდნენ. „ხარბინ ნიჩი-ნიჩი"-ში ეს ცნობები დაიბეჭდა მაშინ, როდესაც მსოფლიომ არაფერიც არ იცოდა მათ შესახებ. ამ გაზეთის წყაროებმა, როგორც სჩანს, საიდუმლოდ იცოდნენ ის დრო და ადგილი, სადაც უნდა მომხდარიყო იაპონიის გაზეთისათვის საინტერესო ამბები".

ხარბინის რუსული გაზეთი „მოლვა" სწერს:

„ის ალიაქოთი, რომელიც ასტეხა ადგილობრივმა იაპონურმა პრესამ ამ ამბების გარშემო და აშკარა სურვილი ფაქტების დამახინჯებისა გვაძლევენ საბუთს ვიფიქროთ, რომ ბარგში მომხდარ ამბებს გამოიყენებენ მანჯურია-მონღოლეთის პოლიტიკურ თამაშობაში. სწარმოებს წარსული გამოცდილებით უკვე ცნობილი საგაზეთო კამპანია, რომლის მიზანია შეცდომაში შეიყვანოს ჩინეთის ოფიციალური წრეები და მუკდენის ჩინური საზოგადოებრიობა და მიაქციოს მათი ყურადღება ყალბი მიმართულებით საბჭოთა კავშირისაკენ" (ადს).

მონღოლეთის მთავრობა უარჰყოფს

ულან-ბატორი, 20 აგვისტო. მონღოლეთის მთავრობამ გამოაქვეყნა 20 აგვისტოს ოფიციალური ცნობა ბარგში მომხდარ ამბების შესახებ, სადაც ნათქვამია:

„ამ უკანასკნელ დღეებში უცხოელი გაზეთები და რადიო იუწყებიან აჯანყების შესახებ ბარგში. იაპონიის პრესა განსაკუთრებით აზვიადებს ცნობას ამ აჯანყებისა და იმის შესახებ, ვითომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ჯარები უშუალო მონაწილეობას იღებენ მასში. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით უარჰყოფს ყოველივე ცნობას თავის მონაწილეობის ან და მონღოლეთის სახალხო არმიის მონაწილეობის შესახებ ამ აჯანყებაში და მოუწოდებს მოქალაქეთ სათანადო წინააღმდეგობა გაუწიონ ამ პროვოკაციულ ხმებს".

მდგომარეობა ჩინეთში

გლეხთა მეამბოხე საზოგადოებათა მოქმედების გაცხოველება

შანხაი, 20 აგვისტო. ხუბეის პროვინციის სხვადასხვა რაიონებში გაცხოველდა გლეხთა მრავალ საიდუმლო საზოგადოების მოქმედება.

სიაოგანის რაიონში აჯანყებულ რაზმებში ირიცხება 3.000-მდე მეომარი. აჯანყებულნი შეეცადნენ ქალაქ იჩანის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ისინი გარეკეს მთავრობის ჯარებმა. ანცზინიდან (ანხუეის პროვინციის მთავარი ქალაქი) მიღებული ცნობით, პროვინციაში ვითარდება წითელი შუბური მოძრაობა. წითელი შუბების რაზმები შეუერთდნენ „დიდი დანების" რაზმებს. (ადს).

მოუწოდებენ აჯანყებისაკენ

შანხაი, 20 აგვისტო. კანტონიდან მიღებული ცნობით, ამ დღეებში კომუნისტები, რომელნიც დადიოდნენ ქალაქში 11 ავტომობილით, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, სადაც მოუწოდებდნენ მუშებს და გლეხებს აჯანყებისაკენ მთავრობის წინააღმდეგ. (ადს).

ინგლისთან შეთანხმების ხელის მოწერისათვის

შანხაი, 20 აგვისტო. გომინდანის ხანკოუს ორგანიზაციის კომიტეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობს გუანსის ჯგუფი, მიმართა ნანკინის მთავრობას თხოვნით დაუყოვნებლივ დაითხოვოს გარეშე საქმეთა მინისტრის პოსტიდან ვან-ჩჟენ-გინი და დასაჯოს იგი ინგლისთან შეთანხმების ხელის მოწერისათვის (ადს).

გომინდანის პლენუმი

შანხაი, 20 აგვისტო. გომინდანის პლენუმი ისე დამთავრდა, რომ მასში მონაწილეობა არ მიუღიათ მემარცხენეებს და ნაწილობრივ მემარჯვენეებსაც. ენ სი-შანი და ფინ-იუსიანი პლენუმზე არ გამოცხადებულან. გუანსიელები დროგამოშვებით ესწრებოდნენ პლენუმის სხდომებს მეთვალყურეობის სახით, დროგამოშვებით კი „ავადმყოფობდნენ". პლენუმის გადაწყვეტილებით შეზღუდულია პოლიტიკური საბჭოს პროვინციალურ განყოფილებათა ფუნქციები და აგრეთვე ცენტრალური პოლიტიკური საბჭოს ფუნქციები; აღნიშნული დაწესებულებანი გადააქციეს მრჩეველ ორგანოებად პროვინციალურ და ნანკინის მთავრობებთან.

სააგენტო გოვენის ცნობით, ჩინეთის პოლიტიკური სისტემა დროებით სისტემიდან გადაიქცა მუდმივ სისტემად. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გადაიქცა გომინდანის აღმასკომი, რომლის მუდმივი კომიტეტის ხელმძღვანელობით იმოქმედებენ მთავრობის საბჭო, სხვადასხვა ბიუროები და აგრეთვე თავდაცვისა და სამხედრო სწავლების საბჭო. 10 მინისტრი ექვემდებარება ადმინისტრატიულ ბიუროს. გადაწყვეტილია სამხედრო ადმინისტრაციის გაერთიანება ცენტრალური მთავრობის გამგებლობაში, საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღება, არმიების რიცხვის შემცირება დაუყოვნებლივ, აკრძალულია ცალკე გენერლებისათვის საკუთარი სამხედრო სკოლების გახსნა და შენახვა.

ზოგ უცხოელ წრეების აზრით, პლენუმს არ გადაუწყვეტია ძირითადი საკითხები. მან სრულებით არია პოლიტიკური მდგომარეობა, ვინაიდან გვერდი აუხვია „მტკივნეულ" საკითხს (ადს).

გომინდანის აღმასკომის პლენუმმა გააღრმავა უფსკრული

შანხაი, 20 აგვისტო. „ორტ ჩაინა დეილი ნიუს"-ი ამტკიცებს, რომ ბაი-ცზუნ-ჩი დაბრუნდა ხანკოუში და მიიღო სარდლობა ხუნანსა და ხუბეის პროვინციებში დაბანაკებულ გუანსიის ჯგუფის ჯარებზე. გაზეთი სწერს:

„გომინდანის აღმასკომის პლენუმის მარცხმა გააღრმავა უფსკრული ჩან-კაი-შისა და გუანსიის ჯგუფს შორის. ადვილად შესაძლებელია, რომ ამან გამოიწვიოს სამხედრო მოქმედების დაწყება ინცზის ველზე და ყველაზე ადრე შანხაი—ჩანშის რაიონში". (ადს).

იტალიის საპროტესტო ნოტა

ვენა, 20 აგვისტო. იტალიის ელჩმა ბელგრადში გალიმ, სპლიტაში მომხდარ ანტიიტალიურ დემონსტრაციებისა და იტალიის კონსულის შეურაცყოფის გამო, საპროტესტო ნოტა გადასცა სამხრეთ სლავის მთავრობას. ნოტა მოითხოვს დაკმაყოფილებას და დამნაშავეთა დასჯას.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შუმოიკოვიჩმა აღუთქვა, რომ გამოძიებას მოახდენს.

დამატებითი ცნობების მიხედვით, 1 აგვისტოს შიბენიკში ჟანდარმებმა გაფანტეს მუშათა დემონსტრაცია, არიან დაჭრილები. სპლიტაში დემონსტრანტები იტალიელთა მაღაზიებს დაეცნენ და ქვები დაუშინეს იტალიის გემს, რომელზედაც დალეწეს ილიუმინატრები.

რუმინეთი იარაღს ისხამს

ვენა, 20 აგვისტო. რუმინეთის მთავრობის პრესამ დაიწყო კამპანია რუმინეთის სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად და ცდილობს საზოგადოებრივობის ყურადღება მიაპყროს ამ საქმეს.

ამ კამპანიასთან დაკავშირებით „ვიტორულ"-ი ათავსებს წერილს. გაზეთი აღნიშნავს, რომ რუმინეთს არა აქვს შავი ზღვის ნაპირზე არც სამხედრო ბაზა, არც საზღვაო არსენალი თავისი გემების შესაკეთებლად. დასასრულ, გაზეთი აღნიშნავს, რომ რუმინეთმა უნდა ააშენოს ისეთი ფლოტი, რომელიც, რომელიმე მოკავშირის დახმარებით, უზრუნველჰყოფს მის ჰეგემონიას ზღვაზე.

სამხედრო ფლოტის კვირეული რუმინეთში

ვენა, 20 აგვისტო. 15 აგვისტოს კონსტანცაში დაიწყო რუმინეთის სამხედრო ფლოტის კვირეული, დღესასწაულის გახსნას დაესწრნენ მთავრობისა და უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები. აქვე მოხდა იმ 4 ჰიდროთვითმფრინავის კურთხევის ცერემონია, რომლებიც მიღებულ იქნენ იტალიიდან იქ შეკვეთილ ესკადრილიის რიცხვიდან.

ლანცუცკის „ვადამდე" განთავისუფლება

ვარშავა, 20 აგვისტო. 17 აგვისტოს გაანთავისუფლეს საპყრობილედან პოლონეთის სეიმის ყოფილი დეპუტატი ლანცუცკი. ლანცუცკი გაანთავისუფლეს 4 დღით ადრე ვადის გათავებამდე. პოლიტიკურ წრეების აზრით ლანცუცკის ვადამდე განთავისუფლება გამოწვეული იყო საპყრობილეს ადმინისტრაციის შიშით, რომ ვარშავის ორგანიზაციები მოაწყობდნენ ძლიერ მანიფესტაციას ლანცუცკის პატივსაცემად. ლანცუცკი დაუბრუნდა თავის ოჯახს, რომელიც ვარშავაში ცხოვრობს.

ჩვენ კორესპონდენტთან საუბარში ლანცუცკიმ აცნობა მას, რომ მან ციხეში დაჰყო 3 წელი და 8 თვე. ლანცუცკის ჯანმრთელობა ძალზე შეირყა ციხის აუტანელი რეჟიმის გამო. (ადს).

სისხლისმღვრელი შეტაკება ათინაში

ვენა, 20 აგვისტო. ავსტრიის გაზეთების ცნობით, 18 აგვისტოს ღამით ათინაში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება ვენიზელოსისა და პანგალოსის მომხრეებს შორის. შეტაკება მოხდა მიტინგის შემდეგ, რომელზედაც ვენიზელოსმა წარმოსთქვა საგიტაციო სიტყვა საარჩევნო მიზნებისათვის. სიტყვის დამთავრების შემდეგ ბრბო დემონსტრატიულად გაემართა პანგალოსის პარტიის საარჩევნო ბიუროსაკენ. როცა აივანზე პანგალოსი გამოჩნდა, დემონსტრანტებმა დაუშინეს მას ქვები. პანგალოსის მომხრეებმა ბრბოს აუტეხეს სროლა. დაიჭრა 5 კაცი.

სხვა შეუმოწმებელი ცნობებით, სროლაში მონაწილეობა მიიღო თვით პანგალოსმა, დემონსტრანტებს შორის დაჭრილთა გარდა მოკლულია ოთხი კაცი. იმავე შეუმოწმებელი ცნობებით, ვენიზელოსის მომხრეთ სურდათ სახლში შეჭრა და პანგალოსის გასამართლება ლინჩის წესით, მაგრამ ამას ხელი შეუშალა სამხედრო პოლიციამ. (ადს).

ათინა, 20 აგვისტო. პარლამენტის არჩევნები დამთავრდა ვენიზელოსის მომხრეთა (ლიბერალების) გამარჯვებით. მათ პარლამენტში უზრუნველყოფილი ჰყავთ უმრავლესობა. ვენიზელოსის მომხრეთა შემდეგ, მიღებულ მანდატების რაოდენობის მიხედვით მოდიან ვენიზელოსის მოწინააღმდეგეები და (მონარქისტები), შემდეგ კომუნისტები. (დს).

იმპერიალიზმთან ბრძოლის ლიგის აღმასკომის სესია

ბერლინი, 20 აგვისტო. გაიხსნა იმპერიალიზმთან და კოლონიალურ ხალხთა ჩაგვრასთან ბრძოლის ლიგის სესია. სესიის მუშაობა მიდის ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ლიდერის თავმჯდომარეობით. სესიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებს კოლონიალურ საკითხზე მეორე ინტერნაციონალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. რეზოლიუცია ამ გადაწყვეტილებებს ახასიათებს, როგორც არა სოციალისტურ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია დახმარების აღმოჩენა იმპერიალისტურ მჩაგვრელთათვის. რეზოლიუცია პირველ რიგში კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მუშათა ფართო მასების ყურადღებას აქცევს იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს მე-2 და მე-3 ინტერნაციონალების გადაწყვეტილებებში კოლონიალურ საკითხზე. (ადს).

„ძირს ომი"

ლონდონი, 20 აგვ. პენჯაბში (ინდოეთი) დაარსდა კომიტეტი „ძირს ომი". ორგანიზაციის სათავეში სდგანან სვარაჯისტების პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები. კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც აცხადებს, რომ ინდოეთმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მომავალ ომებში. ერთ-ერთი რეზოლიუცია, მიღებული კომიტეტის მიერ, გამოსთქვამს სრულ თანაგრძნობას „საბჭოთა კავშირის ანტი-იმპერიალისტურ პოლიტიკისადმი" (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო

„ბრაგანცა",

რომი, 20 აგვისტო. სტეფანის სააგენტო იუწყება:

„ჩიტა დი მილანო"-დან (რომელიც კინგსბეიში იმყოფება) იუწყებიან, რომ ორი ჰიდროპლანი უკვე დატვირთეს გემ „ბრაგანცაზე", რომელზედაც იმყოფებიან საზღვაო ოფიცრები ბალდიგინი და ჯოვანინი და აგრეთვე პილოტები მაზიარი, პენზო, ლეიტენანტი კროიზო, კაპიტან სორა. ინჟ. ალბერტინი, რამდენიმე მეზღვაური და ერთი ალპიელი მსროლელი. „ბრაგანცა" წავიდა 16 აგვისტოს და შემდეგი დღის საღამოთი პირდაპირი გზით მიაღწია ბევერლის ყურეს. „ბრაგანცა" შეავსებს სურსათის მარაგს, და წავა საძებრად ჩრდილო-აღმოსავლეთ მიწის ჩრდილო ნაპირისაკენ". (ადს).

წყალქვეშა ნავი „ლ-55"

საშინელი მოგონება

ლონდონი, 20 აგვისტო. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ"-ი ეხება წყალქვეშა ნავის „ლ 55"-ის ამოღებას და სწერს: „ეს ნავი—საშინელი მოგონებაა ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ეპიზოდის შესახებ, რომლის გამო ჩვენ მხოლოდ სირცხვილი და მწუხარება გვმართებს. სასარგებლოა გავიხსენოთ, რომ დაღუპულ ნავში მსხვერპლად იქნა შეწირული 42 ადამიანის სიცოცხლე იმ დროს, როდესაც მსოფლიო ომი უკვე დამთავრებული იყო და ჩვენ კი ფარულ ომს ვაწარმოებდით რუსეთთან".

წითელ ფრონტელების შეკრება

ბერლინი, 20 აგვისტო. შუა-გერმანიის წითელი ფრონტელების კავშირის შეკრება, რომელიც გაიმართა 19 აგვისტოს ლეიპციგში, წარმოადგენდა შუა-გერმანიის პროლეტარიატის ყველაზე დიდ დემონსტრაციას უკანასკნელ წლებში. შეკრებაში მონაწილეობა მიიღო 50.000 მეტმა წითელ ფრონტელმა კავშირის ფორმაში. ქალაქის ქუჩები სავსე იყო მშრომელებით და მორთული იყო წითელი დროშებით. (ადს).

ნავთის აფიორა რუმინეთში

ვენა, 20 აგვისტო. რუმინეთის ნავთის აფიორა ახალ ფაზაში შევიდა. დააპატიმრეს ლიბერალური დეპუტატები ტოლეა და ირიმესკუ და აგრეთვე 8 კაცი მიწათ-მფლობელებიდან, საბანკო მოღვაწეებიდან და ტარგოვიშტის ოლქის ადმინისტრაციიდან.

ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელებში დაიწყო კამპანია მთავრობისათვის ამ მეტად არა სასიამოვნო საქმის მოსასპობად. ეს საქმე ინგლისის კაპიტალისტური წრეების მამხილებელიც იქნება.

მთავრობის გაზეთების ცნობით, „ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელმა წრეებმა გადასწყვიტეს გასწმინდონ პარტია მექრთამეებისაგან". (ადს).

ჯავშნოსანის აგების გარშემო

გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდება.

ბერლინი, 20 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ცეკას გადაწყვეტილების თანახმად რეიხსტაგის კომფრაქციამ იმ ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში, დაუგზავნა ჯავშნოსნებისა და კრეისერების აშენების ამკრძალავ კანონის პროექტი. ამ კანონის მიხედვით ძირითად პარაგრაფში ნათქვამია: „ყოველგვარი ჯავშნოსნებისა და კრეისერების აგება აკრძალულია".

კომპარტიის ცეკას მოწოდებამ უკვე დიდი გამოძახილი ჰპოვა მუშათა მასებში. წარმოებებში გაცხოველებული კამათი გაიმართა კომპარტიის პროექტის გარშემო. პრესის გამოძახილიდან სჩანს, რომ სოციალ-დემოკრატიული და ბურჟუაზიული პარტიები შეშფოთებული არიან გერმანიის კომპარტიის მიერ წამოყენებულ საქმის წარმატებით.

იმისათვის, რომ კომუნისტური კანონპროექტის საკითხი დაისვას საყოველთაო კენჭისყრით გადასაწყვეტად, საჭიროა, რომ ამ მოთხოვნილებას მხარი დაუჭიროს ყველა მოქალაქეთა ერთმა მეათედმა, ე. ი. დაახლოვებით 3 მილ. კაცმა. კომპარტია ადვილად შეაგროვებს ხმების ამ რაოდენობას თუნდაც იმათ შორის, რომელმაც ხმა მისცეს მას რეიხსტაგის უკანასკნელ არჩევნებში. (ადს).

საფრანგეთის პრესა ახმაურდა

პარიზი, 19 აგვისტო. გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებამ ჯავშნოსანის აშენების შესახებ ცხოველი გამოძახილი ჰპოვა მთელ საფრანგეთის პრესაში. მემარჯვენე პრესა გერმანიის გადაწყვეტილებაში ჰხედავს გერმანიის ნაციონალიზმის განახლების დამამტკიცებელ საბუთს და სარგებლობს ამით რეინის ოლქის ვადამდე გაწმენდის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად. რადიკალური პრესა სრულებით არ იხსენიებს გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებას. სოციალისტებს აშკარად არ სურთ მიულერის გაკიცხვა, რადგანაც ეს ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებდა მათ საფრანგეთის მემარჯვენე პარტიების წინაშე. მეორე მხრივ, მათთვის უხერხულია მიულერის გამართლებაც, რადგან ეს არა ნაკლებ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებდა მათ მუშა მკითხველების წინაშე; ამიტომ სოციალისტები, ჰკიცხავენ რა პრინციპიალურად „საზღვაო შეიარაღებას", ცდილობენ გამოსავალი იმაში ჰპოვონ, რომ მიულერის „ჯანსაღმა პოლიტიკურმა გონებამ" უნდა გაიმარჯვოს, ვინაიდან მთავრობის კრიზისი ჩაშლიდა საფრანგეთ-გერმანიის ეგრე კეთილად დაწყებულ დაახლოვებას და რომ „არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა, როდესაც დათმობა თავის კოლეგებისათვის მართველობის დარგში, არამც თუ აუცილებელი, მიზანშეწონილიც არის". (ადს).

„სინანულს გამოსთქვამენ".

ბერლინი, 20 აგვისტო. ვოლფის სააგენტო იუწყება: „დღეს ბერლინში შესდგა შეერთებული სხდომა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ც. კ.-სა და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა. სხდომამ უნდა გამოარკვიოს ის, თუ რა პოზიციას დაადგეს პარტია კაბინეტის იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც შეეხება ჯავშნიანი კრეისერის აგებას. ოთხი მეხუთედი ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა დადგენილება, რომელშიც ცეკა და საპარლამენტო ფრაქცია სინანულს გამოსთქვამენ, რომ სოციალ-დემოკრატიულმა მინისტრებმა კაბინეტის გადაწყვეტილება მოიწონეს ცეკასთან მოულაპარაკებლად. მაგრამ,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა მთავრობაში იმდენად მნიშვნელოვანია მუშათა კლასისათვის, რომ, მიუხედავათ აზრთა სხვადასხვაობისა ჯავშნიანი კრეისერის საკითხში, საჭირო არ არის კაბინეტიდან სოციალ-დემოკრატიულ მინისტრების გამოსვლა.

გამოხმაურება სოც.-დემოკრატების ც. კ. დადგენილებაზე

ბერლინი, 20 აგვისტო. იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც გამოტანილ იქნა შაბათს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ც. კ. და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პლენუმზე და რომელიც შეეხებოდა ჯავშნოსანის აგებას, ხმა მისცა სხდომის ოცამდე მონაწილემ.

რეზოლიუციაში არის საიდუმლო ნაწილი, რომელიც ჯერაც არ გამოუქვეყნებიათ. საკითხის განხილვის დროს ლებემ (რეიხსტაგის თავმჯდომარემ) წინადადება შეიტანა, გამოტანილ იქნას წინასწარი დადგენილება, რომ მომავალში სოციალ-დემოკრატებმა ჯავშნოსანის ასაგებად შემდგომი თანხების გამოთხოვის დროს წინააღმდეგ არ მისცენ ხმა.

ეს წინადადება უარყოფილ იქნა რეიხსკანცლერის მიულლერის წინადადებით. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ რეზოლიუციის მიზანია მხოლოდ „შენელება" სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის საპროტესტო მოძრაობისა.

მემარცხენე ბურჟუაზიული პრესა აცხადებს, რომ მიღებული რეზოლიუცია ვერ გამოდგება სოციალ-დემოკრატიის შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად.

„მონტაგ მორგენი" სწერს:

„ჯავშნოსანის ისტორიას შეიძლება ის შედეგი მოჰყვეს, რომ სოციალ-დემოკრატები დაჰკარგავენ თავიანთი მომხრეების ნახევარს კომუნისტების სასარგებლოდ".

გერლახი „ველტამ მონტაგ"-ში სწერს:

მასებში ისეთი სულიერი განწყობილებაა, არჩევნები რომ იყოს, დეპუტატის რამდენიმე ათეულ ადგილზე სოციალ-დემოკრატების მაგივრად კომუნისტებს ამოირჩევდნენ, დემოკრატები კი ნახევარ თავიანთ ადგილებს დაჰკარგავდნენ. არის მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან მასიურად გაქცევის წინააღმდეგ: სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ყველგან ცხარე პროტესტი უნდა განაცხადონ ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ".

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

პოლონეთის პასუხი ლიტვის ნოტაზე

ვარშავა, 20 აგვისტო, პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ლიტვის პრემიერ-მინისტრს ვოლდემარასს კოვნოში შუმლაკოვსკიმ გადასცა პოლონეთის მთავრობის პასუხი ლიტვის 18 აგვისტოს ნოტაზე. პოლონეთის დელეგაცია აცხადებს, რომ ის მზადაა შეხვდეს ლიტვის დელეგაციას კენიგსბერგში 22 აგვისტოს, მაგრამ ამ შემთხვევაში პოლონეთის დელეგაციის სათავეში გოლუვკო იქნება. პოლონეთის დელეგაცია თანახმაა, რომ კონფერენცია შეიკრიბოს ჟენევაში, 25 აგვისტოს, და მაშინ ზალესკი მონაწილეობას მიიღებს მასში.

პოლონეთის პასუხს ხელს აწერს ზალესკი.

„დათმობის მაქსიმუმი"

ვარშავა, 20 აგვისტო. ვარშავის პრესა კომენტარიებს უკეთებს პოლონეთის ნოტის ტექსტს, რომელიც შუმლაკოვსკიმ ლიტვის მთავრობას გადასცა. პრესა აღნიშნავს, რომ ნოტა პოლონეთის მხრივ ლიტვისადმი „დათმობის მაქსიმუმ"-ის გამოხატულებაა".

„კურიერ პორანნი" პესიმისტურად უყურებს კენიგსბერგის კონფერენციის პერსპექტივებს, რომელიც „შეიძლება ზალესკისა და ვოლდემარასის მონაწილეობის გარეშე შესდგეს".

პილსუდსკი გაემგზავრა რუმინეთში

ვარშავა, 20 აგვისტო, პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დილით 19 აგვისტოს პილსუდსკი გაემგზავრა რუმინეთში. (ადს).

ვარშავა, 20 აგვისტო. პრესის ცნობით, პილსუდსკი ერთ თვეს დარჩება რუმინეთში. შვებულების გათავების წინ პილსუდსკი გაემგზავრება ბუქარესტში, სადაც ინახულებს რუმინეთის მთავრობის წევრებს. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ლიტვის პასუხი პოლონეთის წინადადებაზე

კოვნო, 21 აგვისტო. გაზეთების ცნობით, ლიტვის მთავრობა შუმლიაკოვსკისთვის (პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელიარიის უფროსი) ჩაბარებულ ნოტაში აცხადებს, რომ მიუღებლად მიაჩნია პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის მოწვევა როგორც კენიგსბერგში 22 აგვისტოს, ისე ჟენევაში 25 აგვისტოს. პასუხში აღნიშნულია, რომ პირველ შემთხვევაში ზალესკის დაუსწრებლობა შეუძლებლად გახდიდა ვოლდემარასის მონაწილეობას, ხოლო მეორე შემთხვევაში ვოლდემარასის მონაწილეობას დააბრკოლებდა ფრიად სერიოზული მუშაობა ლიგის სესიასთან დაკავშირებით. შემდეგ, პასუხში ნათქვამია, რომ საზოგადოთ ამ დროს მდგომარეობა ჟენევაში არ იქნებოდა ხელსაყრელი კონფერენციის მუშაობისათვის.

გაზეთ „ეპოქა"-ს ცნობით, ლიტვის საპასუხო ნოტა შეიცავს წინადადებას იმის შესახებ, რათა ორთავე მინისტრმა (ვოლდემარასმა და ზალესკიმ) შეხვდნენ ერთმანეთს ჟენევაში და იქ ურთიერთ შეთანხმებით განსაზღვრონ ვადა შემდგომი მოლაპარაკებისათვის (ადს).

საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წლის თავზე

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. უორკერს პარტიის განზრახული აქვს საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წლის თავი, რომელიც სრულდება 22 აგვისტოს, აღნიშნოს მთელს შტატებში კრებებით მთელ კვირის განმავლობაში. უორკერს პარტის ცეკამ გამოაქვეყნა მიმართვა მუშებისადმი, რომელშიაც მოუწოდებს მათ, მონაწილეობა მიიღონ მასიურ დემონსტრაციებსა და მიტინგებში, აგრეთვე მხარი დაუჭირონ რემედასის მოთხოვნილებას ყველა პოლიტიკურ პატიმრის განთავისუფლების შესახებ და პროტესტი გამოსთქვან კლასობრივი იუსტიციის წინააღმდეგ.

საბჭოთა ჟურნალისტები ოსლოში

ოსლო, 20 აგვისტო. საბჭოთა გაზეთების სპეციალური კორესპონდენტები ყინულის მჭრელ „კრასინ"-ზე, რომელნიც გზად იმყოფებოდნენ ოსლოში, მიიწვია ფიორდებში გასასეირნებლად შპიცბერგენის შემსწავლელ ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. გულიმ.

საღამოს ჟურნალისტების კლუბმა გამართა ოსლოში ჩაი საბჭოთა ჟურნალისტების პატივსაცემად. (ადს).

კელლოგის გამგზავრება პარიზში

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კელლოგი და კანადის პრემიერი მაკენზი-კინგი პარიზში გაემგზავრნენ.

ალბანეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები

ვენა, 20 აგვისტო. დამთავრდა ალბანეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები, დამფუძნებელ კრებას იწვევენ კონსტიტუციის შესაცვლელად. მთავრობის სიამ მიიღო ხმების დიდი უმრავლესობა. დამფუძნებელი კრების მოწვევა განზრახულია 20 აგვისტოსათვის.

ბელგრადის გაზეთების აზრით, დამფუძნებელი კრება მოწვეულია ახმედ-ზოგუს პრეზიდენტად ან მეფედ არჩევის მიზნით.

უცხოელი ტურისტები

მოსკოვი, 21 აგვისტო. სპეციალური მატარებლით ლენინგრადიდან ჩამოვიდა ოთხასამდე უცხოელი ტურისტი, რომელნიც ლენინგრადში ჩამოვიდნენ 17 აგვისტოს გემით „კაპ-პოლონიო" სამხრეთ-ამერიკა—ჰამბურგის ხაზით. ჩამოსულ ტურისტების უმრავლესობას შეადგენენ ესპანელები. არის აგრეთვე სამხრეთ ამერიკელები, გერმანელები, იტალიელები, ინგლისელები და ფრანგები. ტურისტებმა დაათვალიერეს ტრეტიაკოვის გალერეა, რევოლიუციის მუზეუმი და სხვა მუზეუმები. (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 21 აგვისტო. საკ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მე-3 მორიგი პლენუმი გაიხსნება 25 აგვისტოს.

ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის მეორე ტირაჟი

სტალინგრადი, 21 აგვისტო. 20 აგვისტოს საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე გაიხსნა ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის მე-4 ტირაჟი. ქალაქის ყველაზე დიდი შენობა აივსო დამსწრეებით.

მუშებისა და გლეხების მრავალი გამოსვლების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოუწოდებს მშრომელთ ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე თვიური ხელფასის რაოდენობით.

20 აგვისტოს საღამოს სხდომაზე გათამაშებულია 1300 ასმანეთიანი მოგება. (ადს).

საკავშირო სპარტაკიადა

მოსკოვი, 21 აგვისტო. ფინალი რბენაში 110 მეტრზე ბარიერით მოიგო ესტონელმა რეხნმა, მეორე ადგილი დაიჭირა ოვსიანიკოვმა (აზერბეიჯანი), მესამე—იურასოვმა (ამიერ-კავკასია). ინდივიდუალურ ცილობაში პირველი ადგილი დაიჭირა მურაშკომ (წითელი არმია), მეორე პალცევმა (წითელი არმია), მესამე რცხილაძემ (ამიერ-კავკასია). ხტომაში სიმაღლეზე გამორბენით (ქალებისათვის) რატკევიჩი (ამიერ-კავკასია) გადახტა 135 სანტიმეტრზე და გამოვიდა ფინალში.

საყოველთაო ყურადღება მიიქცია ამ.-კავკასიის და უკრაინის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრამ. შეჯიბრებას დაესწრო 8.000 მეტი მაყურებელი. პირველი 45 წუთის განმავლობაში უპირატესობა იყო ამიერ-კავკასიელების მხარეზე, რომლებმაც უცებ იგდეს ხელში ინიციატივა და არც ერთ წუთით არ შეუსუსტებიათ თავისი თამაშის ცოცხალი ტემპი. ამიერ-კავკასიელები თანდათან აძლიერებენ იერიშებს უკრაინელთა კარებზე. ხალხი ტაშს უკრავს ამიერ-კავკასიელთა ლამაზ კომბინაციებს მათი გუნდის ცალკე მოთამაშეებს. საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს ამიერ-კავკასიის გუნდის კაპიტანის —ნახევარმცველთა ცენტრის—ჟორდანიას ლამაზი თამაში. მე-27 წუთზე ამიერ-კავკასიელებმა დაამთავრეს მოხდენილი შეტევა უკრაინელთა მარჯვენა ფლანგზე და შეაგდეს ბურთი მათ კარებში. მიუხედავად ამიერ-კავკასიელთა გააფთრებული შეტევისა, თამაში შესვენებამდე არავითარ შედეგს არ იძლევა. თამაში შესწყდა ასეთი შედეგით: 1:0 ამიერ-კავკასიელთა სასარგებლოდ. თამაშის განახლების შემდეგ ბრძოლა უფრო ხშირად სწარმოებს ამიერ-კავკასიელთა კარებთან. უკრაინელები თანდათან აძლიერებენ თამაშის ტემპს. მე-10 წუთზე საჯარიმო დარტყმით უკრაინელებმა პირველი ბურთი შეაგდეს ამიერ-კავკასიელთა კარებში. ეს პირველი დამარცხება გავლენას ახდენს ამიერ-კავკასიელებზე, რომლებიც უშვებენ მთელ რიგ შეცდომებს უკრაინელთა კარებთან. მე-19 წუთზე უკრაინელებმა კიდევ შეაგდეს ერთი ბურთი ამიერ-კავკასიელთა კარებში. ამგვარად შეჯიბრება დამთავრდა უკრაინელთა სასარგებლოდ. (2:1).

დურუშ შეიტარ კიზის წამება

ალი-ბაირამლი, 21 აგვისტო. 8 საათის თათბირის შემდეგ, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც სადიხოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასტიკი იზოლიაციით და უფლების აყრით 5 წლის ვადით, სადიხ სადიხოვს—თავისუფლების აღკვეთა 6 წლით სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მისი მცირეწლოვანობის გამო სოციალურ დაცვის ღონისძიება შეუმცირდა ერთი მესამედით, გიული ჰასან ალი-კიზის—თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, პირობით—შეუგნებლობისა და ავადმყოფობის გამო, კორამ ორუჯევს—თავისუფლების აღკვეთა 8 წლით და უფლების აყრილად.

ალი გული მეხტიევი და სალახ სადიხოვი სასამართლომ გაამართლა, რადგანაც სცნო, რომ მათ ბრალდება არ დაუმტკიცდათ. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„ჟენევა უჩემბერლენოთ"

მოსკოვი, 21 აგვისტო. „იზვესტია"-ს საკუთარი კორესპონდენტი **ბარისოვი** იტყობინება, რომ ესტონეთის გაზეთ „პოსტიმეს"-ში მოთავსებულია ინგლისის მთავრობის წრეებთან დაახლოვებული ცნობილ ჟურნალისტ ავგურის წერილი: „ჟენევა უჩემბერლენოთ".

ავგური ეხება ერთა ლიგის მორიგ სესიას ჟენევაში და აღნიშნავს, რომ ჩემბერლენის დაუსწრებლობა ერთა ლიგის სესიაზე იქონიებს გავლენას ყველაზე უფრო არასასიამოვნო საკითხის გადაწყვეტაზე. ეს საკითხია პოლონეთ-ლიტვას დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა, ჩემბერლენის ჩაუსვლელობა ჟენევაში, არ შეცვლის ინგლისის პოზიციას ამ საკითხში.

რენეგატები ნიღაბს იხდიან

მოსკოვი, 21 აგვისტო. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი **კაიტი** გადმოგვცემს: რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა და ამავე პარტიის ცენტრალურ კომიტეტის გაერთიანებული თათბირი ცხადჰყოფს, რომ ზედმეტია იმაზე ფიქრი, თითქოს მიღებულ იქნება საქსონელ სოციალ-დემოკრატების წინადადება სოციალისტების მთავრობიდან გამოსვლის შესახებ. რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ ტელეგრაფით აცნობა ქალაქ კილის სათანადო ორგანოებს, რათა ისინი დაუყოვნებლივ შეუდგნენ ჯავშნოსანის აგებას.

მუშების პასუხი მენშევიკ მინისტრებს

მოსკოვი, 21 აგვისტო. „პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტი **გამმა** იტყობინება: წითელ ფრონტელების მოწოდებაზე ლეიპციგში თავი შეიყარა ასეულ ათას მუშებმა, რომლებმაც მოაწყვეს დემონსტრაცია შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს ჯავშნოსანი!", „დაიცავით საბჭოთა კავშირი" „გაუმარჯოს საბჭოთა გერმანიას!"

საბჭოთა კავშირი და ავღანისტანი

მოსკოვი, 21 აგვისტო. ქაბულში გამგზავრების წინ მოსკოვში მყოფ ავღანისტანის მინისტრმა აბდულ ხანმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის მიღწეულია სრული შეთანხმება სავაჭრო ხელშეკრულების დადების საკითხში. სავაჭრო ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ორივე სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებისათვის.

ბრძოლა ალკოგოლის წინააღმდეგ

მოსკოვი, 21 აგვისტო. ამხ. ი. ლარინმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ მთავრობამ მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილება არაყის გამოშვებისა და საერთოდ ლოთობის წინააღმდეგ. შეეხო რა ამავე საკითხს, ამხ. მეჟლაუკმა, როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ მრეწველობა მიესალმება მთავრობის ღონისძიებებს ლოთობის წინააღმდეგ და ყოველნაირად შეუწყობს ხელს მათ განხორციელებას.

ამიერ-კავკასია საკავშირო სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 21 აგვისტო. საკავშირო სპარტაკიადაზე თეფშების სროლაში ამიერ-კავკასიამ დაიჭირა პირველი ადგილი. თოფის სროლაში ამიერ-კავკასიელებს ერგოთ მესამე ადგილი.

უკრაინისა და ამ. კავკასიის შეხვედრა ფეხბურთში

მოსკოვი, 21 აგვისტო. ამიერ-კავკასიისა და უკრაინის ფეხბურთის მატჩმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია და დიდძალი ხალხი მიიზიდა. ამიერ-კავკასიელები დიდი ოსტატობით თამაშობდნენ. მიუხედავად ამისა, გაიმარჯვა უკრაინამ. თამაში დასრულდა 2:1 უკრაინის სასარგებლოდ.

ფეხბურთში ამიერ-კავკასიას უჭირავს მეშვიდე ადგილი, უზბეკისტანს კი მერვე. შემდეგ მიდის ინგლისი, შვეიცარია და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა

ამხ. ნ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა წარმოთქმული კომინტერნის კონგრესის 14 აგვისტოს სხდომაზე

1. იმპერიალისტების გამოძახილი კომინტერნის პროგრამაზე

ვინ იცავს მთლიანობას და ვინ სთიშავს მუშათა მოძრაობას?

მოსკოვი, 21 აგვისტო. ამხანაგებო!

ნება მომეცით შევჩერდე, პირველ ყოვლისა, იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურნენ კომინტერნის პროგრამის პროექტს კომუნიზმის მოწინააღმდეგენი—იმპერიალისტები და სოციალ-დემოკრატები. მენშევიკმა აბრამოვიჩმა ბერლინის „სოციალისტურ ვესტნიკ“-ში მოათავსა ორი დიდი წერილი ამ სათაურით: „მუშათა კლასის გათიშვის და ომის პროგრამა“. წერილები შეიცავენ მრავალ უსირცხვილო ინსინუაციას კომუნიზმის შესახებ. ეს წერილები საკმაოდ ახასიათებენ იმ სისხლის სამართლისა და პოლიციური ხასიათის ლექსიკონს, რომელსაც მიმართავს აბრამოვიჩი, როდესაც იგი ამტკიცებს, რომ კომუნიზმი არ ღაღრიდა „საწამლავისა და ხანჯლის“ ხმარებასაო. ამ წერილებზე ქვემოდაც შევჩერდები. ჩვენს პროგრამას გამოეხმაურა ოტო ბაუერი თავის წერილში „ბრიუსელი—მოსკოვი“, რომელიც დაიბეჭდა ბრიუსელის გაზეთში „ლე პეპლ“. ოტო ბაუერი, სხვათა შორის, აცხადებს:

„თუ მოსკოვის კონგრესი ეხლა უფრო, ვიდრე როდესმე, მიმართავს მთელ თავის ძალღონეს იქითკენ, რომ გასთიშოს მუშათა საერთაშორისო კლასი, სამაგიეროდ ბრიუსელის კონგრესმა უნდა მოუწოდოს ყველა ქვეყნის გაყვლეფილებს, დაიცვან მთლიანობა და იბრძოლონ იმპერიალიზმისა, ომისა და უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ“.

ამგვარად, ოტო ბაუერი გვარწმუნებს, ვითომ სოციალ-იმპერიალისტების ბრიუსელის კონგრესი იბრძვის მუშათა კლასისა და კოლონიალური ხალხების ერთობისათვის. მაშინ, როდესაც ჩვენი კომუნისტური კონგრესი „მუშათა რიგების გათიშვის“ კონგრესია. ამ ცინიკური მტკიცების დარღვევა, ჩემის აზრით, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

საკმაოა გავითვალისწინოთ მუშათა მოძრაობის სულ უკანასკნელი ამბები, რომ დავრწმუნდეთ, თუ ვინ იცავს ამჟამად მსოფლიო პროლეტარიატის მთლიანობის იდეას და ვინ სთიშავს კაპიტალიზმის სასიამოვნოდ მუშათა კლასის რიგებს. ვინ სდევნის კომუნისტებს პროფკავშირებიდან ინგლისსა, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, ვინ მიიტანა იერიში ფაბრიკა-ქარხნების პატრონებთან ერთად კომუნისტი მუშების წინააღმდეგ, თუ არა რეფორმისტებმა? განა ტაქტიკური გეზის შეცვლა, რომელიც მოახდინა კომინტერნის ალმასკომმა და რომელიც ამჟამად კონგრესმა მოიწონა, პირველ ყოვლისა, იმით არ არის გამოწვეული, რომ რეფორმისტული პარტიებისა და პროფკავშირების ზედაფენები უფრო და უფრო ესისხლხორცებიან კაპიტალისტურ ორგანიზაციებს და უფრო და უფრო ღრმად სთიშავენ მუშათა მოძრაობას?

მუშათა რიგებისა და, პირველ ყოვლისა, პროფკავშირების გათიშვის ტენდენცია განსაკუთრებით ახლაა დამახასიათებელი თითქმის ყველა ქვეყნის რეფორმისტების პოლიტიკისათვის. რეფორმისტი ბელადები, სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების ბელადები, ამსტერდამისა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერები იბრძვიან პროფკავშირების საერთაშორისო მთლიანობის იდეის წინააღმდეგ. ცხადზე უცხადესია, თუ რომელი კლასის ინტერესებისათვის ანხორციელებენ რეფორმისტი ბელადები პროფკავშირების გათიშვის პოლიტიკას. გერმანიის საწარმოთა პატრონების გაერთიანების ჟურნალ „დამქირავებელის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია დიდი წერილი ჩვენი პროგრამის შესახებ. წერილს ეწოდება: „კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა“. იგი პროექტს მეტად დამახასიათებელ შეფასებას იძლევა:

„არაკომუნისტებისათვის პროგრამა წარმოადგენს ეპოქის საინტერესო დოკუმენტს და ამავე დროს ძვირფას საშუალებას იმ პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ძალების შესაცნობად, რომლებთანაც ჩვენ საქმე გვექნება უახლოეს ხანში. კომუნისტური ინტერნაციონალი ის ინსტანციაა, რომელიც ყველა კომუნისტური ნაციონალური სექციისა და, მაშასადამე, გერმანიის კომუნისტური პარტიის სათავეშიაც სდგას. ამიტომ კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა ისეთი პროგრამაა, რომლის ჩარჩოებშიაც უნდა მოექცეს გერმანიის კომპარტიის პროგრამაც. კომინტერნი დირექტივებს იძლევა საპროფკავშირო პოლიტიკის დარგშიც, ხოლო შემდეგ წითელი პროფინტერნი კონკრეტიულად აყალიბებს ამ დირექტივებს. ის მუშა-კომუნისტებიც, რომლებიც ეკუთვნიან არა წითელი პროფინტერნის ორგანიზაციებს, არამედ პროფკავშირების მეორე (ამსტერდამის) ინტერნაციონალის ორგანიზაციებს, უნდა მისდევდნენ კომინტერნის პროგრამაში მოცემულ პრინციპებს. ამგვარად, ეს პროგრამა წარმოადგენს ინსტრუქციას თავისუფალი პროფკავშირების ხელმძღვანელი ოპოზიციონური ჯგუფებისათვის და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა საკმაოდ დიდია ბურჟუაზიული, კერძო მეურნეობის ქვეყნების შინაური ეკონომიური მშვიდობიანობისათვის. ამიტომ ცალკეულ საწარმოს პატრონისათვის და გაერთიანების ხელმძღვანელისათვის მარტო საინტერესო კი არა, საჭიროც არის გაეცნოს კომინტერნის პროგრამის უმნიშვნელოვანეს დებულებას“.

როგორც ხედავთ, ჩვენს პროგრამას დიდ ყურადღებას აქცევენ საწარმოთა პატრონების წრეებში. მაგრამ ციტატა ამისთვის არ მოვიყვანე. დამახასიათებელია ის, თუ რაში ხედავენ გერმანიის საწარმოთა პატრონები კომუნისტების მუშაობას პროფკავშირებში. ჩემ მიერ მოყვანილი ადგილი არსებითად ნიშნავს ბრძანებას რეფორმისტი ლიდერების მიმართ, რომ მათ გამორიცხონ ჩვენი ამხანაგები პარტიებიდან და, საერთოდ, ოპოზიცია თავისუფალი პროფკავშირებიდან.

სწორედ ასეთი აზრი აქვს ჩვენი პროგრამის იმ შეფასებას, რომელსაც საწარმოთა პატრონები იძლევიან. უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პროფკავშირების რეფორმისტი ლიდერები და სოციალ-დემოკრატი ბელადები ხელიხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ საწარმოთა პატრონებთან ერთად, რათა აღმოფხვრან კომუნისტური „კრამოლა“ წარმოებებსა და პროფკავშირებში. ადამიანი ცინიზმის საზღვარს უნდა გადასცილდეს, რომ კომუნისტებს უსაყვედუროს მუშათა კლასის რიგების გათიშვა.

თუ ახლა მეორე საკითხს დავსვამთ, სახელდობრ, მონოპოლისტური ქვეყნების სამრეწველო პროლეტარიატისა და კოლონიალური ქვეყნების დაჩაგრული კლასების ერთობის საკითხს, ჩვენ გაუჭირვებლად შეგვეძლება აღვნიშნოთ, რომ აქ სოციალ-დემოკრატია გათიშვის მთესველი.

თუ მეორე ინტერნაციონალის ბრიუსელის კონგრესის ანალიზს მოვახდენთ კოლონიალურ საკითხში, დავრწმუნდებით, რომ მისი ხელის მოწერა შეეძლო ყოველ იმპერიალისტურ მთავრობას. რეფორმისტებისა და იმპერიალისტების კოლონიალურ პოლიტიკაში თითქმის არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს. განა ამას არ ადასტურებს მეორე ინტერნაციონალის კონგრესის კოლონიალური სტუმრების პროტესტი? განა კოლონიალურ საკითხში რეფორმისტების იმპერიალისტური გეზით არ არის გამოწვეული ის უამრავი პროტესტი, რომელიც გაისმის ანტი-იმპერიალისტური ლიგიდან მეორე ინტერნაციონალის პოზიციის წინააღმდეგ კოლონიალურ საკითხში? სწორედ ახლა, როდესაც ჩინეთის ბურჟუაზია ჩინეთის მუშათა კლასის სისხლისმსმელ ჯალათად გადაიქცა, სწორედ ახლა და არა წინათ, არა „ჩრდილოეთის ლაშქრობის“ დროს, მეორე ინტერნაციონალმა თავის კონგრესზე მიიწვია გომინდანი, სულთამხუთავებისა და ჯალათების პარტია.

ეს ყველაზე ნათლად ადასტურებს, რომ მეორე ინტერნაციონალი წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც იმპერიალისტების ინტერესებისათვის გათიშვას სთესს მეტროპოლიის სამრეწველო პროლეტარიატსა და კოლონიალური ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს შორის.

მეორე ინტერნაციონალი მართლაც ანსახიერებს „მთლიანობის“ იდეას,—მუშათა კლასის ზოგიერთი ფენების, მუშათა არისტოკრატიის მთლიანობას იმპერიალიზმთან რევოლუციონური მუშების წინააღმდეგ და კერძოდ კოლონიების მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ. ასეთი მთლიანობის წინააღმდეგ კომუნისტური ინტერნაციონალი იბრძოდა და იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

აბრამოვიჩების სულელური ლაყბობა და ბიუკენენის მოწმობა

ჩვენ გვიყენებენ პროვოკაციულ ბრალდებებს, თითქოს პროლეტარული სახელმწიფო მსოფლიო ომის „წამქეზებელია“, თითქოს კომინტერნი ის ძალაა, რომელიც ომს „იწვევს“, თითქოს კომინტერნის პროგრამა ნიშნავს „ომის პროვოკაციას“-ო. ამ პროვოკაციულ ბრალდებებზე პასუხის გასაცემად უკეთესი იქნება წარსულის ზოგიერთ დოკუმენტებს დაუპირისპიროთ ის, რასაც ჩვენს შესახებ სწერენ სოციალ-დემოკრატები. ბატონი აბრამოვიჩი „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ის № 15-ში სწერს:

„თუმცა კომუნისტების რისხვას დავიმსახურებთ, მაგრამ მაინც უნდა განვაცხადოთ: დიახ, ევროპის ბურჟუაზია გაცილებით უფრო მეტად თრთის იმ რეალური აუცილებლობის წინაშე, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ნაწილი უნდა გადასცეს მასთან კოალიციაში მყოფ სოციალ-დემოკრატიას, ვიდრე „კომუნისტური რევოლუციის“ ბუტაფორული ჭექა-ქუხილის წინაშე: ვინაიდან პირველი არის რეალობა, რომელიც დაუყოვნებლივ ხორციელდება სინამდვილეში და უშუალოდ იჩენს თავს მრავალ პოლიტიკურ და ეკონომიურ დათმობაში, რაც აუცილებლად ეხლავე, დღესვე უნდა მიეცეს მუშათა ფართო მასებს, მაშინ როდესაც მთელი კომინტერნის მიზნები თავისი პროპაგანდით და რევოლუციონური პერსპექტივებით არის რაღაც ისეთი, რაც შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არც განხორციელდეს; ამავე დროს კომინტერნი დღეს მთელ ხელისუფლებას კვლავ ბურჟუაზიას უტოვებს“.

ამგვარად, სოციალ-დემოკრატების კოალიცია ბურჟუაზიასთან ნიშნავს „ხელისუფლების ნაწილის გადაცემას მუშათა კლასისათვის“! ამაში მდგომარეობს სოციალ-დემოკრატიული პარტიების „დახმარება“, მაშინ, როდესაც კომინტერნი თურმე იმდენად „ოპორტუნისტულია“, რომ „ხელისუფლებას კვლავ ბურჟუაზიას უტოვებს“. ბატონ აბრამოვიჩს არ სცხვენია მიმართოს ასეთ სულელურ და სასაცილო არგუმენტაციას და შეგნებულად დაუკავშიროს იგი ომის პრობლემას.

ამხანაგებო, როცა ვათვალიერებდი ინგლისის ყოფილი ელჩის (რუსეთში) ჯორჯ ბიუკენენის მემუარებს, იქ აღმოვაჩინე აბრამოვიჩის „შესანიშნავი“ წერილის საკმაოდ საინტერესო ილიუსტრაცია. ბიუკენენი, ეს გამოცდილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, ინგლისის ყოფილი ელჩი რუსეთში 1917 წელს, ახასიათებს სოციალ-დემოკრატიის ბელადების და მუშათა პარტიის ლიდერების როლს წარსულ იმპერიალისტურ ომში და აღწერს ამ „ხელისუფლების ნაწილის“ „მუშათა კლასის ხელში გადასვლის“ მექანიკას. ეს ფრიად საინტერესო წიგნია. ასეთი წიგნები, დოკუმენტები და მემუარები კომინტერნმა უნდა გამოსცეს. ნება მომეცით, წავიკითხო რამდენიმე ნაწყვეტი ამ მემუარებიდან. ბიუკენენი პირველად რუსულ მენშევიზმს ეხება.

„წერეთლის სახელი (მენშევიკების ბელადი 1917 წელს, კაუცკის ეხლანდელი მოკავშირე) ჩემს სახელს დაუკავშირეს, რაც საკმაოდ საოცარი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ბიოგრაფიას. ჩვენ გვასახელებენ აღნიშნული მოძრაობის მთავარ მოქმედებად. ეს ბრალდება წარმოიშვა უეჭველად იმის გამო, რომ ჩვენ მოკავშირეთა აქტიურ პროპაგანდას ვეწეოდით ომის სასარგებლოდ და გერმანიის სიცრუის გამოსააშკარავებლად“.

ძალთა დაჯგუფება 1917 წელს, როგორც ხედავთ, სავსებით ნათელია: მენშევიკების ბელადი ინგლისის იმპერიალიზმის წარმომადგენლებთან ლორდ ბიუკენენთან ერთად ეწევა აქტიურ პროპაგანდას ომის სასარგებლოდ, ისინი ერთად ააშკარავებენ „გერმანიის სიცრუეს“. არა ნაკლებ საინტერესოა ის, თუ როგორ წარმოიშვა ჰენდერსონის მისია პეტერბურგში. ბიუკენენი თავის მემუარებში სწერს:

„24-ს მივიღე დეპეშა ლორდ რობერტ სესილისა, რომელიც მაშინ გარეშე საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა. დეპეშაში სესილი მატყობინებდა, რომ სამხედრო კაბინეტი საჭიროდ სთვლის სეჩქმნას რუსეთის სოციალისტებში და მუშებში უფრო კეთილსასურველი დამოკიდებულება ომისადმი და გაფანტოს ყალბი შთაბეჭდილება, რომელიც რუსეთში გავრცელდა ჩვენი მიზნების შესახებ. ვინაიდან მუშათა პარტიის ბელადებს გაცილებით მეტის წარმატებით შეუძლიათ შეასრულონ ეს მოვალეობა, ვიდრე სხვა ვინმეს, კაბინეტმა გადასწყვიტა, გაგზავნოს ჰენდერსონი რუსეთში სპეციალური მისიით“ (სიცილი).

ხომ ხედავთ, რაში მდგომარეობს „ხელისუფლების გადაცემა“. იმპერიალისტი ჯალათები ხელისუფლების ნაწილს აძლევენ ჰენდერსონებს, რომელთაც აგიტაცია უნდა გასწიონ იმისათვის, რომ რუსი სოციალისტები და მუშები მიემხრონ იმპერიალისტური ომის გაგრძელებას.

თქვენ კარგად იცით, რომ რუსმა მენშევიკებმა ძალიან შეუწყვეს ხელი ჰენდერსონს, რათა მას წარმატებით შეესრულებია თავისი მისია, მისია იმ ადამიანისა, რომელიც აღჭურვილი იყო ბრიტანეთის იმპერიის იმპერიალისტური აგიტატორის მანდატით. მიუხედავად ამისა, ჰენდერსონმა რუს მუშებს შორის ვერაფერი გააწყო (სიცილი). მემუარებს შემდეგ გვერდზე მოხსენებულია არა მარტო წერეთელი და ჰენდერსონი, არამედ მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელთა მთელი თაიგული, მეორე ინტერნაციონალის მთელი ზედა ფენა. ამ თავს შეიძლება ვუწოდოთ: „როგორ მუშაობენ მეორე ინტერნაციონალის ბელადები“, როგორ მუშაობენ იმისათვის, რომ „პროლეტარიატმა დაიპყროს პოლიტიკური ხელისუფლება და გააჩაღოს ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ“.

მეორე დღეს ჰენდერსონმა ისადილა ლვოვთან და ტერეშჩენკოსთან ერთად. სხვა სტუმრებს შორის იყვნენ სოციალისტი ვანდერველდე და საფრანგეთის მომარაგების მინისტრი ალბერ ტომა, რომელმაც პალეოლოგის გამგზავრების გამო ელჩის მოვალეობა იკისრა. რუსეთში ალბერტ ტომამ ორი თვე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში იგი შეეცადა დაერწმუნებია მინისტრი (კერენსკი), რომ აუცილებელია მტკიცე პოლიტიკა შინაური მდგომარეობის მოსაგვარებლად; მეტიც: იგი თავისი მჭერმეტყველებით სცდილობდა გამოეწვია ხალხში ენტუზიაზმი ომისადმი. „სოციალისტი“ ტომა არწმუნებდა „სოციალისტ“ კერენსკის, აეღო „მტკიცე“ კურსი რუსეთში. ტომა ინსტრუქციებს აძლევდა კერენსკის — ჩაეხშო მუშათა მასების ყოველგვარი უკმაყოფილება იმპერიალისტური ომის გაგრძელების წინააღმდეგ. ტომა იდეური სულისჩამდგმელი იყო პეტერბურგის რევოლუციონური მუშების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიებისა. ყოველივე ეს მშვენივრად ახასიათებს ამ ვაჟბატონების ცხოვრებას და მუშაობას.

შემდეგ ნათქვამია: „პეტროგრადში, მოსკოვში და ფრონტზე (ტომა გამოდიოდა ჯარისკაცებისა და მუშების მრავალრიცხოვან მიტინგებზე, მაგრამ მისი ბრალი არ არის, თუ თესლი, რომელსაც ის სთესდა, უნაყოფო ნიადაგზე ეცემოდა. ჩვენ ყოველთვის გვიხაროდა მისი დანახვა თუნდაც მარტო იმიტომ, რომ მთელი მისი არსება გამსჭვალული იყო სიცოცხლით და დარდსა და სევდას გვიქარწყლებდა“. (ძლიერი სიცილი).

„სადილის შემდეგ საუბრის დროს იგი შემეკითხა: „რას იტყოდით, თქვენ რომ რამდენიმე წლის წინად გაგეგონათ, რომ მე და ორი სხვა სოციალისტი ოდესმე თქვენი სტუმრები ვიქნებით?“—მარტო ფიქრი ამგვარ ამბავზე შემაკრთობდა მეტად,—ვუპასუხე მე.—ომმა ყოველივე ეს შესცვალა, ეხლა ჩვენ ყველანი „ამხანაგები ვართ“ (მთელი დარბაზის ხანგრძლივი სიცილი).

ამხანაგებო, რას მოწმობს ნამდვილად ყველა ეს „კურიოზული“ ადგილი? ეს უნდა მოწმობდეს, ალბად, იმას, რომ ეს ვაჟბატონები „იბრძვიან“ ომის წინააღმდეგ. ჩვენ კი, თურმე, „ომს ვემხრობით“. აი, ეს მეორე ინტერნაციონალი ვანდერველდეს, ჰენდერსონის და ტომასის მეთაურობით,—თურმე ჩვენზე გაცილებით უკეთესად აწარმოებს ბრძოლას ომის წინააღმდეგ! მეორე ინტერნაციონალის ბელადები „სიცოცხლით“ არიან „გამსჭვალულნი“, ისინი „პესიმიზმს“ არ ეძლევიან. აი ეს მინისტრები იყვნენ და არიან სახელმწიფო ძალა-უფლების ნამდვილი მატარებელნი, ძალა-უფლებისა, რომელიც „პროლეტარიატის ხელში იმყოფება“. მართლაც, უაღრესად რეგვენი უნდა იყოს კაცი, რომ ვერ მიხვდეს ამ ვაჟბატონების ფუნქციონალურ როლს. ბიუკენენი საუცხოვოდ ახასიათებს მათ „ბრძოლას“ ომის წინააღმდეგ, როცა ის სწერს, რომ არც ერთ პირს, არც ერთ ხელისუფლებას და არც ერთ ჯგუფს ასე კარგად არ შეუსრულებია იმპერიალისტური ომის პროპაგანდისტის როლი, როგორც მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა შეასრულესო. იგივე შეიძლება ითქვას გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შესახებ. მოიპოვება მრავალი დოკუმენტი და მემუარი, რომლებიც გვამცნობენ იმას, თუ რას აკეთებდნენ ებერტი და სხვა ბელადები, რას აკეთებდნენ მიულერი, პარვუსი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მთელი ცეკა, როგორ „იბრძოდნენ“ ისინი ომის წინააღმდეგ. ასე იდგა საკითხი პირველი იმპერიალისტური ომის დროს. (ადს).

სოციალ-დემოკრატია მსოფლიო ომის სამსახურში

ეხლა რაღას ვხედავთ? განა სოციალ-დემოკრატების პოზიცია გაუმჯობესდა? განა შეიცვალა მათი თეორია? განა გაუქმებულია თეზისი „სამშობლოს დაცვის“ შესახებ? პირიქით, ეს თეორია ამჟამად უფრო ღრმად ვითარდება და გაცილებით უფრო უსინდისო ფორმას ღებულობს ომის საკითხში. განა კაუცკი, რომელიც ამჟამად ქადაგებს კონტრრევოლუციონურ აჯანყებებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გაბედავდა წინად ჩაედინა მსგავსი რამ? ავიღოთ ჰილფერდინგის გამოსვლები საგარეო პოლიტიკის საკითხებში, როდესაც იგი თეორეტიულად ასაბუთებდა საბჭოთა კავშირის განადგურების აუცილებლობას იმპერიალისტების შეერთებული ძალებით,—განა შეეძლო მას წინად ელაპარაკა ისე, როგორც დღეს ლაპარაკობს? ჰენდერსონი და სხვა მოკავშირეები ბიუკენენისა გაცილებით უფრო გათახსირებულნი არიან ამჟამად, ვიდრე წინად იყვნენ. ჩვენ არასოდეს არ მოვსწრებივართ ასეთ სისაძაგლეს სოციალ-დემოკრატების მხრივ, როგორც ამჟამად. და ამ ხალხს ჰყოფნის გამბედაობა ილაპარაკოს, რომ ისინი აწარმოებენ ბრძოლას ომის წინააღმდეგ! ამაში ხომ სიმართლის ნატამალიც არ არის. ეს ხალხი ლაპარაკობს „ომის პროვოკაციის“ შესახებ ჩვენის მხრივ და ამ პროვოკაციას ხედავს იმაში, რომ ჩვენ ვაფრთხილებთ მსოფლიო პროლეტარიატს და მიუთითებთ ომის გაძლიერებულ საფრთხეზე, იმაში, რომ ჩვენ სიმართლეს ვეუბნებით მუშათა კლასს, ნათელვჰყოფთ მისთვის ომის აუცილებლობას, ვეუბნებით, რომ ბურჟუაზია ამზადებს ახალ იმპერიალისტურ ომს. იმავე აბრამოვიჩს, მაგალითად, თავის პირველ წერილში სრულიად გარკვეული პოზიცია უჭირავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ომის საკითხში. დაუგდეთ ყური, რას სწერს აბრამოვიჩი: „ჩვენ უნდა შევჩერდეთ ბოლშევიკების ამ თავისებურ „განდიდების მანიაზე“. ისინი ცდილობენ (ვითომ სერიოზულად?) და დაარწმუნონ თავიანთი თავი და სხვებიც, რომ „კაპიტალისტური მსოფლიო თრთის პროლეტარიატის მრისხანე აჩრდილის წინაშე, რომელიც შეჰყურებს მათ—საბჭოთა კავშირის ისტორიული გამოცდილებიდან“, რომ კაპიტალისტური სახელმწიფონი სიზმარშიც იმას ხედავენ, თუ როგორ შეუტიონ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანას.. დიდი ხანია განვლეს ამ გმირულმა პერიოდებმა კაპიტალისტური მსოფლიოს „დამშვიდებით სძინავს“, საბჭოთა კავშირის „თავბრუდამხვეველი“ წარმატებისა და მთელი „კომუნისტური პროპაგანდის მიუხედავათ“.

აქედან სჩანს, თუ რა დიდი განსხვავებაა ჩვენსა და სოციალ-დემოკრატიის შორის ომის საფრთხის საკითხში. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ბურჟუაზია გაფაციცებით ემზადება ომისათვის. სოციალ-დემოკრატების თეორეტიკოსები კი ამბობენ, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოს „დამშვიდებით სძინავს“-ო.

როდესაც ჩვენ ვამბობთ: კაპიტალისტურ მსოფლიოს სრულებითაც არ სძინავს, იგი ფხიზლადაა, იგი მთელი თავისი ენერგიით ემზადება ომისათვის ტეხნიკური, სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიური მხრივაც კი—მაშინ ეს ვაჟბატონები აცხადებენ, რომ ჩვენ ვეწევით ომის „პროვოკაციას“. რა უნდა გვქონდეს საერთო ისეთ ხალხთან, რომელიც ვერ ჰხედავს, რომ ომის მიზეზი არის სოციალური და ეკონომიური ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ ამ ბრძოლის დასაფარავად, რათა მუშებმა არ შეაჩერონ თავიანთი ყურადღება ბურჟუაზიის გააფთრებულ შეიარაღებაზე, მის დიპლომატიურ სამზადისზე, ომის წარმოშობის ისტორიულ აუცილებლობაზე ამ პირობებში.

მე ვფიქრობ, თუ ანალიზს გავუკეთებთ ამ ორ საკითხს—მუშათა კლასის და, განსაკუთრებით, პროფკავშირთა გათიშვის საკითხს და ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, ჩვენ უფლება გვექნება დამშვიდებულის სინდისით ვსთქვათ: ჩვენი პროგრამა ბრძოლის პროგრამაა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, იგი პროლეტარიატის კლასობრივი მთლიანობის პროგრამაა.

ამიტომ არ გვსურს ჩვენ კავშირი ბურჟუაზიასთან, სოციალ-დემოკრატიასთან, ამიტომ ვქადაგებთ პროლეტარიატის დიქტატურას. მე ვფიქრობ, რომ, ჩვენი მუშაობის დამთავრების შემდეგ, ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავაძლიეროთ სოციალ-დემოკრატიის გაუგონარი სიცრუის გამოაშკარავება, და ეს საქმე უნდა შევასრულოთ კონკრეტულად, ცოცხლად, იმ ფორმით, რომელიც მისაწვდენი იქნება მუშათა კლასის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ფენებისათვისაც. ჩვენ ყოველმხრივ უნდა ნათელვჰყოთ ეს სიცრუვე სოციალ-დემოკრატიისა და სისტემატიური ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ამ სიცრუის წინააღმდეგ. აი, ამხანაგებო, ის შენიშვნები, რომელნიც იძულებული ვიყავი გამეკეთებია იმ გამოძახილის გამო, რომელიც ჰპოვა ჩვენმა პროგრამამ ბურჟუაზიული სოციალ-დემოკრატიის მხრივ.

2. შესავალის შესახებ

მარქსის თეორია და კომინტერნის პროგრამა

ჩვენ თითქმის ნახევრამდე მივიყვანეთ ჩვენი საპროგრამო კომისიის მუშაობა, ე. ი. დავამთავრეთ საერთო დისკუსია. უნდა აღვნიშნო, რომ კომინტერნის კონგრესზე, საზოგადოთ, და პროგრამის განხილვის დროს, კერძოდ, პირველად ჰქონდა ადგილი ასეთ გაცხოველებულ დისკუსიას. არასოდეს არ შემოსულა ამდენი შესწორება და ამდენი წინადადება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, არასოდეს არ გამოთქმულა ამდენი კრიტიკული აზრი. ჩვენ განვიხილეთ მრავალი პრობლემა. თუ არ შევჩერდებით კერძო ხასიათის შესწორებებზე და მოვიხსენიებთ მარტო იმ პრობლემებს, რომლებიც განხილულ იქნენ, საჭირო იქნება აღვნიშნოთ, რომ საპროგრამო კომისიაში ჩვენ შევეხეთ 100-ზე მეტ საკითხს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია კონგრესს მივცეთ ანგარიში ყველა ამ საკითხის შესახებ. საპროგრამო კომისიის მუშაობის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავათ, მე იძულებული ვარ ვილაპარაკო მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთაც ყველაზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ.

უწინარეს ყოვლისა შევეხები შესავალს. ზოგიერთ ამხანაგებს ემჩნეოდა შესავლის გამოშვების, ამოშლის ტენდენცია. კონგრესის პლენუმზე გამართულ დისკუსიაში პროგრამის შესახებ ამხანაგები მხარს უჭერდნენ შესავლის დატოვებას. ჩემის აზრით, ასეთი შესავლის დატოვება მართლაც უმჯობესი იქნება. შესავალში ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი რევოლუციონური ტრადიციების ისტორიულ თანამიმდევრობას და ნათელვჰყოფთ კომინტერნის წარმოშობის ისტორიულ პირობებს. ეს კარგად შენიშნეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა. ჟურნალი „დამქირავებელი“, მაგალითად, შემდეგს სწერს ჩვენი პროგრამის შესახებ: „კომინტერნის პროგრამა მეტად მოხერხებულად სცდილობს გამოიყენოს ყველა ემოციონალური ფაქტორი, რომელსაც შეუძლია ითამაშოს როლი მასებს შორის პროპაგანდაში“,

ეს განსაკუთრებით აშკარაა, როდესაც პროგრამა ლაპარაკობს საყოველთაოდ აღიარებული სოციალ-დემოკრატიული ავტორიტეტების შესახებ. მე-2 ინტერნაციონალი გამოყვანილია ისეთ ორგანიზაციად, რომელიც თავის თავად არ არის ცუდი და ერეტიული, მაგრამ რომელიც 1914—18 წლების მსოფლიო ომის პერიოდში მისი ოპორტუნისტული ბელადების წყალობით გადაგვარდა და გაკოტრდა“.

რა თქმა უნდა, მე მაინცა და მაინც არ დავიცავ ყოველი ამ სიტყვის სისწორეს. ჩემის აზრით, ჩვენი ბურჟუაზიული მოწინააღმდეგე მეტად გონიერად იქცევა, როდესაც იგი ასე აფასებს ჩვენი პროგრამის შესავალს. ჩვენ სრულებითაც არ გვსურს გავსწყვიტოთ კავშირი ძველ რევოლუციონურ ტრადიციებთან: მარქსისა და ენგელსის მემკვიდრენი ჩვენა ვართ და არა სოციალ-დემოკრატიული პარტიები.

მე მსურს აქ შევასწორო ერთი, ჩემის აზრით, უნებლიეთ შეცდომა ამხ. დენგელის გუშინდელ სიტყვაში. შესავლის საკითხის განხილვის დროს ამხ. დენგელმა, სხვათა შორის სთქვა:

„ლენინიზმი, რომელიც წარმოადგენს მარქსიზმის განვითარებას და დამატებას, გვიჩვენებს გზას, რომლითაც უნდა იქნეს წარმართული ჩვენი მოქმედება“.

რა თქმა უნდა, ამხ. დენგელს აზრადაც არ ჰქონია ლენინიზმის დაპირისპირება მარქსიზმისათვის, მაგრამ სიტყვა „დამატებას“ შეუძლია საბაბი მისცეს ამხ. დენგელის აზრის შემცდარი განმარტებისათვის. რაიმეს შევსება გულისხმობს პრინციპიალურად რაიმე ახალის შეტანას. რომელსაც ჩვენ ვებრძოდით მარქსიზმის „შევსებას“ სხვა და სხვაგვარ ცდას, ჩვენ ამ შევსებას ისე ვაფასებდით, როგორც ახალი არა მარქსისტული რაიმეს დამატებას იდეათა მარქსისტული კომპლექსისათვის. ლენინის ამდაგვარ შევსებაზე (გამოტოვებულია). ასე, როგორც ამას სჩადის ამხ. დენგელი იმავე ფრაზაში, სადაც იგი ლაპარაკობს მარქსიზმის „შემდგომ განვითარებაზე“.

ამ საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თეორეტიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. ჩვენ, კომუნისტებს, ბრალად გვდებენ ანტიმარქსისტულ „ნოვატორობას“. ჩვენ გადაჭრით უარვჰყოფთ ასეთ ბრალდებას. მთელ ჩვენს თეორიაში, ლენინის მთელ მოძღვრებაში არ მოიპოვება არც ერთი ატომი, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს მარქსიზმს. შევეცდები ამის გაშუქებას. რას ვგულისხმობთ ჩვენ სიტყვა „მარქსიზმი“? ამ სიტყვაში სხვადასხვა რამე შეგვიძლია ვიგულისხმოთ. ამ სიტყვაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ იმ იდეათა კომპლექსი, იმ კონკრეტულ იდეათა კომპლექსი, რომელიც გამოსთქვა მარქსმა, ე. ი. ყოველივე ის, რაც არის დაწერილი და ორგანიულად შეკავშირებული მის მოძღვრებაში. ამ თვალსაზრისით შეიძლება სთქვან, რომ ყოველი ახალი დებულება, მაგალითად, მარქსისტული ანალიზი ისეთ უახლოეს მოვლენებისა, როგორიც არის სატრესტო კაპიტალი,—არ არის მარქსიზმი. მაგრამ ასეთი შეხედულება მარქსიზმზე არ არის სწორი. მარქსიზმი სრულიადაც არ კმაყოფილდება მოპოვებულ დებულებათა განსაზღვრული რაოდენობით. მარქსიზმი არის რევოლუციონური მსოფლმხედველობა და ამავე დროს გამოკვლევის მეთოდი. ამ მეთოდის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ანალიზი გავუკეთოთ სხვადასხვა მოვლენებს. თუ ჩვენ ვიძლევით ისეთი პრობლემების მარქსისტულ ანალიზს, როგორიცაა იმპერიალიზმის პრობლემა, თუ ჩვენ სწორედ ვსარგებლობთ მარქსისტული მეთოდით,—ეს ნიშნავს ახალ იდეათა, ახალ აზრთა გამომუშავებას, მათ შორის თეორეტიული ხასიათის აზრთა გამომუშავებასაც. მაგრამ ეს სულიერი პროდუქცია სრულებითაც არ არის მარქსიზმის დამატება,—ეს ახალი მარქსისტული დებულებებია, რომელნიც დაუყოვნებლივ იქცევიან მარქსიზმის განუყოფელ ნაწილად. ამიტომ მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვამტკიცო, რომ ჩვენ დავამუშავეთ ახალი ფაქტები და ახალი მოვლენები მარქსიზმის თვალსაზრისით და ამით გავამდიდრეთ მარქსიზმის საუნჯე და განვავითარეთ მისი თეორია.

მარქსიზმისადმი ჩვენი დამოკიდებულების საკითხში ჩვენ ვერაფერს ვერ დაუთმობთ სოციალ-დემოკრატიულ თეორეტიკოსებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ბოლშევიკურ მარქსიზმში მოიპოვება „უცხო“, „არა-მარქსისტული“ ელემენტები, უფრო „ბაკუნისტური“ ან „მარქსისტულ-აზიური“ ხასიათისა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა ნამდვილი მარქსისტული ხასიათისაო. პირიქით: სწორედ იმიტომ, რომ ლენინიზმმა შემატა მარქსიზმს, ლენინიზმი უაღრესად ორტოდოქსალური მარქსიზმია მთელ მსოფლიოში. საკითხი ასე უნდა დაისვას. მე არ მეპარება ეჭვი, რომ ამხ. დენგელიც, თავის დებულების წამოყენების დროს, აზროვნებდა სწორედ ასე, და არა სხვანაირად.

ყოველსავე მოვლენას ჩვენ ვიხილავთ მარქსისტული თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრია ისეთი ახალი მოვლენა, რომელსაც მარქსი ვერ გაუკეთებდა ანალიზს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის დროში ეს მოვლენები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. იმპერიალიზმის პრობლემა და გარდამავალი პერიოდის პრობლემა ისე კონკრეტულად, როგორც ისმის იგი ამჟამად, ახალი ტიპის სახელმწიფოს—საბჭოთა სახელმწიფოს პრობლემა და მრავალი სხვა პრობლემა, რომლებსაც ჩვენ დღეს ვიხილავთ,—როდი იდგნენ მარქსის წინაშე ისე კონკრეტულად, როგორც დღეს.

3. საფინანსო კაპიტალის საკითხი

ომის წინადროინდელი ჰილფერდინგის უნებური დაცვა

საპროპაგანდო კომისიაში პირველი კამათი აღიძრა სამრეწველო კაპიტალიზმისა და, საერთოდ, კაპიტალიზმის ანალიზის დროს. კამათი შეეხებოდა კრიზისის პრობლემას. ეს საკითხი ჩემს მოხსენებაში გავარკვიე, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები. მეორე საკითხი, რამაც დისკუსია გამოიწვია, საფინანსო კაპიტალის პრობლემაა. ამ პრობლემაზე არ შევჩერდებოდი, მაგრამ კონგრესის პლენუმზე ამხ. სულთან-ზადეს გამოსვლა მაიძულებს დავიცვა „საბრალო“ ჰილფერდინგი. ამაში ხელს ვერ შემიშლის ჩემი მეგობრული ურთიერთობაც კი ამხ. სულთან-ზადესთან (სიცილი).

ჯერ შევეხოთ „საფინანსო კაპიტალის“ ცნებას. ამხ. სულთან-ზადემ ციტატა მოიყვანა ერთი უახლოესი სოციალ-დემოკრატიული რეზოლიუციიდან, სადაც ლაპარაკია სამრეწველო კაპიტალის, სავაჭრო კაპიტალის და საბანკო კაპიტალის გაერთიანების შესახებ, და ნაცხადა. რომ ეს სრულებითაც ის არ არის, რასაც წინად ჰილფერდინგი ლაპარაკობდაო. წინად იყო საბანკო კაპიტალის ბატონობა სამრეწველო კაპიტალზე, ეხლა კი გაერთიანებაა, ამასთან კაპიტალის სამი ფორმისა (და არა ორისა). სწორია ეს თუ არა? მივმართოთ იმას, რასაც ჰილფერდინგი სწერდა თავის წიგნში. მეხუთე განყოფილების დასაწყისში ნათქვამია: „საფინანსო კაპიტალი მოასწავებს კაპიტალის უნიფიკაციას. სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო კაპიტალის დღევანდლამდე განცალკევებული სფეროები ეხლა დაემორჩილა იმ ფინანსიური არისტოკრატიის ხელმძღვანელობას, რომელიც აერთიანებს მჭიდრო პერსონალურ უნიაში მრეწველობისა და ბანკების ბატონობას“ (რუდოლფ ჰილფერდინგი. „საფინანსო კაპიტალი“. პეტერბურგი, 1918 წელი, გვერდი 488). აი სავაჭრო, საბანკო და სამრეწველო კაპიტალის სამსახეობის ფორმულა.

ჩემს წიგნში „მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი“, რომელიც დავწერე ომის დაწყებისას, მე ვეხები ამ პროცესებს და ვლაპარაკობ სამრეწველო და საბანკო კაპიტალის ერთმანეთთან შეხორცების შესახებ. აქ ამხ. სულთან-ზადე, არსებითად, ეკამათება არა ჰილფერდინგს, არამედ მე. რანაირია ლენინის თვალსაზრისი ამ საკითხში? ლენინის წიგნში იმპერიალიზმის შესახებ არის ცალკე თავი: „ბანკები და მათი ახალი როლი“. ამ თავში ლენინი ამბობს სწორედ იმას, რასაც ჩვენ აქ აღვნიშნავთ:

„ერთის მხრით, ჩვენ ვხედავთ საბანკო და სამრეწველო კაპიტალის უფრო და უფრო მეტ შედუღებას ან, როგორც მარჯვედ სთქვა ბუხარინმა, შეხორცებას, მეორეს მხრით—ბანკების გარდაქმნას ნამდვილი „უნივერსალური“ ხასიათის დაწესებულებებად („იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი“. ლენინი, ტომი მე-13, გვერდი 268).

ამხ. სულთან-ზადე შეხორცების წინააღმდეგ ილაშქრებს და ლენინს არ ეხება. მაგრამ ლენინი ამის შესახებ სრულიად გარკვეულად ლაპარაკობს. იგი ახდენს ჰილფერდინგის წიგნის შეფასებას. მესამე განყოფილებაში, რომელსაც სათაურად აქვს „საფინანსო კაპიტალი და ფინანსიური ოლიგარხია“. ლენინს ჯერ მოჰყავს ჰილფერდინგის შემდეგი ციტატა:

„სამრეწველო კაპიტალის თანდათან გაზრდილი ნაწილი,—სწერს ჰილფერდინგი,—არ ეკუთვნის იმ მრეწველებს, რომლებიც კაპიტალს იყენებენ. კაპიტალი მათ განკარგულებაში გადადის მხოლოდ ბანკების საშუალებით, რომლებიც მათ მიმართ ამ კაპიტალის მესაკუთრეებს წარმოადგენენ. მეორეს მხრით, ბანკსაც სჭირდება თავისი კაპიტალის მეტი და მეტი ნაწილის დაბანდება მრეწველობაში. ამის წყალობით ბანკი სწრაფად ხდება სამრეწველო კაპიტალისტად. ასეთ საბანკო კაპიტალს—მაშასადამე, კაპიტალს ფულის სახით,—რომელიც ამ გზით სინამდვილეში სამრეწველო კაპიტალად გადაიქცა, მე ვუწოდებ საფინანსო კაპიტალს. საფინანსო კაპიტალია ის კაპიტალი, რომელიც ბანკების განკარგულებაშია და რომელსაც მრეწველები იყენებენ“.

ამის შემდეგ ლენინი სწერს:

„ეს განსაზღვრა სრული არ არის იმდენად, რამდენადაც მასში ნაჩვენები არაა ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ: წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის ზრდა ისე მძლავრად, როდესაც კონცენტრაცია იწვევს და უკვე გამოიწვია მონოპოლია. საერთოდ ჰილფერდინგის მთელს ნალაპარაკევში და კერძოდ ორივე თავში, რომლებიც წინ უძღვის იმ თავს, საიდანაც ამოღებულია ეს განსაზღვრა, საგანგებოდ არის აღნიშნული კაპიტალისტური მონოპოლიების როლი.

წარმოების კონცენტრაცია, აქედან წარმომდგარი მონოპოლიები, ბანკების შედუღება ან შეხორცება მრეწველობასთან,—აი საფინანსო კაპიტალის წარმოშობის ისტორია და ამ ცნების შინაარსი“.

როგორც ხედავთ, ლენინი სწორედ იმ განსაზღვრას იძლევა, რომელსაც თავს ესხმის ამხ. სულთან-ზადე. ეს განსაზღვრა არსებითად სწორია. როცა ამხ. სულთან-ზადე ამ განსაზღვრის წინააღმდეგ ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ ასეთი ურთიერთობა სამრეწველო და საბანკო კაპიტალს შორის საერთოდ შეუძლებელიაო, იგი ამით ლენინს ეკამათება. ეს, რასაკვირველია, შეიძლება არადამაჯერებელ არგუმენტად ჩავთვალოთ. თეორეტიულად რომ ვილაპარაკოთ, შემცდარი ადგილები შეიძლება ლენინსაც ჰქონდეს. მაგრამ საჭიროა ამის დამტკიცება, რაც ამხ. სულთან-ზადემ ვერ შესძლო.

მე რომ ამ საკითხში „ომის წინა დროინდელი“ ჰილფერდინგის დაცვა ვიკისრე, ეს ჯერ კიდევ სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ მის წიგნში ყველაფერი რიგზე იყოს. ჰილფერდინგს აქვს ბევრი სრულიად შემცდარი დებულება, მათ შორის „საფინანსო კაპიტალის“ შესახებ: მაგალითად, შემცდარია, ჩემის აზრით, მთელი მისი თეორია ფულის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ბევრი შემცდარი ადგილი აქვს ღირებულების თეორიაშიც. ამით გამოწვეულია სხვადასხვა შემცდარი დასკვნები.

ქაღალდის ფულის და სხ. ტრიალის თეორიიდან სავსებით შემცდარი დასკვნები გამოჰყავთ. მაგრამ იქ, სადაც ჰილფერდინგს შეცდომები არა აქვს, იგი მართალია. ამას გვერდს ვერ აუხვევთ. ამხ. სულთან-ზადემ სულ არ მიიღო მხედველობაში სხვადასხვა სახის კაპიტალების შეზრდის მომენტი, რომელიც გამოიხატება პერსონალურ უნიაში. ჰილფერდინგმა გამოაშკარავა ეს მომენტი. მეც სწორედ ისევე მოვიქეცი, როგორც მოიქცა ლენინი და ხაზი გაუსვა პერსონალურ უნიას. სად იძლევით, ამხ. სულთან-ზადე, ამ პრობლემის ანალიზს? თქვენ ამ პრობლემისათვის არ გაგიკეთებიათ ანალიზი.

ამხ. სულთან-ზადე შეეცადა, თავისი თვალსაზრისი დაეცვა სტინესის მაგალითით. მაგრამ ეს მაგალითი სრულებით არ არის გამოსადეგი, ვინაიდან სტინესის წარმოება იყო თავისებური ეკონომიური ფორმა, ინფლიაციის პერიოდის სპეციფიური ნაწილი. (ამხ. სულთან-ზადე ადგილიდან: „ფორდი, ფორდი!“).

კარგი. მაგრამ არის მორგანი, არის როკფელერი. გვითხარით, ისინი საბანკო თუ სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლები არიან?

მე ვფიქრობ, თქვენ იცით, რომ ეს არის საბანკო კაპიტალის ორი უდიდესი ჯგუფი მთელ მსოფლიოში. მსოფლიოში არსებობს ორი უდიდესი ცნობილი საბანკო ჯგუფი როკფელერის ან მორგანის მეთაურობით. ისინი ერთსა და იმავე დროს არიან საბანკო და სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელნი. თქვენი თეორიის დასასაბუთებლად თქვენ ემყარებით სტინესს. მაგრამ თქვენ გავიწყდებათ გაცილებით უფრო ნათელი, გაცილებით უფრო ტიპიური მაგალითი—როკფელერი და მორგანი.

ამხ. სულთან-ზადეს დანარჩენი არგუმენტები.

ამხ. სულთან-ზადემ წამოაყენა კიდევ ერთი „არგუმენტი“. მოხსენებაში დამავიწყდა ამ არგუმენტზე პასუხის გაცემა. ამხ. სულთან-ზადე ამბობს: ჰილფერდინგი ფინანსთა მინისტრად იყო, მაგრამ ის არ შეეცადა ბანკების დაპყრობას და რომ დაეპყრო კიდეც ბანკები, შედეგი სავსებით ორიგინალური იქნებოდა.

იმ გარემოებას, რომ ჰილფერდინგი არ შეეცადა სოციალიზაციის განხორციელებას, საერთო არაფერი აქვს ამ თეორეტიულ საკითხებთან. თუნდაც რომ ის ჩვენი თეორიის ნიადაგზე იდგეს და უკუაგდოს მან მთელი თავისი საფინანსო კაპიტალის თეორია, იგი მაინც არ გაატარებდა სოციალიზაციას არც ბანკებისა და არც მრეწველობის მიმართ. რატომ? იმიტომ, რომ ის სოციალ-დემოკრატია. მაგრამ არავინ არ იცავს იმ დებულებას, რომ „ბანკების დაპყრობის“ გზით შესაძლოა მთელი მრეწველობის დაუყოვნებლივ დამორჩილება, ვინაიდან ეს თეორია სწორი არ არის. შეიძლება ეს კადნიერება იყოს, მაგრამ მე უნდა ვსთქვა, რომ მე პირველად გავუკეთე ანალიზი ამ პროგრამას. მთელი რიგი თეორეტიული დებულებების მიხედვით მე ვამტკიცებ, რომ ბანკების ხელში ჩაგდება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მრეწველობის დაპყრობას, თუნდაც ამ ბანკების რიცხვი 6 ან 12 იყოს მთელს სახელმწიფოში,—სულ ერთია, ვინაიდან ეკონომიური ძაფები, რომლებიც მრეწველობას და ბანკებს აკავშირებენ, არის კრედიტის ძაფები, ფინანსების მიწოდების სპეციფიური ურთიერთობა და სხ. მაგრამ იმ მომენტში, როცა თქვენ იპყრობთ ბანკებს,—ეს ხომ პროლეტარული რევოლიუციის პერიოდია,—ეს ძაფები დაწყვეტილია. როცა თქვენ ბანკებს იპყრობთ. თქვენს ხელში გადმოდის სახლები, საბუღალტრო წიგნები, სხვადასხვა ქაღალდები, აქციები და სხვა. მაგრამ ვინაიდან კრედიტის ძაფები დაწყვეტილია,—თქვენი რევოლიუციონური გამოსვლით ის უკვე დაშალეთ,—ამიტომ ბანკების „დაპყრობა“ ჯერ კიდევ არ იძლევა მრეწველობის დაპყრობის საშუალებას. მაგრამ ეს არის სულ სხვაგვარი ხასიათის პრობლემა.

ამხ. სულთან-ზადემ მოიყვანა შემდეგი არგუმენტი: მან აღნიშნა, რომ საბანკო კაპიტალმა საერთოდ არ შეიძლება ითამაშოს ხელმძღვანელი როლი, ვინაიდან იგი ეკუთვნის ბრუნვის სფეროს, ვინაიდან ის არის მეორე ხარისხოვანი ფაქტორი, მაშინ როდესაც პირველხარისხოვანი ფაქტორი წარმოება არისო.

საპროგრამო კომისიაში მე პირობით თეორეტიულად დავუთმე ამხ. სულთან-ზადეს. როცა მის წინააღმდეგ ვლაპარაკობდი, მე ვსთქვი: დავუშვათ თეორეტიულად, რომ თქვენ მართალი ხართ „საფინანსო კაპიტალის“ ცნების გაგებაში,—რომ საფინანსო კაპიტალი არ არის სამრეწველო საბანკო კაპიტალის შეზრდის, სინტეზის პროდუქტი და რომ საფინანსო კაპიტალი არის საბანკო კაპიტალი და მეტი არაფერი. ამ შემთხვევაში,—ვსთქვი მე,—თქვენი არგუმენტაცია შემცდარია. ვინაიდან იგი ძალიან გამარტივებულია. თქვენ ამბობთ: მართალია დებულება, რომ წარმოება არის პირველადი, ხოლო ბრუნვა მეორედი, ამიტომ წარმომდგარს არ შეუძლია იბატონოს პირველზედო. მე ვამბობდი: აიღეთ კაპიტალისტური წყობილება. სახელმწიფო არის წარმომდგარი (მეორედი), ნამდვილად კი სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს აწესრიგებს წარმოების მთელ პროცესს. ამაზე ამხ. სულთან-ზადემ თავის სიტყვაში გვიპასუხა: „ეს ორი სავსებით სხვადასხვაგვარი საგანია, სახელმწიფო არ არის სავსებით რაღაც სხვანაირი რამ, ეს არის ზედნაშენი, მაშინ, როდესაც საბანკო კაპიტალი არის კაპიტალის ნაწილი. ერთმა ნაწილმა არ შეიძლება იბატონოს მეორე ნაწილზე“.

კარგი. ეს უკვე სხვანაირი არგუმენტაციაა, და როცა ეს არგუმენტაცია მოგყავთ, წინააღმდეგობაში ვარდებით. განა სამრეწველო კაპიტალი მთლიანად აღებული კაპიტალის ნაწილია? ისიც ნაწილია. ამგვარად, თქვენ წამოაყენეთ ორი არგუმენტი. პირველად თქვენ წამოაყენეთ ერთი არგუმენტი და მე ის დავარღვიე სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ მოყვანილი საბუთებით. მაშინ თქვენ წამოაყენეთ მეორე არგუმენტი და აღნიშნეთ, რომ ერთი ნაწილი ვერ იბატონებს მთელზეო. თქვენი თეორიის თანახმად, ერთ ნაწილს—სამრეწველო კაპიტალს,—შეუძლია იბატონოს მეორე ნაწილზე—საბანკო კაპიტალზე. ამგვარად ეს არგუმენტი „ნაწილების შესახებ“ უსაფუძვლოა. თქვენ შეგიძლიათ კიდევ წამოაყენოთ მესამე არგუმენტი: შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ შეთავსება ორი არგუმენტისა, რომელიც შეეხება ნაწილს და ზედნაშენს, რომ ამ ორი არგუმენტის სინტეზი დადებითი შედეგს გვაძლევსო. მაგრამ მე ვალდებული არა ვარ გამოვიგონო თქვენთვის არგუმენტები (სიცილი). ეს თქვენი საქმეა.

მე კიდევ მოვიყვანე ისეთი მაგალითი, როგორიც არის ამერიკისა და გერმანიის ეკონომიური ურთიერთობა. სულთან-ზადემ მიპასუხა, რომ ეს საკრედიტო ურთიერთობააო. კარგი, ამერიკის საბანკო კაპიტალი ხომ გადადის გერმანიის მეურნეობის წარმოების სფეროში? დიახ, გადადის. ამაში მდგომარეობს მთელი პრობლემა. განა თქვენ შეგიძლიათ უარჰყოთ, რომ ამერიკის კაპიტალების ერთი ნაწილი გერმანიაში იქცევა ძირითად კაპიტალად კი? არა, ეს უეჭველი ფაქტია. ამერიკის კაპიტალის ნაწილი იქცევა გერმანიის მრეწველობის ძირითად კაპიტალად. მხოლოდ ამის დამტკიცება იყო საჭირო. ეს ჩემის მხრით სავსებით საკმარისია.

ჩემის აზრით, ამხ. სულთან-ზადეს თეორეტიულ მოსაზრებებს აქვს შემდეგი ნაკლი. მან მხედველობიდან გაუშვა იერარქიული სტრუქტურის სპეციფიური თავისებურებანი ყველა ამ ტრესტებისა, საზოგადოებებისა, სინდიკატებისა, კარტელებისა, ბანკებისა და სხვ., რომლებსაც შეიძლება კონტროლი გაუწიოს. ტერმინი „კონტროლი“ წმინდა ამერიკული წარმოშობისაა. ამერიკელთა განმარტებით, ეს ნიშნავს ბატონობას. კონტროლის გაწევა შეიძლება მაშინაც, როცა საკუთარ ხელში აგროვებ მთელი კაპიტალის ნახევარზე ნაკლებს, თუნდაც სააქციო საზოგადოების აქციების 80 პროცენტს. ამხ. სულთან-ზადე არა სავსებით სწორ ორიენტაციას იძლევა კლასობრივი ურთიერთობის საკითხში. თუ ის ფინანსიური კაპიტალის ჩვენი ცნების წინააღმდეგ აყენებს თავის ცნებას, სწორედ ამით იგი ხაზს უსვამს იმას, რომ საკმაოდ დიდი უფსკრული არსებობს საბანკო და სამრეწველო მაგნატებს შორის. მე სრულებით არ უარვჰყოფ, რომ არსებობს შედარებით დიდი, ხანდახან ძალიან დიდი შეხლა-შემოხლა მრეწველებსა და ბანკირებს შორის. ეს შეხლა-შემოხლა ხშირად საკმაოდ მწვავე ფორმებს ღებულობს. ძირითადი ხაზი არის სავაჭრო კაპიტალთან გაერთიანების ხაზი, თვით მსხვილ მიწათმფლობელებთან გაერთიანების ხაზი. მე კიდევ უხვამ ხაზს, რომ ამით არ ისპობა სერიოზული შეხლა-შემოხლის შესაძლებლობა ბურჟუაზიის შიგნით. ამ დიდი კაპიტალისტური ორგანიზმის საერთო ტენდენცია საწარმოო ძალთა ზრდის პროცესში მიდის იმ ხაზით, რომ ყველა კატეგორიის ბურჟუები გადაიქცევიან ისეთ ხალხად, რომელიც დივიდენდს იღებს, მიუხედავად სხვადასხვაგვარ წინააღმდეგობისა, შეხლა-შემოხლისა და სხ.

4. კაპიტალისტური იმპერიალიზმის ძალების შესახებ

რად არის შეუძლებელი „ულტრა-იმპერიალიზმი“?

ეხლა გადავდივარ სხვა საკითხზე, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ზემოხსენებულ პრობლემასთან. მე უკვე ვილაპარაკე ბურჟუაზიის შინაგან წინააღმდეგობებზე, ეხლა ვილაპარაკებ საერთოდ კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობაზე. ჩემის აზრით, ზოგიერთმა ამხანაგმა ფრიად სწორი აზრი გამოსთქვა იმ ურთიერთობის შესახებ, რომელიც არსებობს მონოპოლიურ ორგანიზაციებსა, წარმოების ფარგლებში შეუკავშირებელ დარგებსა და ბურჟუაზიის სათანადო ფენებს შორის. ზოგიერთ ამხანაგს მოჰყავდა ციტატები ლენინის წიგნიდან იმპერიალიზმის შესახებ, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იმპერიალიზმის ძირითად თვისებას წარმოადგენენ არა მარტო მონოპოლიური ხასიათის ორგანიზაციები, არამედ ის განსხვავებაც, რომელიც არსებობს წარმოების მონოპოლიურ კარტელებში და ტრესტებში და სხვ. შეკავშირებულ დარგებსა და შეუკავშირებელ დარგებს შორის. კამათში ამხანაგები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ლენინის თვალსაზრისით, კაუცკი ვერ ჰხედავს ამას და ამიტომ კაუცკის მიხედვით ფინანსიურ-კაპიტალისტური სისტემის შინაგანი წინააღმდეგობანი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე სინამდვილეში.

სხვა ამხანაგები წინადადებას გვაძლევდნენ, უფრო მკაფიოდ აღგვენიშნა კაპიტალიზმის არა თანასწორზომიერი განვითარების კანონი და დებულება იმპერიალიზმის ეპოქაში იმპერიალისტური სისტემის წინააღმდეგობათა არა თანასწორზომიერი განვითარების შესახებ. ჩემის აზრით, ამის გაკეთება შეიძლება, მით უფრო, თუ ამ საკითხს „ულტრა-იმპერიალიზმის“ ანალიზს დაუკავშირებთ. „ულტრა-იმპერიალიზმის“ პრობლემა არც თუ ისე ძნელი პრობლემაა. ამ პრობლემის შედარებითი სიძნელე, ჩემის აზრით, დაახლოვებით შემდეგში მდგომარეობს: შეიძლება თუ არა კაპიტალიზმის ნიადაგზე იარსებოს ისეთმა მსოფლიო წყობილებამ, სადაც მთელი მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობა გაერთიანებულია ერთ ბუმბერაზ, ვეებერთელა ტრესტში. თუ ეს შესაძლებლობა თეორეტიულად გადაჭრით იქნა უარყოფილი, მაშინ იმ წამსვე წამოიჭრება მეორე საკითხი: მაშასადამე, თქვენ ამით უარჰყოფთ კაპიტალისტური განვითარების ძირითად კანონს, კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის კანონს? ხოლო თუ თქვენ დგახართ კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის თვალსაზრისზე, მაშინ უნდა სთქვათ: ერთი კაპიტალისტები ჰყლაპავენ მეორე კაპიტალისტებს, უფრო მსხვილები—უფრო წვრილებს და ასე შემდეგ. ამრიგად, ჩნდებიან დიდი ტრესტები, ისინი ებრძვიან ერთმანეთს, ერთი ტრესტი შთანთქავს მეორეს. სად არის ამ პროცესის ლოღიკური და ისტორიული საზღვარი? მის ლოღიკურ და ისტორიულ საზღვარს წარმოადგენს ისეთი ბუმბერაზი, ვეებერთელა ტრესტის წარმოება, რომელიც ხელში ჩაიგდებს მთელ მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობას. ეს პრობლემა ჩვენ დავსვით რუსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დასაწყისში.

აბსტრაქტიულად რომ ვილაპარაკოთ, ასეთი შესაძლებლობის უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ, მთელი საქმე იმაშია, რომ ასეთი „მსოფლიო ტრესტის“ წარმოშობის პროცესი დაკავშირებულია ისეთ ხარჯებთან, „ზედნართი ხარჯები“ იმდენად განუზომელია, რომ გამოიწვევენ კატასტროფიული ხასიათის კლასობრივ ბრძოლას, და მის ქარ-ცეცხლში დაიღუპება კაპიტალიზმი.

ეს პროცესი დაკავშირებულია კოლოსალურ ომებთან და კოლოსალურ რევოლიუციებთან, რის გამოც ასეთი ტრესტის წარმოშობა ემპირიულად, სინამდვილეში, შეუძლებელია. ჰილფერდინგსაც კარგად ესმოდა ეს უწინ. თავის „საფინანსო კაპიტალში“ ის ჯერ კიდევ „ულტრა-იმპერიალიზმის“ შეუძლებლობის თვალსაზრისზე სდგას.

„ეკონომიურად,—სწერდა ჰილფერდინგი,—შესაძლებელია ისეთი საერთო კარტელის წარმოდგენა. რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მთელ წარმოებას და, ამრიგად, თავიდან აიცდენს კრიზისებს; შესაძლებელია მისი წარმოდგენა ეკონომიურად, თუმცა სოციალ-პოლიტიკურად ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია, ვინაიდან ინტერესების ანტაგონიზმი, მის მიერ უკიდურესობამდე მიყვანილი, აუცილებლად გამოიწვევდა მის დაღუპვას“.

ასე ფიქრობდა უწინ ჰილფერდინგი. ამხ. სულთან-ზადე სცდება, როდესაც ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატები დღესაც ამასვე ლაპარაკობენ. ჩემ მიერ მოყვანილი ციტატა პირდაპირ ეწინააღმდეგება იმას, რასაც ჰილფერდინგი ამჟამად ამტკიცებს. დღეს სოციალ-დემოკრატები ლაპარაკობენ, „ორგანიზაციულად შეკავშირებულ მშვიდობიან კაპიტალიზმის შესახებ“. დღეს მათ იდეოლოგიას „მონდიზმი“ წარმოადგენს, ხოლო „მონდიზმის“ პაროლს სრულებითაც არ შეადგენს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა უაღრესი გამწვავება. სოციალ-დემოკრატია ამბობს: რაც უფრო ჩამოყალიბებულია ორგანიზაციულად კაპიტალიზმი, რაც უფრო ფართო და ღრმაა ჩვენი თანამშრომლობა კაპიტალისტებთან, მით უფრო უმჯობესი იქნება პროლეტარიატის არსებობის პირობები და მით უფრო მეტს დასთმობს ბურჟუაზიაც. „საფინანსო კაპიტალში“ ჰილფერდინგი ამბობს, რომ კლასობრივი ურთიერთობა იმდენად გამწვავდება, რომ კაპიტალიზმი აუცილებლად დაიღუპება. ეს დებულება, რომელიც ჰილფერდინგმა წარსულში წამოაყენა—სავსებით სამართლიანია. ჰილფერდინგმა არა თუ მარქსიზმს, თავის თავსაც უღალატა. ეხლა სოციალ-დემოკრატები ყბედობენ „ულტრა-იმპერიალიზმზე“. სოციალ-დემოკრატები ფიქრობენ, რომ ბურჟუაზიული წესწყობილება ვითარდება აღმავალი ხაზით და მოელიან ულტრა-იმპერიალიზმის იდილიური ეპოქის დადგომას.

ეს დებულება მოითხოვს ჩვენგან სათანადო პრობლემის უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებას ჩვენს პროგრამაში.

თანამედროვე კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა პარაზიტული ლპობა და განვითარება

კიდევ რამდენიმე სიტყვა კაპიტალიზმის ძალების შესახებ იმპერიალისტურ ფაზაში. ჩვენს პროექტში აღნიშნულია, რომ იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზაა და რომ მის დამახასიათებელ თვისებას პარაზიტული ლპობა წარმოადგენს. პროგრამის პროექტში ჩვენ თავიდანვე ხაზი გაუსვით კაპიტალიზმის გადაგვარების ფაქტს კაპიტალიზმის პარაზიტული მიმართულებით. ამაში მდგომარეობს მსოფლიო კაპიტალიზმის თანამედროვე ფაზის ისტორიული შეფასება. ჩვენში არსებობს ერთგვარი ტენდენცია, ტენდენცია კაპიტალიზმის იმ ეგრედ წოდებული პარაზიტული მხარის ზედმეტად შეფასებისა, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო ძალთა მოსპობასთან. მაგრამ, ჩემის აზრით, არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს კაპიტალიზმის პარაზიტული გადაგვარების ტენდენცია ყველგან იმარჯვებდეს და ყველაფერს განსაზღვრავდეს. ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ კაპიტალიზმის საწარმოო ძალები დღევანდელ ფაზაში საზოგადოთ უკვე აღარ ვითარდებიან, სინამდვილეში ისინი ვითარდებიან, თანაც საკმაოდ სწრაფად და ისიც კი არ არის შეუძლებელი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში,—მე ხაზს ვუსვამ სიტყვა „ზოგიერთს“—კაპიტალიზმის საწარმოო ძალები მეტად სწრაფად განვითარდებიან.

ჩვენ განვიცდით ისეთ თავისებურ ფაზას, როდესაც მეცნიერება გაცილებით უფრო მჭიდროთ არის დაკავშირებული ტეხნიკასთან, ვიდრე როდესმე უწინ იყო, როდესაც ტეხნიკური გამოგონებანი გრანდიოზული ხასიათისაა, როდესაც მეცნიერება განიცდის უდიდესი აღორძინების ღირსშესანიშნავ პერიოდს. ბევრი პრობლემა, რომელიც როგორც ამბობენ, ჰქმნის მთელ ეპოქას, თეორეტიულად უკვე გადაჭრილია და მხოლოდ პრაქტიკულ გადაჭრას ელის, განსაკუთრებით იმისაგან, რასაც ფიქრობენ სოციალ-დემოკრატები, ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შევდივართ კაპიტალიზმის აყვავების ეპოქაში, პირიქით, იწყება კაპიტალისტური სისტემის მსოფლიო წინააღმდეგობათა გიგანტური, ბუმბერაზული გამწვავების ეპოქა. კაპიტალიზმი დაიღუპება არა იმიტომ, რომ იგი განიცდის პარაზიტულ ორგანიზმად გადაგვარების მეტად სწრაფ პროცესს, იგი დაიღუპება არა ულონობისა და უძლურების გამო, ამაში არ მდგომარეობს კაპიტალიზმის ლპობის მიზეზი, იგი მდგომარეობს იმაში, რომ გადაშენების გზაზე დამდგარი კაპიტალიზმის უკანასკნელი ეტაპი მეტად ამწვავებს კაპიტალისტური წყობილების შინაგან წინააღმდეგობებს და ჰბადებს კონფლიქტებს, რომელნიც დაღუპავენ მას. კაპიტალიზმის პარაზიტული მხარე უფრო და უფრო იზრდება, მაგრამ არა ეს გადაგვარება, როგორც ასეთი, არამედ დეგრადაცია, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავების პროდუქტი,—სწორედ ეს სპეციფიური თვისება კაპიტალიზმისა გაუთხრის მას სამარეს. მე გეთანხმებით, რომ საჭიროა უფრო კონკრეტულად გაესვას ხაზი ჩვენი პროგრამის პროექტში კაპიტალისტური განვითარების ამ მხარეს—სხვადასხვაგვარ წინააღმდეგობას, რომელნიც დაკავშირებულნი არიან კაპიტალისტური განვითარების არათანასწორ ზომიერობის კანონთან, წინააღმდეგობებს წარმოების კარტელებში შეკავშირებულ და კარტელებში შეუკავშირებელ დარგებს შორის, ანტაგონიზმს ქვოტის დაწესების საფუძველზე, ბრძოლას სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის,—რომ გავფანტოთ ის ჰიპნოზი, რომლითაც სწამლავენ მუშებს სოციალ-დემოკრატები, რომ უარვჰყოთ ზღაპარი კაპიტალიზმის ორგანიზაციულ განვითარების შესახებ. მეტად მიზანშეწონილი იქნება ყველა ამ მომენტის უფრო დაწვრილებით დამუშავება და მათთვის ხაზის გასმა ჩვენს პროექტში.

5. რეფორმიზმის სოციალური ფესვები

რეფორმიზმის ფესვები კაპიტალიზმის იმპერიალისტურ ფაზამდე

საპროგრამო კომისიაში მეტად გაცხოველებული დისკუსია გაიმართა რეფორმიზმის სოციალური საფუძვლის შესახებ და შემდეგ, ფაშიზმის ანალიზთან დაკავშირებით, სოციალ-დემოკრატიისა და ფაშიზმის ურთიერთობის საკითხის შესახებ. მე მიზანშეწონილად მიმაჩნია კონგრესის პლენუმზე მოკლე ანალიზი გავუკეთო რეფორმიზმის სოციალურ საფუძველს. აქ არ გავაშუქებ ამ პრობლემას ისე ფართოდ, როგორც საპროგრამო კომისიაში, შევჩერდები მხოლოდ ზოგიერთ მომენტებზე, მაგრამ მათ შორის ისეთებზე, რომელთაც მე არ შევხებივარ საპროგრამო კომისიაში. სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და რეფორმიზმის განვითარების მსვლელობა და შედარებით ძალა პროფმოძრაობაში ამ პრობლემის ყოველმხრივ ანალიზს მოითხოვენ ჩვენგან. იმპერიალისტური ომის დროს და შემდეგ რეფორმიზმს, უწინარეს ყოვლისა, უკავშირებდით ზედმეტ მოგებას. ეს ყველაზე უფრო არსებითი მომენტია რეფორმიზმის სოციალური ფესვების ანალიზის დროს. შევეცდები ამ საკითხის უფრო ყოველმხრივ გაშუქებას. საჭიროა გავარჩიოთ ორი სფერო, რეფორმიზმის სოციალური ფესვების ორგვარი სახე. რეფორმიზმის ფესვების ნაწილი კაპიტალისტური საზოგადოების წარსულშია, რეფორმიზმის სოციალური ფესვების მიზეზთა მეორე კატეგორია მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტური განვითარების სპეციფიურ მხარეებს ეკუთვნის. წინად, ჯერ კიდევ ომამდე: გერმანული რევიზიონიზმის ფესვების ანალიზის დროს, რევიზიონიზმში ვპოულობდით სხვადასხვა სახის წვრილ-ბურჟუაზიულ მხარეებს—ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. უკეთებდით რა ანალიზს რევიზიონისტების პოზიციას ისეთ საკითხში, როგორიც არის აგრარული საკითხი, ჩვენ, ორტოდოქსალური მარქსისტები, ვამტკიცებდით, რომ რევიზიონისტებს, ვთქვათ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბავარიის ფრთის რევიზიონისტებს მჭიდრო კავშირი აქვთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებთან.

ჩვენ სამართლიანად ვამბობდით, რომ მუშათა კლასი ისტორიის ასპარეზზე არ გამოდის როგორც სავსებით ჩამოყალიბებული კლასი, იგი გამოდის გაპროლეტარებულ გლეხობისა, ქალაქის საშუალო ფენებისა და წვრილი ბურჟუაზიის წრიდან და თანდათანობით ყალიბდება კლასობრივად. მუშათა კლასის ეს ფენები, რომლებიც კაპიტალისტური განვითარებისა და წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის ეკონომიური გალატაკების პროცესმა წარმოშვა, ატარებენ წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთებს. წინანდელი ეპოქების პროცესების, მაგალითად, ამქრული წყობილებიდან კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების განხილვის დროს ჩვენ ვხედავთ ეგრედწოდებულ პატრიარქალურ დამოკიდებულებას, ერთის მხრით, მწარმოებლებსა და მეორეს მხრით, მუშებს შორის. მხოლოდ ხანგძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ეს ურთიერთობა ადგილს უთმობს თანამედროვე ურთიერთობას. იყო დრო, როცა მწარმოებლებსა და მაშინდელ ემბრიონალურ პროლეტარიატს შორის პატრიარქალური ურთიერთობა იყო გაბატონებული. მაშინ კლასობრივი წინააღმდეგობა, ერთის მხრით, დაქირავებულ მუშებსა და, მეორეს მხრით, მწარმოებლებს შორის არ ყოფილა იმდენად დიდი და ისტორიულად იმდენად ჩამოყალიბებული, რომ მათ შორის იდეოლოგიური გათიშვა გამოეწვია. მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პროცესში გაქრა ეს საერთო პატრიარქალური იდეოლოგია, რომელიც პროლეტარიატის გარშემო მეფობდა, წვრილბურჟუაზიულ და ქალაქის საშუალო ფენების გათქვეფა პროლეტარიატში მოასწავებდა ამ იდეოლოგიის განახლებას. ეს წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიური მხარეები შეადგენდნენ რეფორმისტების დამახასიათებელ თავისებურებას. ეს რეფორმისტები გამოხატავდნენ წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიას. რეფორმიზმს სოციალური ფესვები ჰქონდა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის არსებულ პატრიარქალურ ურთიერთობაში, იგი არასაკმაოდ მკვეთრი დიფერენციაციის იდეოლოგიური გამომხატველი იყო. წვრილი გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის გაპროლეტარებული ფენების შეჭრა მუშათა კლასის რიგებში კვლავ ანახლებს რეფორმიზმის იდეოლოგიას. ასეთი იყო რეფორმიზმის სოციალური საფუძველი. რეფორმიზმის სოციალური საფუძველი კაპიტალისტური განვითარების წინა ხანებში,—მე ამას ხაზგასმით აღვნიშნავ,—სრულიად სპეციფიური იყო. სულ სხვაგვარია რეფორმიზმის საფუძველი ჩვენს ეპოქაში. ჩვენს ეპოქაში რეფორმიზმი, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმპერიალისტურ განვითარებასთან.

(დასასრული ხვალ)

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

18 აგვისტოს დილის სხდომა

კამათი კოლონიალური საკითხის შესახებ

მოსკოვი, 21 აგვისტო. კომინტერნის 18 აგვისტოს დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი კოლონიალური საკითხის შესახებ.

ალინინი (ინდოეთი): „იმპერიალიზმი არ ანვითარებს კოლონიების საწარმოო ძალებს, პირიქით, აფერხებს კოლონიალური მრეწველობის განვითარებას. ჰოლანდიის კაპიტალის დიდი ნაწილი ინდოეთში პლანტაციებშია დაბანდებული. ჰოლანდიის კაპიტალისტები ინდონეზიაში თეთრ მუშებს გზავნიან, პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებენ მათ და, ამნაირად, უფსკრულსა ჰქმნიან თეთრ მუშებსა და ადგილობრივ მუშებს შორის, რომელთაც დაუზოგავად ჰყვლეფენ. აუცილებლად საჭიროა მჭიდრო კავშირის დამყარება ევროპის მუშებსა და კოლონიის პროლეტარიატს შორის.

ლოზერე (საფრანგეთი): „საფრანგეთის მთავრობის მტაცებლური პოლიტიკის შედეგია კოლონიების სრული გალატაკება. საფრანგეთის იმპერიალიზმის ცდას—გაამაგროს კოლონიებში თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო პოზიციები თან სდევს მკაცრი რეპრესია რევოლიუციის გზაზე შემდგარ მუშათა და გლეხთა მასების მიმართ. კოლონიალური პროლეტარიატის ორგანიზაციის საქმეში საფრანგეთის კომპარტიამ ზოგიერთ შედეგებს მიაღწია. ჩვენი ძირითადი ამოცანაა—ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერება ჩვენს პარტიაში და აგრეთვე მეტროპოლიაში მომუშავე მუშებს შორის, კოლონიებში კომპარტიის განვითარება და ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის მხარის დაჭერა—ჩვენი კლასობრივი თვალსაზრისის დაცვით“.

ნაპაიანი (ინდოეთი): „ომამდე ინგლისის იმპერიალიზმი სცდილობდა ყოველი ღონით შეეფერხებია ინდოეთის მრეწველობის განვითარება. ამჟამად ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკა ინდოეთის მიმართ შეიცვალა. შეიცვალა ექსპლოატაციის მეთოდებიც. ამისი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ინგლისის იმპერიალიზმისათვის შეუძლებელია ინდოეთის გადაქცევა სამხედრო ბაზად ისე, თუ ადგილობრივ ბურჟუაზიას არაფერი დაუთმო. თეზისებში გადაჭარბებულად არის შეფასებული ინდოეთის ბურჟუაზიის პოტენციალური რევოლიუციონური ძალები. სვარაჯისტებმა, რომლებზედაც თეზისებში ნათქვამია, რომ მათ რევოლიუციისათვის იხე არ უღალატიათ, როგორც გომინდანმა, თავიანთი რეზოლიუციით ბარდოლში დაამტკიცეს თავიანთი ღალატი ნაციონალური რევოლიუციისათვის. რაც შეეხება საკითხს კოლონიების მუშურ-გლეხური პარტიების შესახებ, ინდოეთის მუშურ-გლეხური პარტიის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ანტი-იმპერიალისტური ფრონტის შესაქმნელად ორგანიზაციის ეს ფორმა ყველაზე უფრო სწორია“.

გრიფინი (ახალი ზელანდია): „როგორც დამოუკიდებელი დომინიონები, ავსტრალია და ახალი ზელანდია დამოუკიდებელ იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებენ. ამის დამამტკიცებელია ფიჯის კუნძულებზე გაგზავნილი ექსპედიცია. თეზისებში დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ იმპერიალისტური კოლონიზაციის პროცესზე, რომ ნათლად დავიხატოთ ჩვენი ხაზი კოლონიალურ საკითხში.

ჯონსი (ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები): „ზანგთა საკითხს დღემდე ჩვენ სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ზანგთა რევოლიუციონური აქტივობა ვერ არის საკმაოდ ძლიერი. ამერიკის კომპარტია იწონებს ზანგების თვითგამორკვევის ლოზუნგს—ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგების საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის მიზნით. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ზანგთა შორის საორგანიზაციო მუშაობის გაძლიერება“.

პეპერი (ამერიკა): „თეზისები კოლონიალური საკითხის შესახებ ძირითადი ხაზი სწორია. ბენეტის კრიტიკული შენიშვნები ინდოეთის ინდუსტრიალიზაციისა და ნაციონალური ბურჟუაზიის როლის შესახებ სწორი არ არის. მისი თვალსაზრისი, თითქოს ინდუსტრიალიზაცია ინდოეთში იგივე იყოს, რაც დეკოლონიზაცია—მეტად პრიმიტიულია. კუუსინენმა სწორად აღნიშნა ინდოეთის როლი, როგორც სასოფლო-სამეურნეო კონტინენტისა, რომელიც მეტროპოლიის დამატებას წარმოადგენს იგი მართლაც თამაშობს ასეთ როლს მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემაში. ინდოეთში არსებობს მხოლოდ მსუბუქი მრეწველობა, რომელსაც არ შეუძლია აგრარული ქვეყანა სამრეწველო ქვეყანად გადააქციოს. ეს შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარებით, ინდოეთში ინგლისიდან შეტანილი კაპიტალის 90 პროც. ხმარდება არა მრეწველობას, არამედ სახელმწიფო სესხებს. ინდოეთის მრეწველობას, რომელიც მომწყვდეულია ინგლისის იმპერიალიზმსა და კაპიტალიზმის წინახანის პირობებს შუა, განვითარება არ შეუძლია. ინდოეთის რევოლიუციონური სიტუაცია ხასიათდება კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის შეჯახებით კაპიტალიზმის წინახანის პირობებთან.

ასევე არ არის სწორი ბენეტის ის თვალსაზრისი, თითქოს ინდოეთის ბურჟუაზია უკვე გადავიდა იმპერიალიზმის ბანაკში და თითქოს ინდოეთში ამჟამად ორი ბანაკია: ერთის მხრით—ბრიტანეთის იმპერიალიზმი და ინდოეთის ბურჟუაზია, მეორეს მხრით—პროლეტარიატი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუცია ცენტრალური პრობლემაა ყველა კოლონიისა და ნახევარ კოლონიისათვის. ჩინეთის კომპარტიის ძირითადი შეცდომა ის იყო, რომ რევოლიუციის პირველ პერიოდში ის ვერ ხედავდა ნაციონალური რევოლიუციის თანდათანი გარდაქმნას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციად, ხოლო მეორე პერიოდში მას ეგონა—ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუცია სოციალისტურ-რევოლიუციად იქცაო.

ლომინაძის მიერ წამოყენებული თეორია პერმანენტული რევოლიუციის შესახებ ჩინეთში გადახტომაა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის საფეხურებზე და ამიტომ მას ტროცკისტული ხასიათი აქვს. სტალინის მიერ მოცემული განმარტება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციისა კოლონიებში, როგორც შეერთება ბრძოლისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლასთან, კლასიკურია და ვრცელდება ინდოეთზე, ჩინეთზე და ყველა კოლონიასა და ნახევარკოლონიაზე. ჩვენი ძირითადი ამოცანაა—ვებრძოლოთ იმპერიალიზმს და ომის საფრთხეს. იმის მტკიცება, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუცია ჩინეთში უკვე დასრულდა, ნიშნავს უყურადღებობას იმ ამოცანებისადმი, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგანან ამ მიმართულებით, და ააშკარავებს არა მემარცხენე, არამედ მემარჯვენე პოზიციას. ლომინაძის შეხედულება ჩემი პოზიციის შესახებ კანტონის აჯანყების საკითხში არ არის სწორი. მე კანტონის აჯანყება ყოველთვის მიმაჩნდა, ჩინეთის პროლეტარიატის უდიდეს ისტორიულ აქტად. ბუხარინმა უკვე დაარღვია ის ბრალდება, თითქოს მე ვკიცხავდი კანტონის აჯანყებას“.

რემმელე (გერმანია): „როდესაც ზოგიერთი ამხანაგები ლაპარაკობენ კოლონიების იმპერიალისტურ „ინდუსტრიალიზაციაზე“, როგორც გამარევოლიუციონერებელ პროგრესულ ფაქტორზე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი კრიტიკის გარეშე იმეორებენ ერთა ლიგის იდეოლოგებისა და აგრეთვე მეორე ინტერნაციონალის თეორიებს. ამ ამხანაგების თვალსაზრისი წარმოადგენს ლენინიზმის რევიზიას, რასაც ყოვლად დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ. იმპერიალიზმი არღვევს კოლონიების ძველ ეკონომიურ სტრუქტურას და კოლონიებს მეტროპოლიის მოთხოვნილებებს აგუებს. მართალია, კოლონიებში ადგილი აქვს სამრეწველო განვითარების პროცესს, რომელიც ამისდამიუხედავად სრულიად არ წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციას—ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ინდუსტრიალიზაციის ძირითად დახასიათებას შეადგენს დამოუკიდებელი მრეწველობის განვითარება საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარების გზით. იმპერიალიზმი არ არის პროგრესის ფაქტორი კოლონიებში, პირიქით, იგი აფერხებს და ანგრევს კოლონიების ეკონომიურ განვითარებას. ინდოეთის შრომისა და მოსახლეობის სტატისტიკა, იმ ქვეყნის სტატისტიკა, რომელზეც ხშირად მიგვითითებენ „დეკოლონიზაციის“ თეორიის მომხრენი, გვიჩვენებს, რომ ინდოეთში არ არსებობს მანქანათსაშენებელი მრეწველობა. სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ, რომ იმპერიალიზმის ბატონობამ ინდოეთში ბოლო მოუღო საფეიქრო საქონლის ექსპორტს ინდოეთიდან. იგივე ცნობები გვიჩვენებენ, რომ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ინდოეთში მსოფლიო ომის გამოცხადების დღიდან განვითარდნენ, ემსახურებიან სამხედრო მიზნებს და სავსებით ინგლისის სამხედრო სამინისტროს ემორჩილებიან. რაც შეეხება იმპერიალისტური ქვეყნების კაპიტალის ექსპორტს, სტატისტიკური ცნობების მიხედვით, კაპიტალის მეტი წილი მიდის არა კოლონიებში, არამედ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ინდოეთის ინდუსტრიალური განვითარების ელემენტები იმდენად უმნიშვნელოა, სხვა კოლონიებთან შედარებითაც კი, რომ პირდაპირ გაუგებარია, რად მოჰყავთ თავიანთი შემცდარი თვალსაზრისის დასასაბუთებლად ინდოეთის მაგალითი „დეკოლონიზაციის“ თეორიის მომხრებს. ბენეტი ვერ ამჩნევს განსხვავებას კოლონიებისა და სამრეწველო ქვეყნების რევოლიუციონურ განვითარების შორის. მისი თვალსაზრისი ეწინააღმდეგება ლენინის თეორიას კოლონიებისა და ნახევარკოლონიების არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობის შესახებ. კოლონიალური ქვეყნების რევოლიუციები ჩვენ უნდა განვიხილოთ კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარულ რევოლიუციებთან დაკავშირებით“.

ვოლფი (ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატები): „დეკოლონიზაციის“ თეორიას, რომლის მომხრენიც აჭარბებენ კოლონიალურ ქვეყნებში იმპერიალიზმის პროგრესიული როლის შეფასებაში, ლოღიკურად მოსდევს იმპერიალიზმის აპოლოგია, ბრძოლის მოდუნება იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მართალია, ლათინური ამერიკის ქვეყნებში შეერთებული შტატების იმპერიალიზმი ერთდროს რამდენამე პროგრესიულ როლს თამაშობდა. მაგრამ პროგრესიულ პოლიტიკას იგი აწარმოებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ლათინური ამერიკიდან გამოედევნა ინგლისის იმპერიალიზმი, რომელიც ფეოდალურ და კლერიკალურ რეაქციას ეყრდნობოდა. როგორც კი შეერთებული შტატების იმპერიალიზმმა მიზანს მიაღწია, მან დაუყოვნებლივ შებორკა პროგრესიული ძალები, რომლებსაც, ის იყო, თავისუფლად ამოსუნთქვეს და თავის მხრივ კავშირი შეჰკრა ფეოდალურ რეაქციასთან. ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ წვრილბურჟუაზიულ თეორიას, თითქოს ლათინური ამერიკის ქვეყნები მთლიანი ფრონტით გამოდიოდნენ შეერთებული შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა ხომ ბურთად გადაიქცა შეერთებული შტატების ხელში. უნდა ვილაპარაკოთ ლათინური ამერიკის არა მთლიან ფრონტზე შეერთებული შტატების წინააღმდეგ, არამედ ლათინური ამერიკის რევოლიუციონურ ძალთა კავშირზე შეერთებული შტატების რევოლიუციონურ პროლეტარიატთან. ის ლოზუნგი უნდა დავუკავშიროთ ლათინურ ამერიკის მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების კავშირის ლოზუნგს“.

18 აგვისტოს საღამოს სხდომა

ფახრი (თურქეთი): თურქეთის სამრეწველო განვითარება წინ მიდის. ამასთან პარალელურად ადგილი აქვს კლასობრივი დიფერენციაციის პროცესს. ამიტომ არაა სწორი თურქეთის შეტანა ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნების ჯგუფში, როგორც ეს თეზისებშია. ქემალიზმმა უკანასკნელ წლებში ძირიან-ფუძიანად შესცვალა თავისი პოზიცია უცხოეთის იმპერიალიზმისადმი. ეს გადახრა გამოწვეულია ქემალისტური ბურჟუაზიის უძლურებით, რადგან მას არ ძალუძს შინაგანი დაგროვების გზით უზრუნველჰყოს ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება. კაპიტალის ძებნაში თურქეთის ბურჟუაზია უახლოვდება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. ამის მაგალითია, თუნდაც, ამ მოკლე ხნის წინეთ დადებული ხელშეკრულება იტალიასა და თურქეთს შორის. ამ ხელშეკრულების მახვილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული. თურქეთის კომპარტიის მიზანია ქემალისტური ბურჟუაზიის ღალატის მხილება. ამ მიზნით თურქეთის კომპარტიამ უნდა გააძლიეროს ორგანიზაციული მუშაობა, შექმნას მუშათა და გლეხთა მთლიანი ფრონტი და მთელის ძალღონით ებრძოლოს იმპერიალისტური ომის მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მერფიმ (ინგლისი) განაცხადა, რომ იგი ინგლისის დელეგაციის სახელით არ ლაპარაკობს, იგი გამოხატავს მხოლოდ პირად თავის თვალსაზრისს.

„მე სავსებით ვეთანხმები თეზისებს,—სთქვა მერფიმ,—და ისინი უნდა დავიცვა ზოგიერთი ინგლისელი ამხანაგებისაგან. ბენეტმა აქ დახატა ინდოეთის ინდუსტრიალური განვითარების მენშევიკური სურათი. მის თეორიას მოსდევს ის შემცდარი დასკვნა, თითქოს ინდოეთის ინდუსტრიალიზაციამდე შეუძლებელი იყოს რევოლიუციონური პერსპექტივა ინდოეთში. გადამწყვეტ ფაქტორს კოლონიალური რევოლიუციების დასამათავრებლად წარმოადგენს იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა დაგროვება და არა ინდუსტრიალიზაცია. ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო სცდილობს შეაჩეროს ინდუსტრიალიზაციის პროცესი კოლონიებში. სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ, რომ ინგლისის იმპერიალიზმი სწორედ ასეთ პოლიტიკას ადგია ინდოეთის მიმართ. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ მსოფლიო ომის წლები. არ არის სწორი ბენეტის მტკიცება, თითქოს ინდოეთის მთელი ნაციონალური ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადასულიყოს. არ უნდა დავივიწყოთ კომინტერნის მე-II კონგრესის თეზისები კოლონიებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციების შესახებ. კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ქვეყნებში ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი კომუნისტური პარტიები, რომელთაც შეეძლებათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის ხანაში შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები.

ლოზოვსკი: კომინტერნის მე-II მსოფლიო კონგრესის შემდეგ, რომელზედაც მიღებულ იქნა ლენინის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია კოლონიალური საკითხის შესახებ, მოხდა ახალი რამ. ეს ახალი არის ის, რომ მრავალ კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ქვეყანაში გამოსვლა იწყო პროლეტარიატმა, როგორც დამოუკიდებელმა რევოლიუციონურმა ძალამ. ეს მოვლენა დაკავშირებულია კოლონიალური ქვეყნების გარკვეულ კაპიტალისტურ და იმპერიალისტურ განვითარებასთან. რასაკვირველია, ამ ფაქტების მიხედვით სწორი არ არის „დეკოლონიზაციის“ თეორიის შექმნა, რომელსაც თეზისები სამართლიანად ახასიათებენ, როგორც არაკომუნისტურს. მაგრამ, არც ისაა სწორი, თითქოს კოლონიები კაპიტალიზმის სასოფლო-სამეურნეო „ზურგს“ წარმოადგენდნენ. ასეთი დახასიათება ეწინააღმდეგება პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ლოზუნგს, ვინაიდან ამ ლოზუნგის განხორციელება გულისხმობს, რომ კოლონიებმა მიაღწიეს სამრეწველო განვითარების განსაზღვრულ დონეს. ზოგიერთ ამხანაგებს, განსაკუთრებით ლათინური ამერიკიდან, უსაფუძვლოთ ეშინია იმის, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის ლოზუნგი ამცირებს პროლეტარიატისა და კომუნისტური პარტიის როლს. ეს გაუგებრობაა, ვინაიდან ლენინიზმი მოითხოვს, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციაში ხელმძღვანელი როლი ითამაშოს სწორედ პროლეტარიატმა. ამას თეზისებში ხაზი უნდა გაესვას და უფრო მეტად გაირკვეს პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ბოლშევიკური ლოზუნგი. თეორეტიულად, რასაკვირველია, სწორია, რომ პროლეტარიატს შეუძლია დროგამოშვებით არა მარტო მხარი დაუჭიროს კოლონიალურ ბურჟუაზიას, არამედ კიდეც შეუთანხმდეს მას. მაგრამ თეზისის ავტორები პოლიტიკურ შეცდომას სჩადიან, როცა ამბობენ, რომ ინდოეთის პროლეტარიატის ამოცანას შეადგენს სვარაჯისტების (ინდოეთის ნაციონალისტების) მხარის დაჭერაო. ეს სრულიადაც არ შეადგენს ინდოეთის პროლეტარიატის მთავარ ამოცანას. მისი მთავარი ამოცანაა—მუშათა დამოუკიდებელი რევოლიუციონური მოძრაობის შექმნა და მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების გაწმენდა სვარაჯისტებისაგან. თეზისებში თითქმის არაფერია ნათქვამი კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ქვეყნებში რეფორმიზმის შესახებ. თეზისების ეს ნაწილი საჭიროა გაფართოვებულ იქნას.

ნეიმანი (გერმანია): თეზისებს საფუძვლად უნდა დაედვას ლენინის მოძღვრება იმის შესახებ, რომ კოლონიალურ ქვეყნებს შეუძლიათ „გადაახტნენ“ განვითარების კაპიტალისტურ ფაზას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოლონიალური და ნახევრად-კოლონიალური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს მიეცემათ სწორი პერსპექტივა, და თუ ისინი შესძლებენ მუშათა და გლეხთა დამოუკიდებელ კლასობრივ ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ. საფინანსო კაპიტალი სრულიადაც არ მიილტვის კოლონიების ინდუსტრიალიზაციისაკენ, პირიქით, იგი სცდილობს კაპიტალის წინა ხნის სამეურნეო ფორმების დაცვას, რომელთაც ის თანდათან შეზრდება. „დეკოლონიზაციის“ თეორია ეწინააღმდეგება ლენინის მოძღვრებას კოლონიებში არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობის შესახებ. კოლონ. ბურჟუაზიის სისუსტე და მის მხრივ ღალატი ნაციონ. რევოლიუციის ინტერესებისთვის, განსაკუთრებით ცხადად იხატება ჩინეთში. ინდოეთში შეუძლებელია იმედი გვქონდეს ნაციონალურ ბურჟუაზიასთან თუნდაც ხანმოკლე კავშირისა. ჩვენ პირდაპირ უნდა ვუთხრათ მუშათა და გლეხთა მასებს: სვარაჯისტული ბურჟუაზია პირველ დღეებშივე გაგყიდით თქვენ. ჩინეთის ბურჟუაზია პროგრესიულ როლს თამაშობდა მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში. ამ პერიოდში მასთან კავშირის ტაქტიკა უსათუოდ სწორი იყო. ამ კავშირით მოვიგეთ ჩვენ, და არა ბურჟუაზიამ. ამჟამად საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ კანტონის აჯანყება არ იყო ცუდი. ჩვენ აღვნიშნავთ კანტონის აჯანყების დროს დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. საბჭოთა ხელისუფლება პირველად გამოცხადდა კოლონიალურ ქვეყანაში. კანტონის აჯანყების შემდეგ ჩინელმა გლეხმა იცის, რომ მიწის, ზავისა და თავისუფლების მიღება მას შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასისა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან. ჩინეთის კომპარტიის წინანდელმა ხელმძღვანელობამ დაუშვა არა მარტო ოპორტუნისტული, არამედ პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონური შეცდომები, მაგ., მაშინ, როცა მოუწოდებდა გლეხთა ექცესების დასამშვიდებლად, ხოლო ახალი ხელმძღვანელობა მაშინ, როცა ზედმეტად იმეორებდა პუტჩისტების შეცდომებს. პუტჩიზმი ისევე საშიშია, როგორც ოპორტუნიზმი, მაგრამ პუტჩიზმი გახრწნის ნიშანი როდია როგორც რეფორმიზმი, იგი მხოლოდ საყმაწვილო სენია, მაგრამ ჩინეთის კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ ეს შეცდომა საჩქაროდ გამოასწორა.

არნო (ინგლისი): ინგლისის დელეგაციის სახელით მე შემომაქვს შესწორებები თეზისებში. ინდოეთის ინდუსტრიალიზაციის და „დეკოლონიზაციის“ საკითხის შესახებ კამათში, ინგლისის დელეგაციის პოზიციასთან დაკავშირებით, თავი იჩინა გაუგებრობამ. ინგლისის დელეგაცია არასოდეს არ იცავდა „დეკოლონიზაციის“ თეორიას. მაგრამ ინგლისის დელეგაცია აღნიშნავს, რომ თეზისები ინდუსტრიალიზაციის საკითხის შესახებ. შემცდარად არის ჩამოყალიბებული. ინდოეთის ინდუსტრიალიზაცია ჩვენ გვესმის არა როგორც მრეწველობის უპირატესი მდგომარეობა, არამედ როგორც მისი ზრდა. თეორეტიული შეცდომა თეზისებში მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ინდოეთის დღევანდელ მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პოლიტიკის ახსნა-განმარტების დროს გამოდიან იმ ურთიერთობიდან, რომელიც არსებობდა სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში. ამას მოსდევს შემცდარი პრაქტიკული დასკვნები. თეზისებმა გარკვევით უნდა დახატონ კაპიტალისტური განვითარების საერთო კანონი, რომლის მიხედვითაც კაპიტალის ექსპორტი იწვევს კოლონიალურ ქვეყნებში მრეწველობის განვითარების დაჩქარებას. იმპერიალიზმიც, მიუხედავად აფერხებელ წინააღმდეგობისა, ამჟღავნებს მრეწველობის ზრდისთვის ხელის შემწყობ ტენდენციას. უდავოა, რომ საფინანსო კაპიტალის პერიოდში ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკა ინდოეთში შეიცვალა. სახელმწიფო სესხებში კაპიტალის დაბანდება კაპიტალის ექსპორტის ჩვეულებრივი ფორმაა, და ეს ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას. სტატისტიკური ცნობა მოწმობენ, რომ ინდოეთში მრეწველობა იზრდება, განსაკუთრებით იზრდება ფოლადის წარმოება.

დუტი (ინდოეთი): სწორი არ არის იმის თქმა, რომ იმპერიალიზმი აფერხებს ინდოეთის ინდუსტრიალურ განვითარებას. არც ისინი, მართლები, ვინც ამტკიცებენ, რომ იმპერიალიზმი ყოველნაირად ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას. რამდენიმედ, ინგლისის იმპერიალიზმი დაბრკოლებას უქმნის მრეწველობის განვითარებას. მაგრამ, გრძნობს რა ინდოეთის სამრეწველო განვითარების აუცილებლობას, ინგლისის იმპერიალიზმი სცდილობს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს მრეწველობა, რომელიც ყოველდღე იზრდება. ინდოეთის ბურჟუაზიამ უღალატა ნაციონალურ რევოლიუციას. ის კონტრ-რევოლიუციის ფაქტორია, მაგრამ ის გარიმოება, რომ ჩვენ აღვნიშნავთ ინდოეთის ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონურ ხასიათს, ხელს ვერ შეგვიშლის გამოვიყენოთ იგი რევოლიუციის განვითარებისათვის.

ბენეტი კითხულობს განცხადებას, რომელშიაც მიუთითებს მარქსსა და ლენინზე და იცავს თავის თვალსაზრისს.

20 აგვისტოს დილის სხდომა

20 აგვისტოს კონგრესის დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა **მანავარა** (ინდონეზია). გაგრძელდა კამათი კოლონიალური საკითხის ირგვლივ.

რებექა ბუტინგი (სამხრეთ-აფრიკა): მე არ ვეთანხმები ზანგთა კ.-კომისიის წინადადებას, რომელშიც წამოყენებულია ადგილობრივ მკვიდრთა რესპუბლიკისათვის ბრძოლის ლოზუნგი. სამხრეთ აფრიკაში არიან თეთრი პროლეტარები და გლეხები და არ არის ადგილობრივ მკვიდრთა ბურჟუაზია, ამიტომ, ასეთი მოძრაობა მეტისმეტად საშიში იქნება. ის დაარღვევს კლასობრივ მთლიანობას თეთრსა და შავ დაჩაგრულთ შორის, რაც დიდ ზიანს მოიტანს, ვინაიდან კლასობრივი მთლიანობა გაცილებით უფრო დიდი ძალაა იმპერიალიზმთან საბრძოლველად, ვიდრე ადგილობრივ მკვიდრთა ნაციონალიზმი.

რაზო (ინდოეთი): ტაქტიკურად სრულიად დასაშვებია ზოგიერთ შემთხვევაში ნაციონალურ ბურჟუაზიასთან ერთად სვლა. მაგრამ ყოველთვის საშიშია, რომ ბურჟუაზიამ ასეთი ეპიზოდიური თანამშრომლობაც ჩვენს წინააღმდეგ არ გამოიყენოს. კოლონიალურ ქვეყნებში მთავარი მომქმედი ძალა პროლეტარიატი და გალატაკებული გლეხობაა, ეჭვს გარეშეა, კოლონიებში მრეწველობა ვითარდება, მაგრამ იმპერიალიზმის ბატონობის ხანაში იგი ვერასოდეს დამოუკიდებელ როლს ვერ ითამაშებს.

შუბინი (საბჭოთა კავშირი): კაპიტალის შეტანა არა თუ არბილებს, პირიქით, აძლიერებს კოლონიების დამონებას. კოლონიები მართლაც მეტროპოლიის აგრარული დამატებებია. მაგრამ სწორი არ არის ის აზრი, ვითომ ეს ტენდენცია თანდათან ძლიერდებოდეს. კოლონიების სამრეწველო განვითარება თვალწინაა. მიუხედავად ამისა, უდიდესი შეცდომა იქნება—აქედან გამოგვეყვანა დასკვნა დეკოლონიზაციის შესახებ. დეკოლონიზაცია მარქსისტულ გაგებით შესაძლოა მოჰყვეს ან რევოლიუციას კოლონიაში, ან პროლეტარულ რევოლიუციას მეტროპოლიაში.

ტარდინასი (კოლუმბია): ლათინური ამერიკის ქვეყნებში ნაციონალურ ბურჟუაზიას არ შეუძლია ებრძოლოს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმს. ნაციონალური ბურჟუაზია მთელის ძალღონით ებრძვის რევოლიუციონურ მოძრაობას. საპყრობილეები სავსეა კომუნისტებით.

ლომინაძე (საბჭოთა კავშირი): ეჭვს გარეშეა, რომ იმპერიალიზმი აფერხებს კოლონიათა ეკონომიურ განვითარებას და კოლონიებს თანდათან უკარგავს აგრარულ დამატების ხასიათს და ხდის მეტროპოლიის სამრეწველო დამატებათ. ეს იმპერიალისტური განვითარების გარდაუვალი კანონია. ინდუსტრიალიზაცია, რომელსაც ამჟამად კოლონიებში ადგილი აქვს, არ ნიშნავს საწარმოო ძალთა ძალთა საერთო განვითარებას. იმპერიალიზმი ანგრევს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალებს, რამდენადაც იგი უკავშირდება ყველაზე უფრო რეაქციონურ ფეოდალურ ძალებს. თეზისები ამტკიცებენ, რომ სვარაჯისტებმა და ვაფდისტებმა ჯერ არ უღალატეს რევოლიუციისათვისო. ეს სწორი არ არის, ამან შეიძლება შემცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანოს. ჩვენ ჩვენი კრიტიკის ქარცეცხლი სწორედ ნაციონალ-რეფორმიზმისაკენ უნდა მივმართოთ.

ვურმი (კომინტერნის აღმასკომი): დეკოლონიზაციის თეორია მეტისმეტად საშიშია და სერიოზული საფრთხეა ამიტომ, რომ ზოგიერთი ამხანაგები კატეგორიულად იცავენ მას. სტატისტიკური ცნობები ვვიმტკიცებენ, რომ ინდოეთში არ ხდება საწარმოო საშუალებათა წარმოების ზრდა, ხოლო დეკოლონიზაციის თეორია ეწინააღმდეგება რევოლიუციონური მოძრაობის სწორ გაგებას და გლეხების როლის შეფასებას, ამიტომაც მას მთელი ძალღონით უნდა ვებრძოლოთ.

ბენ-საიდი (ალჟირი): საფრანგეთის კომპარტიამ უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა კოლონიალურ ქვეყნებში, მხარი დაუჭიროს კოლონიალურ ხალხთა განმანთავისუფლებელ მოძრაობას და ამზადოს მომავალი კოლონიებში პროლეტარული რევოლიუცია.

შაგრი (სპარსეთი): მე სწორად მიმაჩნია მუშურ-გლეხური პარტიის ორგანიზაციის ლოზუნგი, სადაც კომპარტია იმდენად ძლიერი არ არის, რომ დამოუკიდებლად გამოვიდეს. ასეთ ქვეყნებში საჭიროა აგრეთვე ორგანიზაცია ნაციონალურ-რევოლიუციონური პარტიების იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გასაერთიანებლად. მაგრამ ამასთან იმპერიალიზმთან ბრძოლაში ხელმძღვანელობა კომპარტიისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს.

ჩინ-ზუანი (ჩინეთი): ჩვენის აზრით, გომინდანს, რომელმაც გაჰყიდა ნაციონალური რევოლიუცია, აღარ შეუძლია აწარმოოს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. წყნარ ოკეანეზე ომის საფრთხის გამწვავებისა, გომინდანის შიგნით კონფლიქტის ზრდისა და ჩინეთში რევოლიუც. მოძრაობის გამოცოცხლების პირობებში, ჩინეთის ბურჟუაზიას არ შეუძლია იარსებოს, როგორც იმპერიალისტებისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალამ, და ჩინეთის პროლეტარიატი აიღებს ხელმძღვანელობას კანტონის აჯანყების დროს აფრიალებულის დროშით, რომელზედაც აწერია მთელი ძალაუფლება საბჭოებს. მუშათა და გლეხთა დამშვიდება სისხლის ღვრით, თუნდაც ანტიიმპერიალისტური გამოსვლების აღკრძალვა ამტკიცებს იმას, რომ გომინდანის რეფორმისტული განვითარება შეუძლებელია. წვრილბურჟუაზიის ნაწილის პოლიტიკა, რომ მესამე პარტია დაარსონ, წინდაწინვე განწირულია. ჩინეთის მუშათა და გლეხთა ორგანიზაციის გზით კომპარტიამ უნდა მოიშოროს გომინდანის ბურჟუაზიის ბატონობა და მოამზადოს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუცია.

კონგრესის შემდეგი პლენარული სხდომა მოხდება 21 აგვისტოს დილით. დღის წესრიგშია უკანასკნელი სიტყვები კოლონიალური საკითხის შესახებ კუუსინენის, სტრახოვისა და სიკანდორისა.

მე-6 კონგრესის მიმართვამ საბჭოთა კავშირის მშრომელთადმი, რომელიც კავშირის შორეულ კუთხეებსაც კი მისწვდა, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. კონგრესის პრეზიდიუმს პროლეტარული ორგანიზაციების მისალმებებთან ერთად ამ მიმართვის პასუხებიც მოსდის.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მე-5 მსოფლიო კონგრესი

მოსკოვი, 21 აგვისტო. 20 აგვისტოს გაიხსნა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მე-V კონგრესი. კონგრესის პირველი საზეიმო გახსნა შესდგა მოსკოვის საოპერო თეატრში. კონგრესი გაიხსნა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მდივნის ამხ. **ხითაროვის** შესავალი სიტყვით.

პირველ სიტყვას ამხ. ხითაროვი უძღვნის საერთაშორისო პროლეტარიატის უკანასკნელი წლების განმავლობაში გარდაცვლილ ბელადების და ახკომკავშირის ურიცხვ მებრძოლთა ხსოვნას, რომელნიც დაიღუპნენ იმპერიალიზმთან ბრძოლაში, წამებულ იქმნენ თეთრი ტერორის მიერ ჩინეთში ბულგარეთში, პოლონეთში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში. შემდეგ ამხ. ხითაროვმა მოიგონა დამწყვდეული ის ამხანაგები, რომელნიც ბურჟუაზიულ საპყრობილეებში იტანჯებიან.

„ვხსნი რა კონგრესს,—სთქვა შემდეგ ამხ. ხითაროვმა,—ჩვენ აღთქმას ვიძლევით ვიყოთ კომუნისტური ინტერნაციონალის უდრეკი ჯარის კაცები“.

კონგრესის პრეზიდიუმში ამორჩეულ იქნა 37 კაცი, მათ შორის რემელე (გერმანია), მილჩაკოვი (საბჭოთა კავშირი) და სხვ.

კონგრესი საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს ამხ. სტალინს, ბუხარინს, მოლოტოვს, კრუპსკაიას, კლარა ცეტკინს, მარტის, გოლცს, ტელმანს და იმ ახკომკავშირელებს, პოლიტპატიმრებს, რომლებიც ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეებში არიან გამომწყვდეული.

სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის სახელით კონგრესს მიმართა მისალმებით ცეკას მდივანმა ამხ. **კოსარიოვმა**.

„საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირი,—სთქვა ამხ. კოსარიოვმა,—ბეჯითად თვალყურს ადევნებს საზღვარგარეთის ახკომკავშირის ცხოვრებასა და ბრძოლას. საერთაშორისო რევოლიუციისთვის ბრძოლაში თქვენ, საზღვარგარეთელო ამხანაგებო, მარტონი არ ხართ, თქვენთანაა საბჭოთა კავშირის მთელი მუშა ახალგაზრდობა“.

ამხ. ბუხარინი, რომელსაც ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ, ამბობს მისასალმებელ სიტყვას კომინტერნის აღმასკომისა და მე-VI კონგრესის სახელით.

„მე მივესალმები მუშათა კლასის მოწინავე თავგანწირულ ახალგაზრდობას,—ამბობს ამხ. ბუხარინი,—რომელიც მთელი დედამიწის ზურგზე მამაცურად იბრძვის მსოფლიო რევოლიუციის ზეიმისათვის. თქვენი კონგრესი ისეთ მომენტში იკრიბება, როდესაც ბრძოლაში პროლეტარული ახალგაზრდობის განსაკუთრებული შემჭიდროვება საჭიროა. იზრდება ახალი თაობა, რომელმაც არ იცის და არ ახსოვს იმპერიალისტური ომი. მაგრამ უკვე სჩანან ახალი იმპერიალისტური ომის ალები. ეს საშიშროება სრულიად რეალურია. მასთან საბრძოლველად ახალგაზრდათა კომინტერნმა უნდა შესძლოს დარაზმოს არა მარტო თავისი კადრები, არამედ ასეული ათასები და მილიონები მუშა და მშრომელ ახალგაზრდობისა. მუშა ახალგაზრდობა მზად უნდა იყვეს იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომით აქციოს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მიზნით. ამ პერსპექტივაში მუშაობს კომინტერნის მე-VI კონგრესი და იმუშავებს ახალგაზრდათა კომინტერნის მე-V კონგრესი. ძირითადი მიზანი მუშა ახალგაზრდობისა არა ქაღალდზე, არამედ ნამდვილად, რეალური ბრძოლაა ომის საშიშროებასთან. ახალგაზრდათა კომინტერნი თავის კონგრესზე მიიღებს თავის პროგრამას; ეს პროგრამა დროშა იქნება, რომლითაც იბრძოლებს და გამარჯვებს რევოლიუციონური ახალგაზრდობა. უმნიშვნელოვანესი ამოცანა თქვენი კონგრესისა იმაში მდგომარეობს, რომ გამოარკვიოთ საკითხი მშრომელ ახალგაზრდათა მასების დაპყრობის ახალი მეთოდების შესახებ. ამ სხდომაზე ჩვენ ვხედავთ სამი თაობის წარმომადგენელთ: პარიზის კომუნის მებრძოლთ, ოქტომბრის რევოლიუციის მონაწილეთ და ახალი თაობის წარმომადგენელთ, რომელთაც წილათ ხვდათ მსოფლიო კომუნიზმის შენება. მუშა ახალგაზრდობა უნდა სწავლობდეს მუშაობას თავის უფროსი ძმებისაგან. მას წილად ხვდა კაპიტალისტური მსოფლიოს აფეთქება და მტკიცე საფუძვლის ჩაყრა პროლეტარული დიქტატურისათვის მთელს მსოფლიოში“.

ამხ. ბუხარინის სიტყვა საერთო ტაშის ცემამ დაფარა.

მოსკოვის მუშა ახალგაზრდობის სახელით კონგრესს მისალმება გადასცა ამხ. **ბანნიკოვმა**.

შემდეგ კონგრესმა მოისმინა რაპორტი ახალგაზრდათა კომინტერნის შეფობის ქვეშ მყოფი საკავალერიო დივიზიის კომანდირისა ამხ. **ხითაროვმა** წაიკითხა ტექსტი სამხედრო ფიცისა, რომელიც კონგრესმა მიიღო. ყველა დელეგატები და სტუმრები ამხ. ხითაროვთან ერთად იმეორებდნენ ფიცის სიტყვებს: ჩვენ დიადი ბელადების—მსოფლიო ბელადების—ლენინისა და ლიბკნეხტის ანდერძის ერთგულნი—ფიცსა ვდებთ დავრაზმოთ მთელი მსოფლიოს მშრომელი ახალგაზრდობა დაუნდობელი ბრძოლისათვის ყველა ქვეყნის იმპერიალისტებთან, რომელნიც ომებს ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორიც მსოფლიოს მუშათა კლასის ციხე-სიმაგრის წარმოადგენს. ფიცსა ვდებთ კომუნიზმისთვის ბრძოლაში ვიყოთ პირველ რიგებში.

ამხ. **კრუპსკაიამ**, რომელსაც ტაშით შეხვდნენ, აღნიშნა, რომ ახალგაზრდათა კომინტერნის წევრებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ყოველდღიურ მუშაობას.

ამხ. **ტელმანი** ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესს ესალმება კომინტერნის კონგრესის პრეზიდიუმის სახელით და დაწვრილებით ახასიათებს ახალგაზრდათა კომკავშირის ძირითად ამოცანებს მიმდინარე მომენტში.

ამხ. **კაშენი** მისასალმებელ სიტყვას ამბობს საფრანგეთის კომპარტიის სახელით.

სხდომის დანარჩენი ნაწილი მოუნდა სპარტაკიადის, ჩინეთისა და ზანგთა ახალგაზრდობის და საბჭოთა კავშირის პიონერთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მისალმებას. სხდომის სადღესასწაულო ნაწილი დასრულდა ინტერნაციონალის სიმღერით მისი ავტორის დეგეიტერის დირიჟორობით.

ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესის საქმიანი მუშაობა დაიწყება კომინტერნის კონგრესის მუშაობის დასრულების შემდეგ.

ამხ. ს. მ. ბუდიონი თბილისში

საუბარი ამხ. ბუდიონისთან

კვირას, 19 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა მუშათა და გლეხთა წითელ არმიის კავალერიის ინსპექტორი და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს წევრი ამხ. **ს. მ. ბუდიონი**.

ამხ. ბუდიონს სადგურზე შეხვდა კავკასიის წითელდროშოვან არმიის მეთაურთა შემადგენლობა, ქალაქის კომენდანტი ამხ. **ლ. აბაშიძე** და სხვ.

ამხ. ბუდიონმა დაათვალიერა ცხენოსანი ნაწილები, გაეცნო მათ მდგომარეობას და დაესწრო ცხენოსანთა ტაქტიკურ მეცადინეობას. ამხ. ბუდიონმა დაათვალიერა აგრეთვე საქ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენსაშენი.



საუბარში, რომელიც მას ჰქონდა ჩვენს თანამშრომელთან, ამხ. **ბუდიონმა** სთქვა შემდეგი:

მე დავესწარი წითელ ცხენოსანთა ტაქტიკურ მეცადინეობას. უნდა აღინიშნოს, რომ წითელ არმიელები დიდი ყურადღებით ეპყრობიან საველე მზადებას. ცხენოსან ნაწილების მეთაურთა შემადგენლობას კარგად აქვს შეთვისებული სამხედრო წესდება და წარმატებით ამუშავებს ამ წესდების მეორე ნაწილს, რაიც უადვილებს მათ მუშაობას.

სოფლად დაბანაკებულ წითელ არმიელებს ადგილობრივი მცხოვრებლები ხვდებოდნენ დიდი ენთუზიაზმით და ინტერესით. სამეცადინო დროს განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას საჩივარი შეეტანოს წითელ არმიელის რაიმე უკანონო მოქმედებაზე. არ ჰქონია აგრეთვე ადგილი, რომ წითელ არმიელს რაიმე პრეტენზიები განეცხადებინოს ადგილობრივ მცხოვრებთა მხრივ რაიმე უდიერი მოპყრობის გამო.

წითელ ცხენოსანთა ტაქტიკური მეცადინეობის დროს დიდი როლი ითამაშა სამხედრო კოოპერაციამ, რომელმაც ლაშქრობის დროს სურსათ-სანოვაგით უზრუნველჰყო წითელ არმიელები.

საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენოსაშენი კარგად არის მოწყობილი. სჩანს მუშა-მოსამსახურეთა ერთგულება საქმისადმი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცხენების მოშენების საქმეს საქართველოში ამჟამად მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი. ამნაირად, მომავალში ჯიშიანი ცხენების მოშენებას დიდი პერსპექტივები აქვს.

შეეხო რა 1906 წ. დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევას წითელ ჯარში, ამხ. ბუდიონმა სთქვა: ეხლანდელ ახალწვეულთა კულტურული დონე უფრო მაღალია გასულ წელთან შედარებით. ამნაირად, მორიგი გაწვევა შემატებს წითელ არმიას პოლიტიკურად გაწრთვნილ და ფიზიკურად ჯანსაღ კადრს.

შემდეგ ამხ. ბუდიონი შეეხო წითელ ცხენოსანი ნაწილების როლს მომავალ ომში და განაცხადა: ინგლისელები და ფრანგები წინად უარყოფდნენ ცხენოსანი არმიის მნიშვნელობას მომავალ ომში, ეხლა კი ისინი შეუდგნენ ძლიერი კავალერიის შექმნას.

დასავლეთ სახელმწიფოთა შორის პოლონეთს ჰყავს უფრო ძლიერი ცხენოსანი ნაწილები, მაგრამ საბჭოთა კავშირის წითელ კავალერიის წინაშე სდგას რთული ამოცანები და წითელ კავალერიას აქვს ფართო პერსპექტივები: მუშურ-გლეხური წითელი კავალერია, რომელმაც სამოქალაქო ომის დროს ოქტომბრის მონაპოვართა გასამტკიცებლად გაუწია უდიდესი სამსახური, მომავალშიაც პირნათლად შეასრულებს ყოველივე დავალებას. ამის თავდებია ის, რომ წითელ კავალერისტებს ნათლად აქვთ შეგნებული თავისი მოვალეობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის დარგში.

წითელი არმიელების მიმართვა ამხ. ს. ბუდიონისადმი

კავკასიის წითელდროშოვან არმიის წითელ არმიელებმა თავიანთ საერთო კრებაზე გამოიტანეს დადგენილება, რომლის თანახმად შემდეგი მიმართვა გაუგზავნეს ამხ. ბუდიონს:

„მუშურ-გლეხური წითელ არმიის კავალერიის ხელმძღვანელს ამხ. ს. ბუდიონს.

ჩვენ, კავკასიის წითელდროშოვან არმიის ცხენოსან ნაწილების მებრძოლნი, რომლებიც შევიკრიბეთ ქვეითი ნაწილებთან ერთად ჩატარებულ პრაქტიკული მეცადინეობის ჯამის გამოსაყვანად, გიგზავნით ჩვენ მხურვალე წითელ არმიელის სალამს.

ქვეითი ნაწილებთან ერთად ჩატარებულმა ტაქტიკურმა მეცადინეობამ ნათელჰყო, რომ ჩვენ ამჟამად გვაქვს დიდი მიღწევები. ჩვენ შევისწავლეთ ბრძოლის წარმოება ქვეითი ნაწილებთან ერთად.

მომავალში ჩვენ წინაშე სდგას ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანები. ჩვენ დაგვჭირდება მეტი ენერგიისა და ძალ-ღონის დახარჯვა იმისათვის, რომ წარმატებით დავამთავროთ კავალერისტთა მიმდინარე შეკრება. ამ ამოცანის წარმატებითი შესასრულებლად საჭიროა სწავლა-მეცადინეობა—ჩვენ ეს შეგნებული გვაქვს და თქვენ, როგორც უშუალო ხელმძღვანელს საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ წითელი კავალერიის და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრს ჩვენ გაძლევთ წითელ არმიელის სიტყვას, რომ მომავალ შეკრების დროს სწავლების დარგში გვექნება კიდევ მეტი მიღწევები.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენი მეცადინეობა მიმდინარეობს ისეთ მომენტში, როცა კაპიტალისტების სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი იზრდება, როცა კაპიტალისტური ქვეყნები ღებულობენ ყოველნაირ ზომებს საბჭოების წინააღმდეგ. ამაზე ჩვენი პასუხი ასეთია: რამდენადაც ბურჟუაზია მეტ სიძულვილს გამოიჩენს საბჭოთა კავშირისადმი და დაიწყებს სისინს მის წინააღმდეგ, მით უფრო შევისწავლით ჩვენ სამხედრო საქმეს, მით უფრო მეტ ინტერესს გამოვიჩენთ სამხედრო ცოდნისადმი.

ჩვენ ვიძლევით პატიოსან სიტყვას, რომ ჩვენი რიგებიდან მოვამზადებთ საუკეთესო მებრძოლებს, რომლებიც გამსჭვალული იქნებიან სამოქალაქო ომის პერიოდის მებრძოლთა საუკეთესო ტრადიციებით, იმ ომის, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით და სადაც ანადგურებდით საბჭოთა კავშირის მტრებს.

ჩვენ მოვემზადებით იმისათვის, რომ საჭირო დროს საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის მოწოდებისთანავე თქვენის ხელმძღვანელობით, როგორც ერთი კაცი დავდგეთ საბჭოთა კავშირის მუშების მონაპოვართა საგუშაგოზე და განვაცხადოთ: ვერავინ შესძლებს წაგვართვას ჩვენი მიღწევები.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და მის მოწინავე რაზმს—წითელ კავალერიას!

გაუმარჯოს წითელ კავალერიის ბელადს—ამხ. ს. ბუდიონს!

კრების პრეზიდიუმი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სესხის გავრცელებისათვის

(საკ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგ.-საპროპ. განყ. მოწოდება)

მოსკოვი, 21 აგვისტო. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილება ყველა პარტიულ ორგანიზაციებისადმი მიმართულ მოწოდებაში აღნიშნავს, რომ ახალი სესხი წარმოადგენს უდიდეს საკრედიტო ოპერაციას, რომელიც კი ოდესმე გაუტარებია საბჭოთა მთავრობას. ამიტომაც პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ახალი სესხის რეალიზაციას სოფლად.

„აუცილებლად საჭიროა—ნათქვამია მოწოდებაში,—ახალი სესხის კომპანიასთან დაკავშირებით განუმარტოთ გლეხობის ფართო მასებს, რომ იძულების ელემენტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის დროს, წარმოადგენდენ მთავრობის პოლიტიკის დამახინჯებას. ახალი სესხი სოფლად და ქალაქში გავრცელებული იქნება ყოველგვარ ადმინისტრატიულ იძულებითი ზომების გარეშე.

კონკრეტულ ღონისძიებებად საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ასახელებს: გამოიყოს ადგილებზე მომხსენებელ-აგიტატორების კადრი, მუშაობაში ჩაბმულ იქნეს აგრეთვე უპარტიო მუშათა აქტივი; მოეწყოს და ჩატარდეს მოხსენებები სესხის შესახებ უჯრედების ყველა საერთო კრებაზე, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა საერთო და საამქრო კრებებზე და გლეხობის სასოფლო-კრებებზე.

მოეწყოს მუდმივი ინფორმაცია სესხის შესახებ იმ გლეხებისათვის, რომელნიც ჩერდებიან ქალაქებში გლეხთა სახლებში, მოეწყოს მათთან სისტემატიური საუბრები სესხის სარგებლიანობის, მისი მნიშვნელობა და მიზნების შესახებ; ფართოდ იქნეს გამოყენებული სოფლად ქოხ-სამკითხველოები და კლუბები, რომელნიც ახალი სესხის რეალიზაციის საქმეში რეგულიარულად მომუშავე უჯრედებად უნდა გადაიქცნენ; ამ მუშაობაში სოფლად ჩაბმულ იქნეს სამასწავლებლო პერსონალი, აგრონომები, მიწის მზომელები და ყველა სხვა კულტურული ძალები; სესხის პოპულიარიზაციისათვის ფართოდ იქნეს გამოყენებული მოძრავი კინოები, რადიო, კედლის გაზეთები და სხვ.

გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ფართოდ უნდა გაშუქდეს სესხის კამპანიის მსვლელობა და აგიტაცია სესხზე ხელის მოწერისათვის; გამოყენებულ იქნეს ყრილობები, კონფერენციები, თათბირები და ყველა კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები სესხის პოპულიარიზაციისა და მის გასავრცელებლად აგიტაციის წარმოებისათვის“.

ა.-კ. ფინმუშაკთა თათბირი

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის კამპანიისათვის რაციონალური მეთოდების გამომუშავების მიზნით გუშინ ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატში გაიხსნა ამიერ-კავკ. რესპუბლიკათა ფინმუშაკების თათბირი.

ფინმუშაკების გარდა თათბირზე მონაწილეობას ღებულობდენ საბჭოთა და საზოგადო ორგანიზაციების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები. გუშინ დილის სხდომაზე საკრედიტო სისტემისა და ახალ სახელმწიფო სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსმა ამხ. **საფარიანმა**. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა საფინანსო აპარატს სახელმწიფო კრედიტის საქმეში უკვე აქვს მიღებული საგრძნობი პრაქტიკა და გამოცდილება. აქამდე ჩატარებულ კამპანიების ჩატარების დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მიღწევები, რომლებიც უკვე აღიარებულია ყველას მიერ. ასეთ მიღწევებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიაში ყველა კამპანიაში დავალებები შესრულებული იქნა საგრძნობი გადაჭარბებით. მიუხედავად ასეთი დადებითი მხარეებისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მუშაობას ჰქონდა აგრეთვე უარყოფითი მხარეები, ასეთებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ზოგიერთი რაიონები მთლიანად არ იყვნენ ჩაბმული კამპანიებში. ზოგიერთ რაიონში იგრძნობა შედარებით ნაკლები ინიციატივა როგორც საგიტაციო, ისე რეალიზაციის კამპანიაში; ჩვენი სოფლისა და განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობის ზოგიერთი ფენები დარჩენ სესხის გარეშე და მათ ჩასაბმელად სესხში თითქმის არაფერი გაკეთებულა და სხ.

ჩვენს მუშაობას წარსულში ჰქონდა ზოგიერთი ნაკლი, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა და ფინმუშაკებმა მთლიანად შეიგნეს სახელმწიფო კრედიტის მნიშვნელობა ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისათვის და ამ საქმის წარმატებით ჩასატარებლად ისინი არ ზოგავენ თავის ძალღონეს. ამის დამამტკიცებელია მაგალითი ლენინაკანის რაიონში თოვლში დაღუპული ორი ამხანაგი.

მომავალ კამპანიის დროს მსვლელობაში უნდა იქნეს მიღებული წარსულ მუშაობაში შენიშნული დეფექტები და საქმე ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ კამპანიის შედეგი ისეთივე ბრწყინვალე იქნეს, როგორც წინა კამპანიებში.

ამხ. საფარიანის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა თანამომხსენებების როგორც რესპუბლიკებიდან, აგრეთვე მაზრებიდანაც, რის შემდეგაც გაიმართა კამათი, ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საგიტაციო მასალა ადგილებს უგზავნებიან დიდი დაგვიანებით, რომ კამპანიის ხარჯების დასაფარავად საჭიროა გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე ფაქტიურად არის ხოლმე გადადებული, კამპანიის წარმატებით ჩატარებას ხშირად აფერხებს ბუნებრივი დაბრკოლებები (მკაცრი ზამთარი, უგზოობა და სხვა), რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს წინასწარ.

თათბირმა დაადგინა გამოყოფილი იქნეს კომისია, რომელსაც დაევალა მოხსენებების შესახებ რეზოლიუციების და პრაქტიკულ წინადადებების შემუშავება.

დღეს დილის სხდომაზე მოსმენილი იქნება უკანასკნელი მოხსენებები მომავალი კამპანიის მეთოდების შესახებ.

640 აჭარელ ქალმა მოიხადა ჩადრი

(ტელეგრაფით ბათომიდან)

ჩადრის მოხსნის სასარგებლოდ გადადგმულ პირველ ნაბიჯმა დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა: ხულოს მაზრაში ჩადრი მოიხსნა 120 ქალმა, ქედის მაზრაში—90 ქალმა, ქობულეთის მაზრაში—250 ქალმა და ბათომში—180 ქალმა. ამრიგად, 640 აჭარელ მშრომელმა ქალმა დაჰგმო ძველი ადათ-ჩვეულებები და მოიხადა ქალის დამამცირებელი ტანსაცმელი. გლეხები კმაყოფილებით ეგებებიან ქალთა ამ გაბედულ ნაბიჯს განთავისუფლებისაკენ.

ბრძოლა ჩადრის წინააღმდეგ

640 მშრომელ აჭარელ ქალმა უარყო ჩადრი, როგორც ქალის მონობისა და დამცირების სამოსი. ეს უთუოდ საგულისხმო ფაქტია განახლებულ აჭარისტანის ცხოვრებაში. დღეს, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა წყობილების ბუნება, ქალი სრულიად გათანასწორებულია მამაკაცთან. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქალი ყოველთვის და ყველგან სავსებით სარგებლობს ამ თანასწორობის უფლებით. სხვა მრავალ მიზეზთა შორის ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია სარწმუნოებისა და ძველი დრომოჭმული ყოფა-ცხოვრების მავნე გავლენითაც. ეს მით უფრო უნდა ითქვას მუსლიმანურ რაიონების შესახებ, სადაც ქალი განსაკუთრებულ პირობების გამო, მთელ საუკუნეების განმავლობაში, მონობის უფრო მაგარ არტახებით იყო შებოჭილი. ამის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ჩადრი.

ის უხშობს ქალს გზას სინათლისაკენ, ამ სიტყვის ყოველმხრივი მნიშვნელობით. ის უკარგავს მას არა მარტო გარეგნულ ადამიანურ სახეს, არამედ ადამიანურ უფლებასაც. ამიტომ აჭარისტანის მოწინავე გლეხობის პირველი ნაბიჯი ჩადრის წინააღმდეგ, რომელმაც დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა, ყველა შეგნებულ საბჭოთა მოქალაქის გულში სიხარულს გამოიწვევს.

საჭიროა დაწყებული საქმის შემდგომი გაღრმავება. ჯერ კიდევ მრავალი ათეული ათასი ქალი რჩება ჩადრში, მრავალი აჭარელ ქალის მისწრაფება მოქალაქეობრივობასა და კულტურისაკენ იხშობა ჩადრის სიბნელეში.

რა გზით უნდა მიმდინარეობდეს ეს ბრძოლა?

პირველი, და რაც მთავარია, საჭიროა გვახსოვდეს, რომ აქ არ უნდა დაურჩეს ადგილი ადმინისტრატიული სახის იძულებას. ბრძოლა ჩადრის წინააღმდეგ ეს იგივე ანტირელიგიური ბრძოლაა. ჩვენ კი ვიცით პარტიის გეზი ამ შემთხვევაში: შთაგონება და არა იძულება.

თავისთავად ცხადია, რომ ჩადრის წინააღმდეგ განსაკუთრებული ბრძოლა უნდა აწარმოონ კომუნისტ და კომკავშირელ აჭარლებმა. ისინი, როგორც ყოველ ახალ და მოწინავე საქმეში, აქაც მაგალითის მიმცემი უნდა იყვნენ უპარტიო მშრომელ გლეხობისათვის. მათ პირად ყოფა-ცხოვრებიდან, საკუთარი ოჯახიდან უნდა განდევნონ ჩადრი საბოლოოდ. მათ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც უნდა დაუმტკიცონ ღარიბ გლეხობას, რომ ჩადრი წინსვლისა და განვითარების უდიდესი მტერია.

მხოლოდ ფუხარა გლეხობის მასიური მონაწილეობით, მხოლოდ ფართე და სისტემატიურ ახსნა-განმარტებით, ჩვენ შეგვეძლება ქალის დამონების ერთ-ერთ უძლიერეს იარაღის—ჩადრის საბოლოო დამარცხება და, აჭარელ მშრომელ ქალის განათლებისა და ფაქტიურ თანასწორობის გზაზე მასიურად გამოყვანა.

ა. გ—ლი.

გერმანიის წითელ ფრონტელების დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ, საღამოს, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა გერმანიის წითელ ფრონტელების დელეგაცია 11 კაცის შემადგენლობით (ყველა კომუნისტებია).

დელეგაციას თავმჯდომარეობს **კარლ ოლბრიხი** (სამთა-მადნო მუშა. ბერლინის წითელ ფრონტელების კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი).

დელეგაციას კავკავში შეხვდნენ საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლები.

ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო პროფსაბჭოს (რომელიც არის გერმანიის წითელ ფრონტელების კავშირის შეფი) მოწვევით დელეგაცია 23 ივლისს ჩავიდა კისლავოდსკში, სადაც წითელი ფრონტელები მკურნალობდნენ სანატორიუმში. დელეგატებმა დაათვალიერეს აგრეთვე გროზნო.

თბილისში დელეგაცია ჩამოვიდა საქ. პროფსაბჭოს მოწვევით.

დელეგაცია თბილისში დარჩება ორი-სამი დღე.

გუშინ დელეგატებმა დაათვალიერეს მუშათა კლუბები. დღეს დაათვალიერებენ თბილისის წარმოება-დაწესებულებებს.

დელეგაციას თან ახლავს ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. **ხლიარსკი**.

ფიზიკოსთა საკავშირო ყრილობის სხდომები თბილისში

შაბათს და კვირას საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა ფიზიკოსთა საკავშირო ყრილობის 60 მონაწილე, მათ შორის 24 უცხოელი მეცნიერი, რომლებიც თბილისში გააგრძელებენ ფიზიკოსთა საკავშირო ყრილობის სხდომებს.

ყრილობის დელეგატებს საქ. სამხედრო გზაზე შეხვდნენ განათლების მუშაკთა კავშირის მდივანი ამხ. **გეგენავა** და სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკურ ინსტიტუტის პროფესორები **დიდებულიძე, მუსხელიშვილი, პიტკევიჩი** და **გედევანიშვილი**.

ჩამოსულთა შორის არიან პროფესორები **დებაი** (ჰოლანდია), **შეელი** (გერმანია), **გილბერტ ლიუსი** (ამერიკა), **ჩარლ დარვინი** (ინგლისი), **ბრილიუენი** (საფრანგეთი), **დირაკი** (ინგლისი), **ფრანკი** (პრაღა), **ზეელი** (ამსტერდამი) და სხვ.

აკადემიკოსი **იოფე** (ლენინგრადი), პროფ. **რომანოვი** და **ილინი** (მოსკოვი).

ორშაბათს სტუმრებმა ადგილობრივი მუშაკების თანხლებით დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, საღამოს ეცნობოდნენ ქალაქს.

გუშინ ყრილობის დელეგატები გაემგზავრნენ ზაჰესის და კარსანის მაგნიტური სადგურის დასათვალიერებლად.

გუშინ, საღამოს განათლების მუშაკთა სახლში შესდგა ამჟამად თბილისში მყოფ ფიზიკოსების მეექვსე ყრილობის წევრების, თბილისის მეცნიერული ძალების და განათლების დარგის მუშაკთა სხდომა.

სხდომის პრეზიდიუმში არჩეული იქნენ ფიზიკოსების მე-6-ე ყრილობის პრეზიდიუმის წევრები აკადემიკოსი **იოფე**, პროფ. **რომანოვი**, პროფ. **ილინი**, პროფ. **ლემლეინ**, და პროფ. **სალტიკოვი**, პროფ. **დიდებულიძე**, პროფ. **მუსხელიშვილი**, პროფ. **პეტკევიჩი**, დოცენტი **გედევანიშვილი** და განათლების პროფ. კავშირის ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **გეგენავა**.

სხდომას თავმჯდომარეობდა პროფ. **დიდებულიძე**. აკადემიკოსმა ა. **იოფემ** წაიკითხა ლექცია მოხსენება თანამედროვე ფიზიკის ახალ იდეების შესახებ. მომხსენებელმა დაასაბუთა ფიზიკის განვითარება მისი ჩასახვის მომენტიდან დღემდე. მომხსენებელმა განსაკუთრებით ნათლად გააშუქა რელატივობის თეორიის და ტალღობრივი მექანიკის თანამედროვე მდგომარეობა.

პროფესორმა **ილინმა** გააკეთა მოხსენება მოლეკულარულ ძალების შესახებ და განმარტა მათი ელექტრონული ბუნება. დასასრულ პროფ. **ა. მლოდჟეევსკიმ** თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ნივთიერება შეიძლება იყვეს არა მარტო მყარი თხიერ და აირებრივ მდგომარეობაში, არამედ ყოველგვარო სხეული ღებულობს მთელ რიგ სხვა მდგომარეობებს.

სხდომის დამთავრების შემდეგ ყრილობის წევრები მიწვეულნი იქნენ ვახშამზე.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

გამოქვეყნებულია თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის და თბილისის სამხედრო-საზღვაო კომისარიატის განცხადება მორიგ გაწვევის შესახებ წითელი ჯარის რიგებში.

განცხადების თანახმად ჯარში გაწვევაზე გამოცხადდა ეხებათ 1906 წელში დაბადებულ ყველა ახალგაზრდებს, მათ რიცხვში ამავე წელში დაბადებულ მოსწავლეებს და მასწავლებლებს, რომელნიც მიწერილი არიან თბილისის გასაწვევ უბნებზე, ან, რაიმე მიზეზის გამო არ არიან მიწერილნი არც ერთ უბანზე და ამჟამად კი სცხოვრობენ თბილისში ან მის მაზრაში.

მორიგ გაწვევაზე უნდა გამოცხადდნენ 1901, 1902, 1903, 1904 და 1905 წელში დაბადებული ახალგაზრდები, რომელთაც განათლების, ფიზიკური განუვითარებლობის, ან სხვა რაიმე მიზეზების გამო წინანდელ გაწვევების დროს გაუგრძელდათ ჯარში გაწვევის ვადა და ეს ვადა უთავდებათ მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

გაწვევაზე გამოცხადდა ეხებათ აგრეთვე 1901, 1902, 1903, 1904 და 1905 წელში დაბადებულ მოსწავლეებს და მასწავლებლებს, რომელთაც თუმცა არ გასთავდებათ ჯარში გაწვევის ვადა, მაგრამ რომელნიც ამჟამად რაიმე მიზეზით აღარ იმყოფებიან სასწავლებლებში.

ჯარში გაწვევაზე გამოცხადებისაგან თავისუფლდებიან 1906 წელში დაბადებული ის მოქალაქენი, რომელნიც ამჟამად იმყოფებიან მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ნამდვილ სამსახურში, სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს ჯარებში, ან საბჭოთა კავშირის მხედრებთა რაზმში.

ყოველ გასაწვევ ახალგაზრდას შესაკრებ პუნქტზე გამოცხადების დროს თან უნდა ჰქონდეს შემდეგი მოწმობები: პირადი წიგნაკი (ფორმა № 3 და 4) და მეტრიკული ამონაწერი წლოვანების შესახებ. გარდა ამისა პროფკავშირის წევრებმა თან უნდა იქონიონ საწევრო წიგნაკი, კომპარტიის წევრებმა, კანდიდატებმა და კომკავშირელებმა—საწევრო ბილეთები.

ის მოქალაქენი, რომლებმაც დღევანდლამდე ვერ მოასწრეს ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის გამო თავიანთი შეღავათის უფლების დამტკიცება, ვალდებულნი არიან წარუდგინონ გამწვევ კომისიას სათანადო საბუთები. **ჯარში გაწვევის დამთავრების შემდეგ საბუთები შეღავათის შესახებ არ მიიღება და შეღავათებიც არავის მიეცემა.**

ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებები და წარმოებები ვალდებულნი არიან განთავისუფლონ გასაწვევ პუნქტზე გამოსაცხადებლად მათთან სამსახურში მყოფი გასაწვევი ახალგაზრდები.

1906 წელში დაბადებული ახალგაზრდები, რომლებიც მოერიდებიან შესაკრებ პუნქტზე გამოცხადებას, გაიქცევიან გზიდან, ან არ დაბრუნდებიან შვებულებიდან, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში აგრეთვე ყველა ის პირნი, რომლებიც შეიფარებენ ჯარში გაწვევისაგან მოერიდებულ ან დეზერტირ მოქალაქეს დაფარვაში.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

პროფკავშირთა წევრებს შორის

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა კავშირების კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირი, რომელმაც მოისმინა პოლიტგანის მთავარმმართველობის წარმომადგენლის ამხ. **ჩხატარაშვილის** მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო მუშაობის შესახებ 1928—29 სასწავლო წელში.

თათბირმა აუცილებელ საჭიროდ და დროულად სცნო მუშათა განათლების სისტემის შექმნა (წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების, წ.-კ. მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების, მაღალი ტიპის სკოლების და მუშათა-უნივერსიტეტების ქსელის გაფართოვება).

მიზანშეწონილად და აუცილებლად იქნა ცნობილი სასწავლო ვადის გაგრძელება სალიკვიდაციო სკოლებში: წ.-კ. უცოდ. სალიკვიდაციო სკოლებში—6 თვემდე და მცირე მცოდნეთა სკოლებში 8 თვემდე. მიღებულ უნდა იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა სალიკვიდაციო სკოლებში წ.-კ. უცოდინართა და მცირე მცოდნეთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი იქნეს ჩაბმული, მეტადრე ქალაქში; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეების, საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სეზონურ მუშების ჩაბმას სალიკვიდაციო სკოლებში. მსმენელები სალიკვიდაციო სკოლებში უნდა გაგზავნონ უშუალოდ ფაბრ.-ქარხკომებმა.

კავშირებს დაევალა მოიწვიონ კულტმუშაკების სპეციალური თათბირი, რომელზედაც ყოველ მხრივ უნდა დამუშავდეს საკითხი წ.-კ. უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის შესახებ.

კავშირის უმუშევარი წევრები სალიკვიდაციო სკოლებში გაიგზავნებიან კავშირების მიერ და ისწავლიან უფასოდ.

თათბირმა პოლიტგანის მთავარმმართველობას დაავალა წარმოადგინოს ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში იმ სალიკვიდაციო სკოლების ცნობარი, რომლებიც გახსნა განზრახული აქვს მომავალ სასწავლო წლიდან.

სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობა დაიწყება პირველ ოქტომბრიდან, ხოლო მოსამზადებელი მუშაობა უნდა დაიწყოს პირველ სექტემბრიდან.

სკოლების მსმენელებით შევსება იწარმოებს პირველ სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე.

იმ სასეზონო მუშებისათვის, რომლებიც მოვლენ ზამთრობით მუშაობაზე, წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ცალკე იქნება მოწყობილი.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების კომენდატურა აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 23 აგვისტოს „ტახტები“-ს მთის მიდამოებში იწარმოებს სროლა სამხაზიან შაშხანა თოფებიდან.

სამრეწველო საქონლის მიწოდება აჭარისტანისათვის

საქართველოს ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა აჭარისტანში სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეიმუშავა აჭარისტანის სამრეწველო საქონლით მომარაგების გეგმა 1928—29 წლისათვის. გეგმის მიხედვით აჭარისტანში შეტანილი იქნება 3.225.000 მანეთის მანუფაქტურა (აქედან: 2.015.000 მანეთის ბამბეული მანუფაქტურა, 550.000 მ. სელის საქონელი, და 526.000 მან. მატყლის ქსოვილები), 34.000 მან. შეკერილი ტანისამოსი, 94,000 მან. ტყავის საქონელი, 248.000 მან. ფეხსაცმელები, 40.000 წყვილი კალოშები, 439,000 მანეთის სილიკატის ნაწარმოები, 18 ვაგონი მცენარეულობის ცხიმები, 49.000 ბოჭკა ცემენტი, 24 ვაგონი გოგირდი და შაბიამანი და სხვა.

ცვალებადთა საყურადღებოდ

ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქართული მსროლელი დივიზიის ცალკე მესანგრე ასეული აცხადებს, რომ საერთო შეკრების დაწყების გამო, ასეულის ცვალებად შემადგენლობის 1902 და 1903 წელში დაბადებული წითელ ლაშქრელები ვალდებული არიან ყოველ მიზეზს გარეშე გამოცხადდენ ასეულში ა. წ. 30 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე. წითელ ლაშქრელები, რომლებიც არ გამოცხადდებიან დანიშნულ ვადაზე, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული როგორც დეზერტირები.

ნატახტარის წყალსადენის საამშენებლო კომიტეტი

ნატახტარის წყალსადენის აღმშენებლობის სახელმძღვანელოდ თბილისის აღმასკომთან დაარსებული იქნება ნატახტარის წყალსადენის საამშენებლო კომიტეტი.

საძოვრების განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სახელმწიფო-საადგილმამულო ქონებათა განყოფილებამ დაამთავრა საძოვრების განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენა. საძოვრების მთელი სივრცე გეგმით დაყოფილია ადგილობრივი მნიშვნელობის და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საძოვრებათ. ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრები საექსპლოატაციოთ გადაეცემა სამაზრო აღმასკომებს.

ექსკურსიები

გუშინ დილით თბილისში დაბრუნდნენ 18 აგვისტოს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ მოწყობილ მასიურ ექსკურსიების მონაწილენი. ამ დღეს ექსკურსიები მოეწყო: კავკავში, მცხეთაში, ჭიათურაში, ერევანში, ძეგვში, ზაჰესში; მანგლისში; კოჯორში; ბორჯომ ბაკურიანში; ალავერდში; ბაქოში; ლენინაკანში, შულავერში, დუშეთში, ფასანაურში და სხვაგან.

ექსკურსანტები ყველგან გაეცვნენ ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ წარმოებების მუშაობას.

თბილისის აღმასკომში

— **მცხეთის დაგეგმვა.** თბილისის აღმასკომმა ამ დღეებში დაამთავრა მცხეთის დაგეგმვა.

— **მემწვანილეთა ბაზარი.** თბილისის აღმასკომმა დაამთავრა მემწვანილეთა ბაზრის მოწყობა რუსის ქუჩაზე. ბაზარში მოწყობილია 45 დარაბა, გაყვანილია კანალიზაცია, წყალსადენი და სხვა მოწყობილობა. ბაზრის მოწყობა დაჯდა 30.000 მანეთი.

— **მუშათა სახლი.** თბილისის აღმასკომი ლერმონტოვის ქუჩაზე აშენებს სამ-სართულიან სახლს, რომელშიაც იქნება 12 ბინა. ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად სახლის აგება ჯდება 90.000 მან.

— **ქუჩების მოკირწყვლა.** თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება ამჟამად აწარმოებს მესამე უბნის ქუჩების მოკირწყვლა-შეკეთებას.

— **მუხრანის ბაღის შემოღობვა.** აღმასკომი შეუდგა მუხრანის ბაღის შემოღობვას.

— **აღმასკომის შენობის შეკეთება.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა მიმდინარე ზაფხულში შეაკეთოს აღმასკომის შენობა.

— **საექსპერტო კომისია.** ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა სპეციალისტთა საექსპერტო კომისია, რომელიც განიხილავს ახალი წყალსადენის პროექტს და ადგილობრივ დაათვალიერებს ნატახტარის წყაროებს.

განათლების სახ. კომისარიატში

— **სამოსწავლო წლის დაწყება.** განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებით, სამოსწავლო წელი ყველა სასწავლებლებში იწყება 1 სექტემბერს. წინასწარი მუშაობა პირველ საფეხურის სკოლებში უნდა დამთავრდეს 5 სექტემბერს, მეორე საფეხურის პირველ კონცენტრში—10 სექტემბერს და მეორე საფეხურის მეორე კონცენტრში—14 სექტემბერს.

— **არდადეგები.** განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებით, გარდა საზაფხულო არდადეგებისა წელიწადში უნდა მოეწყოს ორი დასვენება: ერთი ზამთარში (იანვარ-დეკემბერში)—14დღე და მეორე გაზაფხულზე—(მარტ-აპრილში)—10 დღე. არდადეგების დროს განსაზღვრა ევალებათ სამაზრო განათლების განყოფილებებს, რომლებმაც დასვენების დრო უნდა შეარჩიონ იმ ვარაუდით, რომ მათში არ მოხვდეს საეკლესიო დღესასწაულები. (შობა—აღდგომა). არდადეგების დროის განსაზღვრის შემდეგ განათლების განყოფილებებს ევალებათ თავისი დადგენილება აცნობონ განათლების სახ. კომისარიატს.

— **ახალი მასწავლებლები.** სამაზრო განათლების განყოფილებებს წინადადება მიეცათ დაჩქარებით გამოარკვიონ ესაჭიროებათ მათ მასწავლებლები თუ არა და დაჩქარებით აცნობონ ამის შესახებ განათლების სახ. კომისარიატს, რომ შესაძლო იქნეს მასწავლებლების გაწესება სამოსწავლო წლის დამდეგამდე.

—**სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში** ახალი მასწავლებლების დანიშვნა მოხდება 1-ლ ოქტომბრამდე.

— **მეცადინეობის დამთავრება.** განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებით, პირველ საფეხურის სკოლებში მეცადინეობა უნდა დამთავრდეს 10 ივნისს, მეორე საფეხურის სკოლებში—20 ივნისს.

ჩაუბარებელი დეპეშები

კავკასკაიდან—ხლებოვს, ონიდან—დაოშვილს. აბაშიდან—ჯორჯიკიას; კიზილ-არვატიდან—ავაქოვს, ბაქოდან—ვოიცკულიანს და აოშს.

დახმარება ქუთაისის დაზარალებულთ

საქ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ ჯამი გაუკეთა პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთათვის გაწეულ დახმარებას.

დადგენილება ხანძრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ მიღებული იქნა საქ. პროფსაბჭოს მეექვსე პლენუმზე, რომელიც 12 მაისს შესდგა. პლენუმის დადგენილების თანახმად პროფსაბჭომ წინადადება მისცა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს და სამპროფბიუროებს ფართო კამპანია ჩაეტარებიათ თავის ორგანიზაციებში დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის შესახებ.

წარმოებებში და დაწესებულებებში მთელი ერთი თვის განმავლობაში იმართებოდა კრებები, რომელზედაც მუშებს გამოჰქონდათ ერთსულოვანი დადგენილება 1, 2 და 4 პროც., და აგრეთვე ერთი დღის და ორი დღის ხელფასის გადადების შესახებ.

კამპანია წარმატებით მიმდინარეობდა და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ კავშირის რომელიმე წევრს უარი ეთქვა დახმარებაზე. შემოწირულებას აგროვებდნენ კავშირების ცენტრ. გამგეობები, რომლებიც, შემდეგ შეგროვილ თანხებს გზავნიდნენ საქართველოს პროფსაბჭოს სალაროში. თავის მხრივ პროფსაბჭომ საკუთარ თანხებიდან გადასდო 2.000 მანეთი.

სულ საქართველოს პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ კამპანიის დაწყებიდან 15 აგვისტომდე შეგროვილია 50.564 მანეთი (ამაში არ შედის რკინისგზელთა საუბნო კომიტეტის მიერ შეგროვილი თანხები, რომელიც უშუალოდ იგზავნებოდა დანიშნულებისამებრ).

შეგროვილი თანხა ცალკე პროფორგანიზაციებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად: ფეიქართა კავშირი—1336 მანეთი, განათლების მუშაკთა კავშირი—6272, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი—914, მედსანშრომა—3839, მკერავთა—393, მშენებელ მუშათა—879, საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა—8494, გემოკვების მუშაკთა—3195, ხეზე მომუშავეთა—397, მბეჭდავთა—1748, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა—1315, ხელოვნების მუშაკთა—2114, კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა—4747, მელითონეთა—1201, სახალხო კვების მუშაკთა—466, ტრანსპორტელთა—842, ქიმიკოსთა—74.

სამაზრო პროფბიუროები: ლეჩხუმის—480, ბორჯომის—660, ბორჩალოს—39, სენაკის—651, ფოთის—3655, რაჭის—35, შორაპნის—505, ზემო-სვანეთის ადგილკომი—255, ლენინაკანის სამპროფბიურო — 500, აფხაზეთის პროფსაბჭო — 1900, აზერბეიჯანის პროფსაბჭო — 750, სომხეთის ხეზე მომუშავეთა კავშირი — 60, საქარ. პროფსაბჭო — 2.000, პროფსაბჭოს თანამშრომლები — 342 და სხვადასხვა ორგანიზაციები—493.

საქონლის შემოზიდვა

ამ დღეებში, ბათომში მოვიდა გემი „კამენეც პოდოლსკი“. გემმა ზაკგოსტორგისათვის ჩამოიტანა სხვადასხვა საქონელი: საღებავები, თევზის საჭერი მანქანები, ლაბორატორიული აპარატები და სხვა ინსტრუმენტები, ელექტრონის მოწყობილობანი და სხვა.

აღნიშნული საქონელი გაუნაწილდებათ საქართველოში: თბილისის საქსოვ ქარხანას, თბილისის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას, სახ. უნივერსიტეტს, საქართველოს მიწსახკომს და სომხეთ-აზერბეიჯანის სხვადასხვა ორგანიზაციებს.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ბიბლიოთეკებში მომუშავეთა გადამზადება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა კულტგანყოფილების გამგის მოადგილის ამხ. **მხითაროვის** მოხსენება პროფკავშირების ბიბლიოთეკებში მომუშავეთა გადასამზადებელ კურსების მოწყობის შესახებ.

კურსებზე თეორეტიული მეცადინეობა იწარმოებს 134 საათის განმავლობაში, ხოლო პრაქტიკული მუშაობა 47 საათი. კურსებზე გასაგზავნ მუშაკებს უნდა ჰქონდეს ცოდნა 7 წლედის პროგრამის ფარგლებში და არა ნაკლებ ორი წლის სტაჟი პროფორგანოებში მუშაობისა. კურსანტი წლოვანობით არ უნდა იყოს 20 წელზე ნაკლები.

პროფსაბჭომ აუცილებლად სცნო ასეთი კურსების მოწყობა და საჭირო თანხების გამოსანახავად გამოჰყო კომისია ამხ. **მაჩაიძის, მხითაროვის** და **თაიდგირიძის** შემადგენლობით.

სამპროფბიუროების გაერთიანება

საქართველოს პროფსაბჭოს მიერ თელავ-სიღნაღის სამპროფბიუროების გაერთიანების ჩასატარებლად აღნიშნულ მაზრებში მივლინებული იყო ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. **ვ. ანთიძე**, რომელმაც პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა მის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

სიღნაღ-თელავის სამპროფბიუროები უკვე გაერთიანებულია. ნაცვლად საორგანიზაციო ბიუროს მოწყობისა, საჭიროდ არის ცნობილი პრეზიდიუმის გამოყოფა გაერთიანებულ პროფბიუროს შემადგენლობიდან, რომელიც უხელმძღვანელებს სიღნაღ-თელავის გაერთიანებულ პროფბიუროს მიმდინარე მუშაობას. პრეზიდიუმმა ამხ. ანთიძის მოხსენება მიიღო ცნობად.

გამფლანგველის პასუხისგებაში მიცემა

საქართველოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა სახელგამის ადგილკომის სარევიზიო კომისიის განცხადება მბეჭდავთა კავშირის ც. გ. მიერ მისთვის გამოცხადებულ საყვედურის მოხსნაზე და ამასთან დაკავშირებით გამოყოფილ კომისიის დასკვნა სახელგამის ადგილკომის მდივნის ტატიშვილის მიერ საკავშირო თანხების გაფლანგვის შესახებ.

როგორც გამოირკვა, სახელგამის ადგილკომის მდივანს ტატიშვილს გაუფლანგავს 1453 მანეთი. ძველი სარევიზიო კომისიის შემადგენლობა თავის მოვალეობას ეპყრობოდა გულგრილად. გამოირკვა აგრეთვე, რომ ადგილკომის ძველი შემადგენლობა და მისი სარევიზიო კომისია გადაურჩევიათ 10 მაისს და გადარჩევის დროს გაფლანგვის ფაქტი არ ყოფილა გამომჟღავნებული. მბეჭდავთა კავშირის ც. გ. საყვედური გამოუცხადა სარევიზიო კომისიის ახალ შემადგენლობას, ხოლო გამფლანგველი ტატიშვილი გადასცა სასამართლოს.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა კომისიის დასკვნა დაამტკიცა და დაადგინა მოეხსნას სახელგამის ადგილკომის სარევიზიო კომისიის ახალ შემადგენლობას მბეჭდავთა კავშირის ც. გ. მიერ გამოცხადებული საყვედური.

პროფმუშაობა კერძო წარმოებებში

საქ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების მიერ ჩატარებული იქნა კერძო წარმოებებთან არსებული საკავშირო ძირითად უჯრედების მუშაობის გამოკვლევა. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოკვლევის მასალების გადასასინჯავად და პრაქტიკულ ღონისძიებების შესამუშავებლად გამოყო კომისია ამხ. **ანთიძის, სიხარულიძის, გოდაბრელიძის** და სხვ. შემადგენლობით.

ნათესების მდგომარეობა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ცნობით, აგვისტოს განმავლობაში მთელ საქართველოში ამინდი იყო ცხელი და ნაწილობრივად გვალვიანი. ხშირად ჰქროდა ქარი. წვიმები თუმცა მოდიოდა, მაგრამ არა საკმარისად. აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ნიაღვრებს, რაც იწვევდა მდინარეების ადიდებას. წყალდიდობამ აფხაზეთის სასოფლო მეურნეობა საგრძნობლად დააზარალა. ზარალი აფხაზეთის სტატსამმართველოს ცნობით უდრის—14.000 მანეთს. გვალვიანი ამინდების გამო აღმოსავლეთ საქართველოში საგრძნობლად დაზიანდა სიმინდის ნათესები. ხორბლისა და ქერის კრეფა ყველგან დაიწყო. ხორბლეულის გამოსავალი ვერ ამართლებს იმ იმედებს, რომელიც მათზე იყო დამყარებული, თუმცა მოსავალი საშუალოა.

დასავლეთ საქართველოში გვალვიანმა ამინდმა გავლენა ვერ მოახდინა სიმინდზე. საერთოდ პურეული ნათესების მდგომარეობა საქართველოში დამაკმაყოფილებელია; ბამბის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება თამბაქოს—აფხაზეთში თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა საშუალოზე დაბალია. ვენახების მდგომარეობა საერთოდ საშუალოზე მაღალია. ქუთ. მაზრ. ვენახები კარგ მდგომარეობაშია. გამონაკლისს შეადგენს რაჭის მაზრა, სადაც ვენახების მდგომარეობა საშუალოზე ნაკლებია. ვენახების წამლობა ყველგან დამთავრდა.

ხილის ბაღების მდგომარეობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. გორის მაზრაში ხილის ბაღებს საშიშროება აღარ მოელის; ახალქალაქის მაზრის ხერთვისის და ჯიზობაერის რაიონებში ხილის ბაღების მდგომარეობა შეფასებულია საშუალოზე დაბლად. ბაღ-ბოსტნების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. აბრეშუმის პარკის აკრეფა დამთავრდა კარგი შედეგებით.

15 აგვისტოსათვის შემოდგომის ხორბლის მდგომარეობა შეფასებულია 2,3 ნიშნით, გაზაფხულზე ნათესი ხორბლეული—2,3, გაზაფხულზე ნათესი ქერი—2,6 სიმინდი—3,5. საერთოდ პურეულის ნათესების მდგომარეობა 15 აგვისტოსათვის შეფასებულია—3,2 ნიშნით. ვენახები—3,4, ხილის ბაღები—2,7; თამბაქო—2,3; ბამბა—2,9 და სათიბები—3,3.

ახალქალაქის მაზრაში დაიჭირა ცივი ამინდები; ახალციხის მაზრაში დაიწყო გვალვა. თბილისის მაზრაში ცივი და ქარიანი ამინდი. სამხრეთ ოსეთში დაიწყო გვალვა. რაჭისა და სენაკის მაზრებში მოდის ხშირი წვიმა; შორაპნის მაზრასა და აჭარისტანში დგას ცივი და წვიმიანი ამინდი.

ხელოვნება

ახალი დადგმები საქ. ოპერაში

სახელმწიფო ოპერის დირექციამ მოსკოვიდან მოიწვია დირექციის რწმუნებულის თანამდებობაზე კიევის სახელმწიფო ოპერის ყოფ. დირექტორი ვ. ს. გლინსკი, რომელიც უკანასკნელ ხანებში ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ სტუდიაში მუშაობდა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ვ. ს. გლინსკიმ სახელმწიფო ოპერის მომავალი სეზონის შესახებ განაცხადა:

— მიუხედავად იმისა, რომ ოპერის ახალი დირექცია მომავალი საზამთრო სეზონის დასის შედგენას შეუდგა ივლისში, ე. ი. მაშინ, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირის ყველა საოპერო წარმოებები უკვე ჩამოყალიბებული იყო და ბაზარზე აღარ იყო მაღალკვალიფიციური არტისტიული ძალები, მან მაინც მოახერხა ისეთი დასის შედგენა, რომელიც შეიძლება საუკეთესოთ ჩაითვალოს მთელს საბჭოთა კავშირში. დასში შედიან მთელი რიგი გამოჩენილი არტისტები. ამას გარდა დადებულია ხელშეკრულება მოსკოვის დიდი თეატრის და ლენინგრადის ყოფ. მარინეს თეატრის ცნობილ მომღერლებთან, რომლებიც პერიოდულად მთელი სეზონის განმავლობაში ჩამოვლენ თბილისში საოპერო წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად.

დირექციამ მუშაობის დაწყებისთანავე მიზნად დაისახა უპირველეს ყოვლისა ძირიანათ შესცვალოს საქმის სტრუქტურა და გარდა მთელ რიგ ახალი დადგმებისა სერიოზული ყურადღება მიაქციოს განსაახლებელ ოპერების საფუძვლიანად დამუშავებას.

სამხატვრო ნაწილი მინდობილი აქვს ცნობილ რეჟისორს, დამსახურებულ არტისტს **ნ. ნ. ბოგოლიუბოვს.** სარეპეტიციო პერიოდი განსაზღვრულია ერთი თვით და ეს საკმაოდ ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ დირექციას სერიოზულად აქვს განზრახული საოპერო საქმის სამხატვრო ნაწილის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

პირველ რიგში სრულიად ახალი დადგმით წავა (დადგმა **ნ. ნ. ბოგოლიუბოვის** მხატვარი **კ. ნ. პელიონკინი**) პუჩინის ოპერა „ტურანდოტი“, რომელსაც მთავარი ადგილი უჭირავს ევროპის საუკეთესო თეატრების რეპერტუარში. მოლაპარაკება სწარმოებს ახალი ოპერა „მზის ვაჟი“-ს ავტორებთან (მუსიკა **ვასილენკოსი, ტექსტი მიხ. გალპერინის**) აღნიშნული ოპერის თბილისის სცენაზე დადგმის შესახებ. ეს ოპერა მიღებულია დასადგმელად მოსკოვის დიდ საოპერო თეატრში. ოპერა გამოხატავს ბოქსერთა აჯანყებას ჩინეთში.

ამას გარდა სრულიად ახალი დადგმით იქნება ნაჩვენები ოპერა „ლაკმე“, რომლის ახალი ტექსტი (ტექსტის ავტორია მიხ. გალპერინი) გამოხატავს ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობას ინდოეთში. განზრახულია აგრეთვე მთელი რიგი ახალი დადგმები, რაც გააცხოველებს ინტერესს ოპერისადმი.

ხორეოგრაფიული ნაწილი ჩაბარებული აქვს ცნობილ ბალეტმეისტერ **რ. ი. ბალანოტის**, რომელიც შარშან ჩამოვიდა პარიზიდან, სადაც მან დიდის წარმატებით დადგა რამოდენიმე ბალეტი „ოპერა კომიკ“-ში.

ბალეტის შემადგენლობა განახლებული და საგრძნობლად გაფართოვებულია. გარდა მუდმივი კადრისა, განზრახულია მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერების მოწვევა ახალ დადგმებში—„გედების ტბა“-ში და „წითელ ყაყაჩოში“ მონაწილეობის მისაღებად.

მიმდინარე სეზონში დირექციამ კურსი აიღო შეკავშირებულ მაყურებელზე, რისთვისაც გამოშვებული იქნება აბონიმენტი, რომლებიც ფართო შეღავათს ანიჭებენ პროფესიონალური კავშირების წევრებს. აბონიმენტები გავრცელებული იქნება პროფსაბჭოს კულტგანყოფილების საშუალებით, რომელიც სპეციალურად ამისათვის ხსნის მთელ რიგ რაიონულ პუნქტებს. ამჟამად აბონიმენტები ერთად ერთი ნაცადი საშუალებაა თეატრის მუშა-მაყურებელთან დასაახლოვებლად, ამიტომ დირექცია საშუალებას აძლევს თვითეულ აბონენტს დაესწროს 10 წარმოდგენას, აქედან 3 ახალი დადგმა იქნება, 3 განახლებული, 2 ბალეტი და ორი წარმოდგენა მოსკოვის და ლენინგრადის თეატრების მომღერალთა მონაწილეობით.

აბონიმენტების ღირებულება შეიძლება გადახდილი იქნეს ნაწილ-ნაწილად, ექვს ვადაში.

დირექციას განზრახული აქვს იმუშაოს სრულ კონტაქტში საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან და გარდა მიზნობრივი წარმოდგენების გაყიდვისა მოაწყოს მთელი რიგი წარმოდგენები მუშათა რაიონებში.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

„ახალი ყოფის“ საღამო. საქართველოს მემარცხენე მწერალთა კავშირი 23 აგვისტოს ტრამვაელების კლუბში მართავს „ახალი ყოფის“ საღამოს, რომელზედაც ახალ ყოფასა და ხელოვნების შესახებ მოხსენებას გააკეთებს **ბესო ჟღენტი.** მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ **ს. ჩიქოვანი, ნ. ჩაჩავა, ზ. აბულაძე, ვ. ჟურული, ლ. ასათიანი; ა. გაწერელია** და სხვა.

სასამართლო

კომბინატორები ფართლის მაღაზიაში

„ტექსილტორგ“-ის მეორე მაღაზიაში წარსულ წელს საარაკო ამბები ხდებოდა. მაღაზიის თანამშრომლებათ ირიცხებოდნენ ისეთი პირები, რომლებსაც როგორც იტყვიან „ორ ბატს არ ანდობდა კაცი“.

მათ განზრახ მეჰქონდათ მაღაზის მუშაობაში არევ-დარევა, რომ ამით დაეფარათ ბოროტმოქმედების კვალი.

მაღაზიის თანამშრომელს ა. აზიზოვს „შემოეხარჯა“ კოოპერატიული ფული. გადიოდა ხანი. დანაკლისი თანდათან იზრდებოდა.

აზიზოვი არ მიეცა მწუხარებას. მან შემოიკრიბა თავის გარშემო ნოქრების რაზმი, რომელთაც გაუზიარა თავისი გასაჭირი.

დაარსდა „თბილი კომპანია“, რომლის წევრებათ ირიცხებოდნენ: ა. კევხიევი, მ. გურგენიძე, კობახიძე და ოვანესოვი.

აღსანიშნავია „კოოპერატორთა პოპულიარობა“, რომელიც მათ მოიპოვეს კერძო ვაჭრებში და სპეკულიანტებში. ეს მოხდა ასე: ნოქრები გამოსწერდნენ ჩეკს, მოლარე დაჰკრავდა ბეჭედს წარწერით: „გადახდილია“.

სპეკულიანტები გაჰყიდდნენ საქონელს აწეულ ფასებში და მიღებულ ფულს ძმურად ინაწილებდნენ ყველანი.

გარდა ამისა, კომბინატორები საქონელს ჰყიდდენ ორმაგ ფასებში და ზედმეტ ფულს ითვისებდნენ.

ამას წინად მოხდა მაღაზიის რევიზია. რევიზიამ დანაკლისი საქონელი ვერ აღმოაჩინა.

კომბინატორებმა მოაწყვეს აგრეთვე სპეციალური საწყობი, სადაც ინახავდნენ პირველ მოთხოვნილების საქონელს, რომელსაც მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებზე ჰყიდდენ.

ფული უხვად შემოსდით „ძმა-ბიჭებს“. იმართებოდა ქეიფი.

წარსული წლის აგვისტოში „ტექსილტორგ“-მა მოახდინა მაღაზიის ლიკვიდაცია.

დაინიშნა დაწვრილებითი რევიზია. გამოირკვა, რომ კომბინატორებს გაუფლანგავთ 20.000 მანეთის საქონელი.

„თბილი კომპანიის“ წევრები დააპატიმრეს. წინასწარი გამოძიებით 20.000 მანეთის გაფლანგვის ფაქტი დადასტურდა.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულები ერთი-მეორეს აბრალებდნენ ყველაფერს.

— არ გახსოვს, მე რომ მოგიტანე სახლში ერთი შეკვრა ფართალი,—ეუბნება კევხიევი აზიზოვს.

— სტყუის,—უპასუხებს აზიზოვი.

საწყობის გასაღები გურგენიძეს ჰქონდა,—ამბობს ოვანესოვი.

— სტყუის,—მაგასაც ჰქონდა და მეც. გასაღები ორი იყო,—თავს იმართლებს გურგენიძე.

გამომძიებელმა ქურდი ნოქრები გამასწორებელ სახლისაკენ გაისტუმრა.

საქმე უკვე გამოიძია განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა ამხ. **ს. მესარქიშვილმა.**

ახლო მომავალში კომბინატორები წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

თ.

შემთხვევები

თავდამსხმელთა დაპატიმრება

ამას წინად ვიღაც შეიარაღებული პირები თავს დაესხენ ორთაჭალაში მოქ. პროკ. ხომასურიძის ბინას. თავდამსხმელებმა შეამტვრიეს კარები და სიკვდილის მუქარით გაძარცვეს მოქ. ხომასურიძე, ბოროტმოქმედნი არ დაკმაყოფილდნენ მარტო ფულის გატაცებით, მსუბუქად დასჭრეს ხომასურიძის ცოლი და მიიმალნენ.

ამ დღეებში სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ ყველა ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდენ: დომენტი ბესარიონისძე ჯიშკარიანი, მიხეილ ნიკოლოზის ძე თაფლიაშვილი, არამ კარაპეტის ძე მურადოვი, ვარლამ პავლეს ძე ჯიქია და ნიკოლოზ ერმალოს ძე შენგელაია.

ს. ს. მილიციის ცნობით, დაპატიმრებულ პირებს აქვთ ქურდობისა და ჯიბგირობის რამოდენიმე რეგისტრაცია. ბოროტმოქმედნი გამოტყდენ დანაშაულში.

თავდასხმა ინჟინერზე

თბილისში მიღებულ ცნობებით, ზუგდიდში შამგონის საზერხ ქარხნის სამუშაოთა მწარმოებელ ინჟენერ მაღლაკელიძეს თავს დაესხა ვიღაც ბოროტმოქმედნი, რომლებმაც სიკვდილის მუქარით მოინდომეს ინჟენერის გაძარცვა, მაგრამ განზრახვა ვერ მოიყვანეს სისრულეში.

სროლის დროს დაიჭრა სამი კაცი. გამოძიება სწარმოებს.

თავი გაუტეხა

სოფ. დილომის მცხოვრებმა მოქ. გრძელიშვილმა ჩხუბის დროს თოხით თავი გაუტეხაა თავის მეზობელს ვანო ბერაძეს. გრძელიშვილი დაპატიმრებულია.

სამი კაცის დაჭრა

კახეთის ქ. სასადილოში ქეიფობის დროს წაიჩხუბენ მიხეილ საბას ძე თოფურია, დავით გაბაშვილი და აბრამ ნიკოლოზის ძე მამულაშვილი, აურ-ზაურის დროს თოფურიამ დანით მძიმე ჭრილობა მიაყენა დავით გაბაშვილს და მსუბუქად დასჭრა აბრამ მამულაშვილი. ამის შემდეგ რევოლვერიდან გასროლილი ტყვიით დაიჭრა თვით თოფურია. დაჭრილნი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში, სადაც მოქ. გაბაშვილი მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

მტკვარში დახრჩობა

გუშინ, დილით, მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო რუბენ ბაგრამიანი.

ქურდობა

მემწვანილეთა ბაზარში დააპატიმრეს ჯიბგირი სერგო სერგოსძე თუმანოვი.—ქურდობისათვის დაპატიმრებულია დავით იოსებისძე მამისთვალოვი.—კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს ეკა გეჟაძის ბინა (რუსთაველის პროსპ. № 2), წაიღეს 80 მანეთის ტანსაცმელი.—გაქურდეს ეკატერინე კობახიძის ბინა (საბჭოთა ქ. № 123), მოპარულია 500 მანეთის ტანსაცმელი.—ნინა ჯანაშვილის ბინის (სააპირო ქ. № 10) გაქურდვის ცდისათვის დააპატიმრეს ოლღა იაკობის ასული ლინიკოვა.

სავა ისმაილოვას ბინაზე (კამოს ქ. № 80) შესულა ქურდი, რომლის დაპატიმრება განუზრახავს ისმაილოვას. უკანასკნელს ბოროტმოქმედმა თავში დაარტყა რკინა. გუშინ მილიციამ ქურდი დააპატიმრა. ბოროტმოქმედი აღმოჩნდა ივანე მიხეილისძე კოკუხოვი.

გაქურდეს სერგო გალკინის ბინა (ყოფ. შერემენტიევის ქ. № 53), წაიღეს 700 მანეთის საოჯახო ნივთები. ამ საქმეზე დააპატიმრეს ქურდი-რეციდივისტი ალექსანდრე სერგეევი. ნაქურდალი ნივთები აღმოჩენილია.

რკინისგზეზე

მატარებლის დამსხვრევა

19 აგვისტოს, ღამის 8 საათზე, აქსტაფა-ტატლუს გადასარბენზე სამგზავრო მატარებელს № 3 შეემთხვა მარცხი: ოთხი უკანასკნელი საკლასო ვაგონი ასცდა ლიანდაგს, ერთი ვაგონი გადაბრუნდა. მგზავრების ნაწილი დაშავებულია მსუბუქად. მარცხის ადგილას გაგზავნა ორი დამხმარე მატარებელი აქსტაფიდან და განჯიდან. 19 აგვისტოს დილით მარცხის ადგილას გაემგზავრენ ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს წევრი ინჟ. ბერიძე და სალიანდაგო ნაწილის უფროსი ინჟ. ლამბაროვი.

სწარმოებს მუშაობა ვაგონების ამოსაღებად.

მოძრაობა გაიხსნა 10 საათის შემდეგ ახლად გაყვანილ ხაზზე.

მარცხი გამოიწვია ლიანდაგის დაზიანებამ.

რბილი ვაგონები

ამჟამად მოსკოვსა, ბათომსა და ლენინგრად-ბაქოს შორის დაიარება, ყოფ. საერთაშორისო საზოგადოების რბილი, საწოლი ვაგონები. გზათა სახ. კომისარიატის განკარგულებით აღნიშნული ვაგონები 31 აგვისტოდან ივლიან მხოლოდ თბილისამდე.

საათები კონდუქტორებს

რკ. გზების გამგეობამ შეიძინა 100 ცალი ჯიბის საათი, რომელიც დაურიგდებათ სამგზავრო მატარებლების მთავარ კონდუქტორებს.

ავიაქიმში

„ავიაქიმის ბიბლიოთეკა“

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა „ავიაქიმის ბიბლიოთეკის“ მოწყობას. ბიბლიოთეკაში თავმოყრილი იქნება მთელი ლიტერატურა, გამოცემული ავიაქიმის მიერ, რომელიც ეხება ავიაქიმის მუშაობას და თავდაცვას.

სამხედრო წრეების სახელმძღვანელო

მოკლე ხანში საქ. თავდაცვა-ავიაქიმი გამოსცემს სახელმძღვანელოს სამხედრო წრეებისათვის. ხსენებულ სახელმძღვანელოში დაგროვილი იქნება მასალა, რომელიც ეხება წრეების მუშაობას. მათ ორგანიზაციას, ხელმძღვანელობას და სხვ.

სახელმძღვანელო დაეგზავნება ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებს და უჯრედებს.

ავიაქიმის სიღნაღის და თელავის ორგანიზაციების გაერთიანება

ამ დღეებში მოხდა თავდაცვა-ავიაქიმის სიღნაღის და თელავის ორგანიზაციების გაერთიანება.

დღეს, 22 აგვისტოს, გურჯაანში შესდგა გაერთიანებული ორგანიზაციების პრეზიდიუმის პირველი სხდომა.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 22 აგვისტო

დღეს, 22 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მუშათა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

კოლექტიური მეურნეობა ახალ გზებზე—მოხს. ქართულ ენაზე.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები (გაგრძელება)—მოხ. ქართულ ენაზე.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ა. კ. სამომხმარებლო კოოპერაციაში—მოხსენება რუსულ ენაზე.

მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე—სომხურ ენაზე.

მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის შესახებ—სომხურ ენაზე.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ახალი რაზმი—მოხ. თურქულ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები. კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია. მოხსენებეს შუა—მუსიკალური ნომრები.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს გ. გ. (წიგნაკი № 1274)

კითხვა:

ოჯახში ვართ 8 სული. მყავს მოხუცი მამა 70 წლისა. ვართ სამი ძმა, რომელთაგან ერთი ინვალიდია, მეორე 20 წლისა, კავშირის წევრი, რომელიც მსახურობს და აქვს თვეში 28 მან., მეც ვმსახურობ და ვიღებ თვეში 39 მანეთს. გვაწერია გზის სამუშაო ბეგარა წელიწადში შვიდ-შვიდი დღე. რადგან მე და ჩემი ძმა არ ვიმყოფებით სოფლად ჩვენს მაგივრად გაჰყავთ მოხუცი მამა.

გთხოვთ გვიპასუხოთ; აქვთ თუ არა ნება გაიყვანონ ბეგარაზე მოხუცი მამა, რა შეღავათი გვაქვს ჩვენ, როგორც მცირე ჯამაგირის პატრონებს და გვევალება თუ არა ბეგარის მაგიერ გადავიხადოთ ფულადი განაწერი ან ყაფასური?

პასუხი:

თანახმად ა.-კ. ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1927 წ. 5 სექტემბრის თარიღით გამოცემულ. სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების მე-3 მუხლისა, შრომის ბეგარის მოსახდელად გაიწვევიან მამაკაცები მხოლოდ 18—50 წლამდე. ამისათვის თქვენი 70 წლის მოხუცი მამა ასეთი ბეგარისაგან სრულიად თავისუფალია. თავისუფალი ხართ ამ ბეგარისაგან თქვენც თანახმად საქ ცაკის მიერ 1928 წ. 30 მარტს ზემოაღნიშნული დებულების საფუძველზე გამოცემულ ინსტრუქციის მე-9 მუხლისა (ა. ა. „ა“ და „გ“), რადგან ერთი თქვენთაგანი ინვალიდია, ხოლო ორი დანარჩენი იმყოფებით მუდმივ სამსახურში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამავე განყოფილების მდივან ამხ. ამირიძესთან (ოთახი № 43): გაიკ გაბრიელის ძე გიულიკხიანი; ნიკოლოზ სიმონის ძე გოდერძიანი; ბენიამინ ანტონის ძე დოლიძე, რუბენ კირილესძე ქვილაძე; ივანე ტიმოთესძე სეფერთელაძე; ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ფედოტიევი; კალისტრატე მელიტონის ძე ჭყონია; ალექსანდრე არტემის ძე შახსუვაროვი.

იმ ამხანაგებს, რომლებიც თბილისში არ არიან, ვსთხოვთ წერილობით გვაცნობონ სად იმყოფებიან.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს ოთხშაბათს ა. წ. 22 აგვისტოს, სრულ 10 საათზე გამოცხადდნენ საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი № 10):

ალი-ზადე, კობალაძე (აღმასკომის ინსტრუქტორი), ლეჟავა ვალიკო, მნაცაკანოვი (მუშკოოპი), ხუხუნაშვილი (პურის მცხობელთა უჯრედი).

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი ხელმეორედ აძლევს წინადადებას ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს ოთხშაბათს, 22 აგვისტოს დილის 9 საათზე გამოცხადნენ საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი № 10):

მალიფეევი (რკინის გზების სამმართველო), ლეჟავა ვარლამ (ფინსახკომი), კაიცარაძე გრიგოლ (განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა), ტერ-აკოფოვი ანტონი (საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახ. კავშირის ცენტრ. გამგეობა), ხოფერია გიორგი (ცეკა), ტატულოვი გიორგი, დანელია მიხეილ („ზაკავტოპრომტორგი“), რუვინსკი ლევ (გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატი), ჭოლოკავა მიხეილ (სართიჭალის თემკომის ყოფ. მდივანი), კარახანიანი არსენ (ფინსახკომი), ლობჟანიძე სიმონ (ს. მ. უ. ს.), ფირცხალავა ვასილ (ცენტრ. საკონტროლო კომისია), ისეპიუკი ვლადიმერ (ფოსტა-ტელ. სამმართველო), [illegible] (აღმასკომი), [illegible] (სახ. წყალთა მეურნ. სამმართ.), ლომინი-ლობჟანიძე მიხეილ (ფინსახკომი), ლეჟავა ვლადიმერ, ხობუა პიმენ (მთავ. პოლიტსამმართველო), იარალოვი გიორგი (ცეკავშირი), სტეპანოვი ალექსი (ამიერ-კავკასიის სახვაჭრობა), ცაბაძე ვარლამ (საფოსტო კანტორა), პირკულოვი ნიკოლოზ („სევკავტორგი“), ბახტაძე პ. (ამ.-კავკ. სახკომსაბჭო), კანდელაკი ვასილი („ზაკსოიუზი“), ლომია ანდრო (საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია) მალიშევი ალექსი (სახბანკი), რამიშვილი გიორგი, სულუხია გიორგი. კაკაბაძე ვასილ (ამ.-კავკ. მებამბეობის კომიტეტი), ღლღუჩავა ეპიფანე, ჯაჯანიძე პლატონ (იუსტიციის სახ. კომისარიატი), შუბლაძე ვიქტორ (რკინის გზის პროფკავშირი), იობიძე ნიკოლოზ, კასატკინი ვასილ (მუშფაკი), ჩახარაძე ნიკოლოზ (ცეკას საგიტ.-საპროპ. განყოფ.), ელიავა შალვა (ამიერ-კავკასიის ფინსახკომი), სიხარულიძე ვიქტორ (მიწა-ტყის კავშირის ცენტრ. გამგეობა), შენგელია იოსებ (მთავარი სახელოსნო). შავგულიძე ივანე (ამ.-კავკ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო), დეიდაგა არტემ (ხე-ტყის ტრესტი), ჩოხნიაშვილი პავლე (საქ. წყალთა მეურნ. სამმართველო), ჩხარტიშვილი კირილე (განათ. სახ. კომისარიატი), შიშინაშვილი პლატონ (აღმშენებელთა კავშირის ცენტრ. გამგეობა), ოგანეზოვი სერგო (ცენტრ. პარტსკოლა), არუთინოვი ბაგრატ (საფაბრიკო-საქარხნო სკოლა), ბოგდანოვი ანდრია, პიჩიკიანი გაიკ (ამ.-კავკ. სახ. საგეგმო კომისია), გვაზავა ნიკოლოზ (მთავლიტი), ჯაფარიძე სერგო (ცეკა), გიორგაძე (ხე-ტყის ტრესტი).

—:—

სახ. უნივერსიტ. არსებულ ამხ მიხა კახიანის სახელ. ქართული მუშათა ფაკულტეტის ახ. ლენ. კომ. კავშირის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 22 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე მუშფაკის შენობაში შესდგება უჯრედის საერთო კრება, ამავე ფაკულტეტში მყოფი მოსამზადებელი ჯგუფის მოჯამაგირე ახალგაზრდობასთან გაერთიანებით. დასწრება სავალდებულოა.

ივანე ალექსანდრეს-ძე მეუღლით ანასტასიათი და შვილებით ნათელა, კახა და ალექსანდრეთი და გიორგი ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილები, ქალები: ეკატერინე კრივეცკისა და ალექსანდრა რჩეულიშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 20 აგვისტოს საღამოს 10 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა და ბებია

სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილისა

პანაშვიდი ოთხშაბათს, 22 აგვისტოს საღამოს 6 ნახ. საათზე გამოსვენება 23-ს ხუთშაბათს, 4 საათ. ბინიდან კალინინის ქ. № 66. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3777

გულდათუთქული მეუღლე დავით ტრიფონის ძე, მამა ტრიფონი, დედა აღათი თოხაძეები შვილებითურთ. ბიძა იულო და ბიცოლა მარო ბერძენიშვილები შვილებითურთ ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობართ, რომ 18 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მელაშა

რომლის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს 22 აგვისტოს ნაშუადღევის 5 საათზე, გამოსვენება უდელის ქ. № 1 დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 3784

დედა ნატალია, დები შაშული და ჰოჰო: ძმები აკაკი და კოლია, ბიძები: ჩაგუ, პახვალა, ისლაი, ევგენი და ანდრი ფიფიები ოჯახობითურთ, ჩანთა ივარდავა ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ რომ 18 აგვისტოს გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი

მელაშა კონსტანტინეს ასული ფიფია-თოხაძისა

დაკრძალვა 22 აგვისტოს 3784

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ბიძაშვილები: სევერიანე, მაქსიმე, ისიდორე, გაბრიელი, იასონ, სეონი და ბიკენტი თოხაძეები ოჯახობითურთ აუწყებენ ნათესავთ ნაცნობ-მეგობართ მათთვის უძვირფასესი მეგობრის

მელაშა კონსტანტინეს ასული თოხაძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 22 აგვისტოს ნაშუადღევის 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე 3784

სონია ჩომახია, ხუტა კვირკველია, ეფო გვარამაძისა, თამარა ადამია, თათუშა ხოფერია, კ. ქანტურია, პელაშა და ვანო შენგელიები, შუშანა თოხაძე, კოლია კედია, ვალიკო ჯალაღონია, სევერიანე დავითაია, ელენე და ლადი ფირცხელავა და ლ. ხუბულავა გულის ტკივილით აუწყებენ მეგობართ

მელაშა ფიფია-თოხაძის

უდროოდ დაკარგვას. ნ. 1514

უსაზღვრო მწუხარებით გულ დათუთქულნი: ბიძაშვილები: ფათუშა და ლოლა, სიძეები კონდრატი ჯგუშია და ბარნაბი ბერაძე აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და მუდამ ჟამს დაუვიწყარი

მელაშა კონსტანტინეს ასული ფიფია-თოხაძის

უდროოდ დაკარგვას

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინა დავითის ასული, შვილები: დავით, ილია, რძალი ლიუბა ნესტორის ასული და პატარა შვილის-შვილი ლეილა დავითის ასული ერისთავები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, რომ ა. წ. 21 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

გიორგი დავითის ძე ერისთავი

გამოსვენება ბინიდან, საბჭოს მოედანი № 9. დაკრძალვა 23 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე. (შ)

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	მხატვრული სურათი	ტყის ზღაპარი	
საზაფხულო ეთერი	ამერიკული კინო-რომანი	რობინზონ კრუზო	3 და 4 სერია
საზაფხულო დარბაზი	სეზონის საუკეთ. სურათი	გრიგალი	ბოროწიხინის და სხ. მონაწილ.
საზაფხულო პალასი	საუკეთესო სურათი	კენიგსმარკ	პიერ ბენუას რომანის მიხედვით
პროლეტარი ავლაბარი	ნ. კოლინი საუკეთ. სურათში	საყვარელი მაწანწალა	

ანონსი: მალე, სეზონის საუკეთესო კომედია „ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი“. 0–14

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
დღეს, 22 აგვისტოს,
სიმფონიური კონცერტი
ოთხი დირიჟორის
სტუპელის, ბროდსკის, ლ. ბენდიცკის და ზასოდიმსკის
ხელმძღვანელობით. პროგრამაში—მენდელსონი, ჩაიკოვსკი, გლაზუნოვი, გრიგი, მასენი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ბაღში—კინო. სიმფონიურ კონცერტზე ბილეთები გამოდგება კინოსთვისაც
შემდეგი კონცერტი ხვალ, 23 აგვისტოს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში.
24 აგვისტოს მედსანშრომის კლუბში ცნობ. დირიჟ. ბერდიაევის 1 გასტროლი

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

პალასი დარბაზი
მალე
უკრ. ფოტო-კინოს ნაწარმოები
ლურჯი პაკეტი
რეჟ-სორ ლოპატინსკის დადგმა
მოზჟუხინი ლისენკო და ნ. კოლინი საუკეთესო სურათში
კინ
თვალწური ადევხით დადგმის დღეს
ნ. 1517

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 26 აგვისტოს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1516

ქუთაისში (დროებით)
მედიცინის დოქტორი
მ. ფ. მგალობელი
ქალური სნეულებანი (მხოლოთ). იღებს საღ. 6—7 ს.
ჯაფარიძის ქ. (ყოფილი პოლიციის) № 18. 3212

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

საქ. საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ა/წ. აგვისტოს 15-ს, შუადღის 12 საათზე
დანიშნული
საჯარო ვაჭრობა
ჩაქვის ჩაის ქარხნის აგებაზე (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 29 ივლ. № 174) გადატანილია ამა აგვისტოს 22-სათვის შუადღის 12 საათ. (რუსთაველის პრ. № 25).
ნ. 1510. გამგეობა.

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე

სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106
მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.
25—1

დაიკარგა: პასპორტი გაცემული გორის მილიციიდან გიორგი იოსების-ძე ხუციშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 41204 ვანო ნიკოლოზის-ძე გაგუას სახელზე, ჩ. გ. 3773

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის მოწმობა 1907 წლის თბილისის 1-ლ უბნიდან მოცემული გაიოზ ედილაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3775

დაიკარგა: აქციის ქვითარი გაცემული თბილისის კომუნალ. ბანკის მიერ ზაქარია იოსების-ძე ლომიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3770

დაიკარგა: ხრესილის შვიდწლედის დამთავრების მოწმობა, მოცემული 1926 წ. 10 აგვისტოს, № 128, დავით არსენის-ძე ლაფერაძის სახელზე, ჩ. გ. 3769

დაიკარგა: მოწმობა № 1448 ა. წ 3 აგვისტოდან გაცემული მე-2 დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის მიერ მოქ. ნათელა აფსაჯანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3771

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 744 კონსტანტინე ილიას-ძე მოისეევის სახელზე, ჩ. გ. 3768

დაიკარგა: პირადობის მოწმობა გაცემული ქ. ბაქოში მე-5 სამილიციო რაიონიდან ალექსანდრა პეტრეს ასული ბეხმანის სახელზე, ჩ. გ. 3772

დაიკარგა რკ. გზის პირადობის მოწმობა მარიამ ვასილის ასული ბანევიჩის სახელზე, ჩ. გ. 3774

დაიკარგა: ზაკტპოს წიგნაკი № 26969 კონსტანტინე სვიმონის-ძე თოდრიას სახელზე, ჩ. გ. 3767

დაიკარგა: 7 წლედის დამთავრების მოწმობა № 136 ვასილ იოსების-ძე რუჟაძის სახელზე, ჩ. გ. 3766

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი ვლადიმერ დუნდუას სახელზე, ჩ. გ. 3781

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 341680 და საანგარიშო წიგნაკი № 504, პეტრე შუბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3783

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 021153 სონია ჯორბენაძის სახელზე, ჩ. გ. 3782

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 1452 ნათელა კავთელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3779

დაიკარგა: ოთხწლედის მოწმობა № 230 ვარო ყორღანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3780

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 37 სილოვან სხულუხიას სახელზე ჩ. გ. 3780

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი ქეთო ესაიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3785

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ვამ ოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.